



საქართველოს ზიზღიღობა

„სხვადა, სქრნა, მუნიჩიქა - ჟუნა იძისთანა, ხმელსაჲ ქოქს ზინ ვუთახაჲუჩი ვი აყვება:
ვიჲ მუჭი, ვიჲ ხმალი, ვიჲ ჭახთა სიძიაველი. სქრნა აქლუვილი ვაჩია ახსნდისათვის,
ძახი ხმალია მღვიქიქისათვის. თუ მუგაში ვიხი ვავიქვით, თუ მუგაში ზინ ხავიქით, ზენი ქლია
რაცადა ახიქდალი ჟუნ აძსუთავს მუგაჲ ვუსვიქს...“

ილია ჭავჭავაძე.

შინაური მიმოხილვა. ივრია, 1879, იანვარი



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება ელექტრონული ფორმით მისამართზე: sakartvelosbiblioteka@gmail.com

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

მთავარი რედაქტორი:	მაია მიქაბერიძე
საკატიო რედაქტორი:	ალექსანდრე ლორია
სარედაქციო კოლეგია:	გულნარა სტურუა რუსუდან ასათიანი დალი მაჩაიძე მირიან ხოსიტაშვილი
ტექნიკური რედაქტორი:	ლოლა სანაია
დიზაინი:	გიგი გელაშვილი
დაკაბადონება:	დიანა დანელიანი

საქართველოს ბიბლიოთეკა №1 (90) – 2023; გამოიცემა 2000 წლიდან.
©საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ლოგოში გამოყენებულია გრავიორ გრიგოლ ტატიშვილის მიერ შესრულებული ქართული ანბანის ასოთა ბმული.

ISSN 1512-0880
www.nplg.gov.ge
www.gela.org.ge



[www.fb.com/magazineLibraryofGeorgia](https://www.facebook.com/magazineLibraryofGeorgia)



შინაარსი

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია
პრეზიდენტის სვეტი

რუსუდან ასათიანი
მიმართვა

3

რედაქტორისაგან

მაია მიქაბერიძე
რეგიონული ბიბლიოთეკების შესახებ და სხვა...

4

საბიბლიოთეკო საქმე: საბიბლიოთეკო მენეჯმენტი

სარა ჰოუტონ, ჯენი
„ერთი დღე ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან“/
ინგლისურიდან თარგმნა ნათია ხოტუნაშვილმა

5

საქართველოს ბიბლიოთეკები:

დაარსების ისტორია და დღევანდლობა
ნიკა ყარალაშვილი
ვაჟირის ბიბლიოთეკა

11

ნატო ყრუაშვილი

ქართულთა შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელი საზოგადოების მიერ
სამცხე-ჯავახეთში დაარსებული ბიბლიოთეკები

16

ასპინძის მთავარ ბიბლიოთეკაში...

„მზიანი სულის ანარეკლები“

22

გოჩა სხილაძე

ზესტაფონის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში...

24

ნიენის ისტორია

ნინო ხვედელიძე
პირველი ბესტსელერი
ევროპული ბეჭდური ლიტერატურის ისტორიაში

25



რეცენზია, მიმოხილვა, შთაბეჭდილებები

თედო ჯაფარიძე

ვასილ კაჭარავა და მისი წიგნი
„რონალდ რეიგანი და მისი ათწლეული.
ამერიკა 1980-იან წლებში“ (თბ.: თსუ, 2022)

30

ლოლა სანაია

დიდი დაბრუნება მარიამ მარჯანიშვილის წიგნით
„დერჩის ქვების დაღადისი“

34

ლიგერატურა

ჟაკლინ სირაძე

გულწრფელობის ორი ველი -
ჯერომ სელენჯერი და ნოდარ დუმბაძე

36

მაყვალა ანთაძე

წარმართული რიტუალის
„ჩიტა ფაფაობის“ ასახვა
გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში

41

ბიბლიოფილის ჩანაწერები

ლევან თაქთაქიშვილი

წიგნი ჩემი მონარქია (დასასრული)

45

ხელოვნება

თამარ გაბოძე

დავით გურამიშვილი უკრაინელი მხატვრის
ვიქტორ ბრიკულეცის შემოქმედებაში

58

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკის
2022 წლის გამოცემები

61



რუსუდან ასათიანი

საქართველოს საბიბლიოთეკო
ასოციაციის პრეზიდენტი

მოგეხსენებათ, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ძირითადი მიზანია საქართველოს მოქალაქეთათვის თანაბარი და მოსახერხებელი პირობების შექმნა ინფორმაციისა და ცოდნის მისაღებად. ამასთანავე, ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკის და საბიბლიოთეკო სისტემის ჩამოყალიბების, მისი ეფექტური მუშაობის და ანალოგიურ საერთაშორისო სისტემებში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

წინა წლებში ასოციაციის პრიორიტეტი რეგიონული და სასოფლო ბიბლიოთეკები იყო. ხუთი წლის განმავლობაში საბიბლიოთეკო ასოციაციამ განაახლა სამასამდე სოფლის ბიბლიოთეკა, აღჭურვა კომპიუტერული ტექნოლოგიებით და გადაამზადა ბიბლიოთეკარები, როგორც საბიბლიოთეკო, ასევე საინფორმაციო-ტექნოლოგიებისა და სოციალური მუშაობის მიმართულებით.

ჩვენ მიერ განხორციელებული პროექტების მეშვეობით, რომლებიც განხორციელდა სხვადასხვა საერთაშორისო, ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო მხარდაჭერით თანადგომით, სოფლის ბიბლიოთეკები გადავიდნენ ახალ ეტაპზე, სადაც ბიბლიოთეკა არამხოლოდ წიგნების გაცემის ადგილი, არამედ საზოგადოებრივი ცენტრი გახდა და დღემდე აგრძელებს წარმატებულ და ადგილობრივი მოსახლეობისთვის საჭირო საქმიანობას.

ძვირფასო ბიბლიოთეკარებო,

2023 წლიდან ჩვენი პრიორიტეტი სკოლის ბიბლიოთეკები იქნება. საბიბლიოთეკო ასოციაციის გუნდის მიერ მომზადდა სპეციალური კურსი და სასწავლო მასალები სასკოლო ბიბლიოთეკებისთვის. კურსის კურიკულუმში გათვალისწინებულია როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გამოცდილება. ჩვენი კურსდამთავრებულები აღიჭურვებიან ქართულ ენაზე თარგმნილი საერთაშორისო სახელმძღვანელოებით და იმ ცოდნით, რომელიც თანამედროვე სასკოლო ბიბლიოთეკის წარმატებული მართვისთვის საკვანძოდ მნიშვნელოვანია.

მოგეხსენებათ, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია ყოველწლიურად ატარებს ბიბლიოთეკების კვირეულს. კვირეული წელს ტრადიციულად გაიხსნა 23 აპრილს და დასრულდა 30 აპრილს. ამასთანავე, საბიბლიოთეკო ასოციაცია, საქართველოს სკოლის ბიბლიოთეკებთან ერთად, შეუერთდება სკოლის ბიბლიოთეკების საერთაშორისო თვეს, რომელიც ყოველწლიურად ოქტომბერში იმართება. აღნიშნული აქტივობა ხელს შეუწყობს სასკოლო ბიბლიოთეკების ინტეგრაციას დანარჩენ მსოფლიოსთან, რის შედეგადაც სკოლის ბიბლიოთეკარებს შორის გამართვიდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება და კიდევ უფრო ამაღლება ჩვენი სასკოლო ბიბლიოთეკების კვალიფიკაცია და შესაძლებლობები.

წარმატებას ვუსურვებ ყველა ბიბლიოთეკარს და დარწმუნებული ვარ, ჩვენ ისეთივე შედეგიანად განვახორციელებთ სასკოლო ბიბლიოთეკების მიმართულებას, როგორც ეს რეგიონული ბიბლიოთეკების შემთხვევაში გავაკეთეთ.



მაია მიქაბერიძე

სხვადასხვა სფეროში გამარჯვება ყველა დროსა და სივრცეში განათლებისა და ცოდნის ბურჯებზე იდგა და დგას. ერების ფსიქოტიური სახე და მოსახლეობის რაოდენობა თავის დაღს ასვამს ნებისმიერი ბრძოლის შედეგს, იქნება ეს ინტელექტუალური, სპორტული, პოლიტიკური თუ სხვა სახის ბრძოლა, მგრამ, საბოლოოდ, გადამწყვეტი სიტყვა მაინც განვითარებულ საზოგადოებას რჩება.

ყველასათვის ცნობილია ბიბლიოთეკის, როგორც განათლების სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის, მნიშვნელობა. თავი რომ დავანებოთ საქართველოს უძველეს ისტორიას, ბიბლიოთეკების საჭიროების საყოველთაო გააზრების ნიმუშად მე-19 საუკუნეც გამოდგება. ამ პერიოდის ქართულ პრესაში, რომელიც იმ დროს საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის ყველაზე მოსახერხებელი ფორმა იყო, უხვადაა ამბები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში სკოლებისა და ბიბლიოთეკა / სამკითხველოების დაარსების თხოვნისა ან მათი ფონდების შევსების შესახებ. ხალხს ესმოდა, რომ მხოლოდ სკოლაში მიღებული განათლება არ იქნებოდა მყარი, თუ ამ ცოდნას ვერ განიმტკიცებდნენ ბიბლიოთეკების საშუალებით.

და, მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ადამიანები მასობრივად აარსებდნენ და აარსებდნენ პატარ-პატარა სამკითხველოებს - ზოგს პირადი ხარჯით, ზოგს წერა-კითხვის საზოგადოების დახმარებით, ზოგს შეძლებული ენთუზიასტების შემოწირულობებით. ბიბლიოთეკების გასაძლიერებლად და, ზოგ შემთხვევაში, გადასარჩენადაც კი, იმართებოდა წარმოდგენები და სხვადასხვა ღონისძიებები.

ბიბლიოთეკა ხარჯიანი საქმე იყო (და არის) - დროთა განმავლობაში ცვდებოდა წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, თანაც ფონდის შევსება ახალი ლიტერატურითაც ძნელდებოდა, თუ ბიბლიოთეკას არ ჰყავდა მუდმივი ფინანსური ხელ-

რეგიონული ბიბლიოთეკების შესახებ და სხვა...

შემწყობი. ამიტომ ზოგჯერ ხალხის დიდი მონადინებით გახსნილი სამკითხველო თანადგომის გარეშე თანდათანობით კნინდებოდა და წყვეტდა მუშაობას. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მწირ შემოსავალს, გასაგები ხდება ეს პროცესი. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ხელსაყრელი პირობების გაჩენისთანავე, სამკითხველოები ისევ იხსნებოდა, რადგან ხალხს ესმოდა მათი, როგორც განათლების გამავრცელებლის, მნიშვნელობა.

ამ პროცესში გამოიკვეთა საერო-სასიკეთო საქმისათვის თავდადებულ ადამიანთა სახეები, რომლებიც მცირე ანაზღაურებით ან, ხშირ შემთხვევაში, უანგაროდაც, ასრულებდნენ ბიბლიოთეკარობის ასე საჭირო მოვალეობას. ისინი ქმნიდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ისტორიას და ჩვენ თავს ვალდებულად ვთვლით, საზოგადოებას გავაცნოთ მათი სახელები, რამდენადაც ამის საშუალებას საარქივო მასალები და ქართული პრესა მოგვცემს.

ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე პერიოდულად ვბეჭდავთ ხოლმე მასალებს საქართველოს რეგიონული ბიბლიოთეკების წარსულსა და დღევანდელობაზე. ამჯერად, წინამდებარე ნომერში, გთავაზობთ საინტერესო სტატიებს სოფელ ვაჭირის და ასევე წერა-კითხვის საზოგადოების მიერ სამცხე-ჯავახეთში დაარსებულ ბიბლიოთეკებზე.

და, კიდევ ერთი თემა - როგორც ხედავთ, ჟურნალის ამ ნომრის ყდაზე ასახულია დავით გურამიშვილზე შექმნილი ფერწერული და მონაიკური ნამუშევრები, რომელთა ავტორიც, ცნობილი უკრაინელი მხატვარი, მირგოროდელი ვიქტორ ბრიკულეცი, 98 წლის ასაკში გარდაიცვალა შარშან, უკრაინის ომის დაწყებიდან ერთ თვეში. საუკუნეს მიღწეული ადამიანის გულმა ვეღარ გაუძლო სამშობლოს ტკივილს! წინამდებარე ნომერში დაბეჭდილი შესაბამისი სტატიით კი გვინდა, ჩვენს მკითხველებს უფრო ახლოს გავაცნოთ ვ. ბრიკულეცის შემოქმედების ის ნაწილი, რომელიც დავით გურამიშვილთანაა დაკავშირებული. იგი აშკარად ავლენს უკრაინელი მხატვრის ოსტატობასაც და მისგან ქართველი პოეტის სათანადოდ შეცნობა-დაფასების ფაქტსაც.

გვსურს, ბრიკულეცის როლის ამ წარმომჩენით ქართულ-უკრაინულ კულტურულ ურთიერთობაში, დამსახურებული პატივი მივავოთ მის ხსოვნას.

სარა ჰოუტონ-ჯენი (SARAH HOUGHTON-JAN)

ელექტრონული მომსახურების განყოფილების
ბიბლიოთეკარი, ჩრდილოეთ კალიფორნია

„ერთი დღე ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან“

მე გახლავართ ჩრდილოეთ კალიფორნიის „მერიის ოლქის თავისუფალი ბიბლიოთეკის“ ელექტრონული მომსახურების განყოფილების ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკას აქვს 11 ფილიალი, რომლებიც ფუნქციონირებს როგორც სოფლად, ისე ქალაქში. ჩემი თავი წარმომიდგენია კიდევ ერთი ინტერნეტფილიალის მენეჯერად. ამჟამად მევალება ოთხი მთავარი ფუნქციის შესრულება: ვქმნი ბიბლიოთეკის ვებსაიტის დიზაინს, პასუხს ვაგებ მის კოდირებასა და განახლებაზე – ვებსაიტი კი ორი ათასზე მეტი ცალკეული ვებგვერდისგან შედგება; ვხელმძღვანელობ ელექტრონული რესურსების განვითარებას (მათ შორის, მონაცემთა ბაზების, ვებმომსახურებისა და ელექტრონული წიგნების შექმნასა და მხარდაჭერას); კოორდინირებას ვუნევ სამნაირი საინფორმაციო ონლაინ-მომსახურებისთვის (ელ-ფოსტა, ინტერნეტჩატი და მყისიერი შეტყობინებების სამსახური – „მესენჯერი“) პერსონალის დაკომპლექტებასა და მომზადებას; ასევე ბიბლიოთეკის პერსონალს ვასწავლი მრავალ სხვადასხვა საგანს, დანყებული საბაზისო კომპიუტერული უნარ-ჩვევებიდან და დამთავრებული საცნობარო ინტერნეტწყაროებით.

ტიპური სამუშაო დღე

ჩემი ტიპური სამუშაო დღე ასეთია: სამი საათის განმავლობაში ტრენინგზე ყოფნა, მისი დასრულებისთანავე JavaScript-ის მიხედვით კოდირება, შემდეგ კი ორ-საათიანი საკომიტეტო თათბირზე დასწრება. თუმცა მთელი დღე შეიძლება მომიწიოს ელ-ფოსტის შემოწმება ან ინსტრუქციების მომზადება. ასევე ხშირად მიხდება სასწავლო მასალე-

ბის შედგენა და შემდეგ მომწოდებლებთან ერთად მუშაობა ჩვენს მონაცემთა ბაზაში არსებულ ტექნიკურ პრობლემებზე. ჩემი მსახურის ერთადერთი მუდმივი ასპექტი ის გახლავთ, რომ დღეში უნდა გავაკეთო 101 საქმე მაშინ, როცა დრო მხოლოდ 10-ის შესასრულებლად არის საკმარისი. ქვევით მოყვანილია ჩემი თანამდებობრივი მოვალეობების მოკლე მონახაზი. დღის განმავლობაში ვირჩევ იმ საქმეებს, რომლებიც უფრო სასწრაფოა და რომლებისთვისაც რესურსები უფრო ხელმისაწვდომია. თუმცა რეალურად მუდმივად ყველა მათგანია გასაკეთებელი.

ვებსაიტის დიზაინი, კოდირება და განახლება

HTML-ის, CSS-ის, CFM-ისა და JavaScript-ის გამოყენებით დღეში რამდენჯერმე ვაახლებ ბიბლიოთეკის ვებსაიტს. კოდირებას ვაკეთებ ხელით Notepad-ში; არ ვიყენებ WYSIWYG-ის პროგრამებს, როგორცაა Dreamweaver, რადგანაც მივხვდი, რომ ჩემს მუშაობას ანელებს. ასევე მინევს დიდი რაოდენობით გრაფიკული სამუშაოს შესრულება ვებსაიტისთვის, ძირითადად Paint Shop Pro-სა და Fireworks-ის გამოყენებით. ბიბლიოთეკის ვებსაიტის ძირითად ნაწილებზე სისტემატურად მუშაობის გარდა (გვერდები გრაფიკული და ტექსტობრივი ელემენტებით, წიგნების ბმულებიანი სიები, ონლაინფორმები), მე ვხელმძღვანელობ „კალიფორნიის ციფრულ არქივს“, ადგილობრივ მხარეთმცოდნეობით ონლაინსაცავსა და გამოფენას. ამ გვერდზე მუშაობა მოიცავს ელექტრონული ფოტოალბომის შექმნას, ზეპირი ისტორიების (ხმოვანი და ტექსტობრივი), ერთჯე-

რადი გამოყენების ფურცლოვანი გამოცემებისა და ა.შ. განთავსებას. ასევე გავაკეთე ბლოგი „ბიბლიოთეკის სიახლეები“ (What's New @ the Library), რისთვისაც გამოვიყენე Blogger-ის შაბლონი და ოდნავ შევცვალე კოდი. ამ ბლოგშიც სისტემატურად ვწერ. ბიბლიოთეკაში მიმდინარე ღონისძიებებისთვის, მაგალითად, „აკრძალული წიგნების კვირეულისთვის“, ვაკეთებ სპეციალურ ვებგვერდებს. ამასთანავე, ვამონტაჟებ და განვათავსებ აუდიოლოკუმენტებს ბიბლიოთეკის რადიოგადაცემიდან. მუდმივად ვცდილობთ იმის უზრუნველყოფას, რომ ჩვენი ვებსაიტი იყოს ხელმისაწვდომი შშმ პირთათვის და შეესაბამებოდეს ხელმისაწვდომობის შესახებ ეროვნულ კანონმდებლობას. პერიოდულად (ორ წელიწადში ერთხელ) ვცვლი ვებსაიტის დიზაინს – ამისათვის კი საჭიროა თანამშრომლების მოსაზრებათა შეკრება, ბევრი შინაარსობრივი და ნავიგაციური ცვლილების განხორციელება, გრაფიკასა და კოდებზე მუშაობა და მათი პრაქტიკულობის შემოწმება.

ელექტრონული რესურსების განვითარება

ჩვენი ბიბლიოთეკა არაერთი მონაცემთა ბაზისა და ელექტრონული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელია. პასუხს ვაგებ ბიბლიოთეკისთვის ელექტრონული რესურსების შექმნაზე (ფასსა და კონტრაქტის პირობებზე მოლაპარაკებების წარმართვის ჩათვლით) და ბიუჯეტის გათვლაზე. მე ვარ ძირითადი საკონტაქტო პირი, რომელსაც მონაცემთა ბაზებსა და ელექტრონულ წიგნებთან დაკავშირებულ ტექნიკურ პრობლემებზე მიმართავენ; შემდეგ მევე ვაგვარებ ამ პრობლემებს მომწოდებლებთან. თვეში ორჯერ ვრთავ ახალი მონაცემთა ბაზების საცდელ ვერსიებს (რათა თემების მიხედვით შევადარო ერთი მონაცემთა ბაზა მეორეს), ვთხოვ თანამშრომლებს, რომ შეაფასონ ეს ბაზები, და მონაცემთა ბაზების კომიტეტთან ერთად – თანამშრომელთა და მომხმარებელთა გამოხმაურების გათვალისწინებით – ვარკვევ მათი შესყიდვისა და დანერგვის საკითხს.

პერიოდულად ვეცნობი ელექტრონული რესურსებით სარგებლობის სტატისტიკას და ვაანალიზებ მათს ხარჯეფექტურობას, რაც მომავალში ხელმძღვანელის განახლება-გაუქმების საფუძველი იქნება. ბიბლიოთეკაში ახალი მონაცემთა ბაზების დანერგვისას პასუხისმგებელი ვარ მათ რეკლამირებაზე, პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარებაზე, ასევე არსებულ ვებგვერდებსა თუ სხვა საინფორმაციო წყაროებში ახალი რესურსების შესახებ ინფორმაციის ჩართვაზე. პერიოდულად ვატარებ ელექტრონულ რესურსებთან დაკავშირებით თანამშრომლებისა და საზოგადოების საჭიროებათა ანალიზს. ასევე ვმონაწილეობ სტატის მასშტაბით ელექტრონული წიგნების ფონდის დახვეწაზე („კალიფას“ (Califa), კალიფორნიის სტატის კონსორციუმის, მეშვეობით). ელექტრონული რესურსების ფონდის შექმნის დროს ვცდილობ გავითვალისწინო საჭიროებები „სახლიდან მომხმარებელთა“, რომელთაგან უმრავლესობას იშვიათად (თუ საერთოდ) შემოუდგამს ფეხი ბიბლიოთეკის შენობაში.

ტრენინგი

მე ვარ პასუხისმგებელი ბიბლიოთეკის დაახლოებით ოთხმოცდაათი თანამშრომლისთვის ტრენინგების ჩატარებაზე. პირველ რიგში, ეს გულისხმობს სასწავლო მასალის შედგენასა და მეცადინეობების ჩატარებას, თუმცა უნდა ითქვას, რომ ტრენინგების ნაწილს ატარებს ჩვენი ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა, ოლქის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, საინფორმაციო მომსახურებისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტი და სტატის ტრენინგების ცენტრიც. თანამშრომელთა სამუშაო ჯგუფის დახმარებით შევიმუშავე და მას მერე გადავსინჯე კიდევაც ბიბლიოთეკის პერსონალის ძირითად ტექნოლოგიურ უნარ-ჩვევათა სტანდარტი. ეს უნარ-ჩვევები, რომლებიც თანამდებობების მიხედვითაა განწერილი, მითითებულია ბიბლიოთეკის დებულებაში. თითოეულ უნარ-ჩვევას ახლავს შესაბამისი ამოცანების

დეტალური აღწერილობა. თანამშრომლებს ვთხოვთ იმ დავალებების/უნარ-ჩვევების მითითებას, რომლებშიც სჭირდებათ დამატებითი მომზადება. ამ გამოკითხვებზე დაყრდნობით ვადგენ შესაბამის უნარ-ჩვევებზე ორიენტირებულ მეცადინეობათა განრიგს. მეცადინეობები შეიძლება ჩატარდეს ერთი ერთზე ან ჯგუფებთან, რომლებშიც არაუმეტეს 20 თანამშრომელია. აი ჩემი მეცადინეობების თემატიკა: „დოკუმენტებისა და საქალაქდების მოხმარება“, „ელ-ფოსტის გამოყენება“, „ბიბლიოთეკის ვებსაიტით სარგებლობის საფუძვლები“, „ძირითადი კომპიუტერული უნარ-ჩვევები“ და „პაუერპოინტის“ (PowerPoint) მოკლე კურსი“. ასევე ვატარებ მეცადინეობებს საკუთრივ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებისა და ელექტრონული მომსახურების თემაზე: „მკითხველის ონლაინკონსულტირება“, „ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების სწრაფი შესწავლის კურსი“, „როგორ დავეხმაროთ მომხმარებლებს, რომლებიც ჩვენი მონაცემთა ბაზებით სახლიდან სარგებლობენ“ და „ონლაინრესურსები მცირე ბიზნესისთვის“. აგრეთვე მევალება პერსონალის მომზადება, ვიდრე ახალი სისტემები დაინერგება (მაგალითად, ბეჭდვის მართვის სისტემა, საზოგადოებრივი მოხმარების კომპიუტერებზე მუშაობის დროის მართვის სისტემა). ყოველკვირეული ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენების საშუალებით თანამშრომლებს ვატყობინებ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული სასწავლო კურსების შესახებ. თუ მრჩება დრო, ვამზადებ საზოგადოებისთვის ჩვენი ელექტრონული რესურსებითა და მომსახურებით სარგებლობის ინსტრუქციებს.

საინფორმაციო ონლაინმომსახურება

წლების განმავლობაში, რაც ბიბლიოთეკაში ვმუშაობ, დავნერგე საინფორმაციო ონლაინმომსახურების სამი ფორმა: ელ-ფოსტა, ინტერნეტჩატი და მყისიერი შეტყობინებების სამსახური („მესენჯერი“).

საინფორმაციო მომსახურება ელ-ფოსტით

საინფორმაციო ელ-ფოსტის მომხმარებლებს შეუძლიათ ონლაინრეჟიმში დასვან შეკითხვები ბიბლიოთეკის შესახებ. მე ზედამხედველობას ვუნევ ოთხ ბიბლიოთეკარს, რომელთა მოვალეობებშიც სხვა საქმესთან ერთად შედის აღნიშნული ელ-ფოსტით პასუხების გაცემა მომხმარებელთა შეკითხვებზე. ვუსხნი მომსახურების პროცედურას, ვამონემებ მათს პასუხებს, რათა მომსახურების მაღალი ხარისხი შევინარჩუნოთ, და, თუ შემოსული წერილების საქალაქდებში კითხვები 24 საათზე მეტი ხნით დარჩა პასუხგაუცემელი, მივუთითებ მათ ამაზე.

საინფორმაციო მომსახურება ინტერნეტჩატით

კალიფორნიაში გვაქვს შტატის მასშტაბით მოქმედი ინტერნეტჩატი „ასკნაუ“ (AskNow, „იკითხე ახლა“), რომელიც იყენებს QuestionPoint 24/7 Reference-ის პროგრამულ უზრუნველყოფას. ჩვენი ბიბლიოთეკარები კვირაში ოთხ საათს უთმობენ ამ საქმეს. მომხმარებლის აღნიშნული მომსახურების უზრუნველსაყოფით რეკლამასაც ვუკეთებთ ჩვენს მომსახურებას, რომელიც ნებისმიერ დროსაა ხელმისაწვდომი. მე ჩვენს ბიბლიოთეკაში ამ მომსახურების კოორდინატორი ვარ და ზედამხედველობას ვუნევ ამ საქმით დაკავებული სამი ბიბლიოთეკარის მუშაობას. კვირაში ერთ საათს თავადაც ვუთმობ ამ მომსახურებას. როგორც ზედამხედველი, არა მარტო ჩვენი ბიბლიოთეკარების მიმონერას ვამონემებ ჩატში, არამედ ჩვენი მომხმარებლების მიმონერას ამ პროექტის მონაწილე სხვა ბიბლიოთეკარებთანაც, რათა დავრწმუნდე, რომ ისინი ხარისხიან მომსახურებას იღებენ. მე ვამზადებ ბიბლიოთეკარებს ამ მომსახურებისათვის (რაც შრომატევადი საქმეა) და ვადგენ განრიგს. ასევე განლაგებთ საკონტაქტო პირი იმ შემთხვევებისთვის, როცა ჩვენი ბიბლიოთეკის მომხმარებლებს აქვთ ისეთი კითხვა, რომელსაც საკითხში უფრო ღრმად გარკვევა სჭირდება და პასუხს ინტერნეტჩატით ვერ გაცემენ.

საინფორმაციო მომსახურება მყისიერი შეტყობინებებით („მესენჯერი“)

მე ვხელმძღვანელობ საინფორმაციო მომსახურებას მყისიერი შეტყობინებებით („მესენჯერი“) და ზედამხედველობას ვუწევ მასში დასაქმებულ შვიდ ბიბლიოთეკარს. ვუხსნი მომსახურების პროცედურას, ვადგენ განრიგს და ვეცნობი ამ სფეროს სიახლეებსა და ტენდენციებს, რათა რაც შეიძლება ფართო აუდიტორია მოვიცვა ამ მომსახურებით. თავადაც ვუთმობ ამ მომსახურებას განრიგით განსაზღვრულ ერთ საათს კვირაში და ნებისმიერ სხვა დროსაც, როცა ჩემს სამუშაო მაგიდასთან ვზივარ.

სხვა მოვალეობები

საკმაო დროს ვანდომებ საკომიტეტო და სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე დასწრებასა და ამ ჯგუფების დავალებების შესრულებას. გახლავარ თითქმის ცხრაშვიდი კომიტეტისა და სამუშაო ჯგუფის წევრი (ერთი ეროვნული, სამი შტატის, ექვსი რეგიონული/ადგილობრივი და ცხრა შიგა საბაბილიოთეკო). ამჟამად ვარ ორი კომიტეტის თავმჯდომარე: ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების კომიტეტისა და ჩვენი კონსორციუმის საჯარო მომსახურების კომიტეტის.

ვამზადებ ყოველთვიურ სტატისტიკურ ანგარიშებს ბიბლიოთეკის ადმინისტრაციისთვის. ეს არის ვებსაიტის სტატისტიკა WebTrends-ის გამოყენებით, მონაცემთა ბაზებისა და ელექტრონული წიგნების გამოყენების სტატისტიკა ბიბლიოთეკისა და ჩვენი კონსორციუმისთვის, ბიბლიოთეკის კომპიუტერების საჯარო გამოყენების სტატისტიკა (მუშაობის ხანგრძლივობა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება) და ზემოთ აღნიშნული სამი საინფორმაციო ონლაინმომსახურების სტატისტიკა.

მუდმივად ვურთიერთობ საზოგადოებასთან ჩვენს ელექტრონულ რესურსებთან, მომსახურებასა და ვებსაიტთან დაკავშირებული მოსაზრებებისა და შენიშვნების მოსასმენად.

კვირაში სამ საათამდე ვუთმობ სამკითხველო დარბაზში მუშაობას.

პასუხისმგებელი ვარ ჩვენი ელექტრონული რესურსებისა და მომსახურების პოპულარიზაციაზე. მევალევა განცხადებების, სანიშნების, პრესრელიზების, ბუკლეტების დამზადება, ვებსაიტის გრაფიკულ დიზაინზე ზრუნვა, ელ-ფოსტის დაგზავნის სივრცეში ჩანაწერების შეტანა, „კრეიგლისტზე“ (Craigslist), სხვა ონლაინფორუმებზე – მაგალითად, „ვიკის“ (wiki) ტიპის ვებსაიტებსა და ბლოგებზე ახალი ჩანაწერების დამატება და პრესისთვის ინტერვიუების მიცემა საბიბლიოთეკო მომსახურების ამ ასპექტების შესახებ. ხშირად ვადგენ ახალ ინსტრუქციებსა და წესებს, უმეტესად, თუ ისინი დაკავშირებულია ელექტრონულ რესურსებსა და მომსახურებასთან.

ზოგჯერ ვმართავ პრეზენტაციებს საზოგადოებრივი და საბიბლიოთეკო მხარდაჭერის ჯგუფებისთვის ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებისა და მომსახურების შესახებ.

მე ვითავსებ ბიბლიოთეკაში ციფრული საავტორო უფლებების ექსპერტის ფუნქციასაც და მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ბიბლიოთეკამ და მისმა მომხმარებლებმა დაიცვან კანონმდებლობა საავტორო უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების შესახებ.

ჩვენი ბიბლიოთეკარებისთვის ყოველთვიურად ვადგენ მნიშვნელოვანი საბიბლიოთეკო ახალი ამბებისა და სასარგებლო რესურსების სიას.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს ტექნიკური დახმარების განყოფილება, საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ პრობლემებსაც ვაგვარებ ხოლმე: თანამშრომლებს ვეხმარები კომპიუტერული ტექნიკის, პროგრამებისა და სხვა ტექნოლოგიების გამოყენებაში. ვინაიდან თითქმის ყველა ტექნიკურ საკითხზე ვატარებ მეცადინეობებს, ხშირად ჩემგან ნასწავლს თემებზე რჩევისთვის ისევ მე მომმართავენ ხოლმე.

ვსაუბრობ ესპანურადაც, ამიტომ ბიბლიოთეკარები ხშირად მთხოვენ, დაველაპარაკო ესპანურენოვან მომხმარებლებს. ზოგჯერ ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია მთხოვს დოკუმენტების თარგმნას ინგლისურიდან.

დადებითი და უარყოფითი მხარეები

ჩემი საბიბლიოთეკო სისტემის პერსონალმა კარგად იცის თავისი საქმე და დიდ ენთუზიაზმსაც იჩენს ახლის, მათ შორის ახალი ტექნოლოგიების, სწავლაში. მათთან ურთიერთობასა და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას მიადვილებს მათი პოზიტიური განწყობა სამსახურისადმი. ჩემი თანამდებობის მქონე ადამიანს ხშირად უწევს ახალი ტექნოლოგიებისა და ახალი მიდგომების გამოცდა. ასეთი მოქნილობა მნიშვნელოვანია ჩემნაირი ადამიანებისთვის, მათთვის, ვისაც დაბადებიდან აქვს ციფრული ტექნოლოგიების მიმართ ინტერესი.

დაუმთავრებელი საქმეების დიდი დასტა არასოდეს პატარავდება – არც ფიზიკური და არც ელექტრონული. ეს იმ მხრივაც კარგი, რომ ყოველთვის დაკავებული ვარ და ნებისმიერ დროს შემიძლია ავირჩიო, თუ რომელ საქმეს მივხედო. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ჩემი თანამდებობა ახლა გადატვირთულია. ეს თანამდებობა ახალი შექმნილი იყო, როდესაც მე ის დავიკავე რამდენიმე წლის წინ. მას შემდეგ მოვალეობები და პასუხისმგებლობა გასამაგდა და უნდა გაიყოს ორ ან სამ სრულგანაკვეთურ თანამდებობად, რათა თითოეული დავალების შესრულებას ადეკვატური დრო დაეთმოს, აღარ გადაიდოს პროექტებისა და მოთხოვნების შესრულება (რადგან მხოლოდ მარტო მე ვმუშაობ მათზე) და თავიდან ავირიდოთ პერსონალის გადაღლა.

ვინაიდან ტექნოლოგიები იცვლება და ონლაინრესურსები და მომსახურება საბიბლიოთეკო სისტემის განუყოფელი ნაწილი ხდება, ბიბლიოთეკებს მოუწევთ პერსონალის გადართვა ამ მომსახურებისა და რესურსების შექმნასა და მხარდაჭერაზე. ვფიქრობ, რომ აქამდე ბიბლიოთეკების უმრავლესობას ყველა სახის ტექნოლოგია მიაჩნდა უკვე არსებული მომსახურებების დანამატად. ახლა, როდესაც ტექნოლოგია ჩვენი საქმიანობის განუყოფელ ნაწილად იქცა, პერსონალის დაკომპლექტებაშიც უნდა აისახოს ეს ახალი გარემოება.

რადგანაც ჩემი თანამდებობა ასე გადატვირთულია, სამუშაო საათებში ვერ ვახერხებ პროფესიულ განვითარებასა და გადამზადებაზე ზრუნვას. ამას მხოლოდ სამუშაო საათების შემდეგ ვახერხებ, ჩემი საკუთარი თავისუფალი დროის ხარჯზე. ჩემი აზრით, ამგვარად თუ არ მოვიქცევი, ეს იქნება პროფესიული უპასუხისმგებლობა და მუშაობის ხარისხზე დაც აისახება. ვიმედოვნებ, რომ ერთ დღესაც სამსახურშიც მომეცემა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის საშუალება.

დაბოლოს, უნდა ვთქვა, რომ უამრავი განსხვავებული მოვალეობის გამო მიწევს მუშაობა უდიდესი ზენოლის პირობებში, რაც ჩემს თანამდებობას უაღრესად სტრესულს ხდის. ხან ესაა გასაკეთებელი, ხან – ის, ხან ერთი პროექტია მისახედი, ხან მეორე სამსახური არ მუშაობს ჯეროვნად, და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, სხვა თანამშრომელთა მოთხოვნებს ხშირად ვეღარც ავუდივარ.

როგორ ვიშოვო ასეთი სამსახური?

იმისათვის, რომ კარგად შეასრულოთ ელექტრონული მომსახურების ბიბლიოთეკარის საქმე, უნდა ფლობდეთ მაგისტრის ხარისხს ბიბლიოთეკათმცოდნეობაში ან საბიბლიოთეკო საქმესა და საინფორმაციო მეცნიერებებში. ძალიან მნიშვნელოვანია ტრენერად ან მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება. ასევე სასურველია ვებსაიტის ადმინისტრატორად მუშაობის გამოცდილება, ვებდიზაინისა და კოდირების რამდენიმე ენის ცოდნა, საინფორმაციო ონლაინმომსახურების პერსონალით დაკომპლექტებისა და კოორდინირების, ელექტრონული რესურსების (მონაცემთა ბაზებისა და ელექტრონული წიგნების) ფონდის განახლების გამოცდილება. დასაწყისისთვის სასურველია, თუ ბიბლიოთეკათმცოდნეობის ან საბიბლიოთეკო საქმისა და საინფორმაციო მეცნიერებების სამაგისტრო კურსების შერჩევისას ყურადღებას გაამახვილებთ ისეთ თემებზე, როგორიცაა ახალი ტექნოლოგიები და სწავლება, და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად იმუშავეთ საუნივერსიტეტო ან საჯარო ბიბლიოთეკაში.

სასარგებლო წყაროები:

Calishain, Tara. *ResearchBuzz!* www.researchbuzz.org/wp (ნანახია 2006 წლის 14 აგვისტოს).

Crawford, Walt. *Cites & Insights: Crawford at Large*. citesandinsights.info (ნანახია 2006 წლის 14 აგვისტოს).

Houghton-Jan, Sarah. *Librarian in Black*. www.librarianinblack.net (ნანახია 2005 წლის 13 ნოემბერს).

Levine, Jenny. *The Shifted Librarian*. www.theshiftedlibrarian.com (ნანახია 2005 წლის 13 ნოემბერს).

Price, Gary. *ResourceShelf*. www.resourceshelf.com (ნანახია 2005 წლის 13 ნოემბერს)

Schmidt, Aaron. *Walking Paper*. walkingpaper.org (ნანახია 2005 წლის 13 ნოემბერს).

Stephens, Michael. *Tame the Web: Libraries and Technology*. www.tametheweb.com/ttwblog (ნანახია 2005 წლის 13 ნოემბერს).

Tennant, Roy. 2004. *Managing the digital library*. New York: Reed Press.

West, Jessamyn. *Librarian.net*. librarian.net (ნანახია 2005 წლის 13 ნოემბერს).

ამონარიდი წიგნიდან „ერთი დღე ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან: კარიერული წარმატება საბიბლიოთეკო საქმესა და საინფორმაციო მეცნიერებაში“ (პრისცილა კ. შონტზისა და რიჩარდ ა. მარის რედაქტორობით; Shontz, Priscilla K. and Richard A. Murray, editors. *A Day in the Life: Career Options in Library and Information Science*. Libraries Unlimited, 2007)

ინგლისურიდან თარგმნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომელმა ნათია ხოტენაშვილმა.



ნიკა ყარალაშვილი

მეჯანიკის, ინჟინერიისა და ტექნოლოგიის დოქტორი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელი ვაქირი ქიზიყის ერთ-ერთი ძველი და ისტორიული სოფელია. რუსული ოკუპაციის დაწყების შემდეგ ჩატარებული პირველი კამერალური აღწერის (1804 წ.) მიხედვით, სიღნაღის მაზრის ეს უდიდესი დასახლებული პუნქტი კომლობრივი რაოდენობით თვით ადმინისტრაციულ ცენტრს - სიღნაღსაც აღემატებოდა. სოფელი ეკონომიკურად ძლიერი იყო - „თამამად შემოძლიან ვსთქვა, რომ მთელს სიღნაღის მაზრაში, ვაქირზედ შემძლებელი და მდიდარი სოფელი სამი არ მოიძებნება. მცხოვრებთა რიცხვი ამ სოფელში არ აღემატება ცხრაას კომლს, აქაურნი არ არიან მინაბრებულნი მარტო ხენა-თესვაზე და ღვინის მოყვანაზედ. მომეტებული ნაწილი უფრო ცხვრისა, ღორისა და ძროხის მოშენების მიმდევარია. ბევრს ორი-სამის წლის სარჩო მოსდის, რის გამოც შარშანდელ მოუსავლობაში არამც თუ თვითონ არ უგრძენიათ შიმშილი, პირ-იქით სხვებმაც-კი გამოიკვებეს თავი მათგან მინაყიდ სარჩოთი, ერთის სიტყვით, ამ სოფელს მზათა აქვს ყოველ გვარი იარაღი, რომლის შემწეობითაც შეუძლიან თავს უშველოს და კეთილი ცხოვრება დაიმკვიდროს“ - „ივერიაში“ წერდა ბარელი [სავარაუდოდ, იაკობ მანსვეტაშვილი].

ასევე უნდა ყოფილიყო საქმე წინა საუკუნეებშიც. მაგალითად, XVIII საუკუნეში გერმანელი მეცნიერის იოჰან გულდენშტედტის მოწმობით, ტფილისიდან 1000 კაციანი ამალით ქიზიყს წამოსული ერეკლე II ყველაზე მეტი - 9 დღით, სოფ. ვაქირში გაჩერდა. 1000

სოფელ ვაქირის ბიბლიოთეკა

მხედრის გამოკვება, მით უმეტეს, ადრე გაზაფხულზე, სოფლის შეძლებულობაზე უნდა მიუთითებდეს.

ეკონომიკური სიძლიერე ვაქირს საშუალებას აძლევდა, განათლებაზე ეფიქრა. პირველი სამრევლო სკოლა სიღნაღის მაზრაში 1844 წელს, ამ სოფელში გაიხსნა. სოფლის უპირველესი სალოცავის, იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა, მამა იოველ (იოილ) ხატიაშვილმა, შესაბამისი ნებართვა პირადად ეგზარქოსისგან აიღო. მოძღვარმა საკუთარი ხარჯით ააშენა სკოლის შენობა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში უსასყიდლოდაც ასწავლიდა ბავშვებს. მის პარალელურად არსებობდა კერძო სკოლაც, რომელსაც იმ დროს „საშინაო სკოლას“ ეძახდნენ. კერძო ბინაზე ვაქირელი ბავშვების განათლებაზე იმავე ნათლისმცემლის ეკლესიის მოძღვარი მამა პეტრე ხელაშვილი ზრუნავდა.

განათლებისათვის, ცხადია, წიგნების ფიზიკურად ხელმისაწვდომობა იყო საჭირო. წიგნთსაცავი-სამკითხველოს დაარსებაზე XIX ს-ის მეორე ნახევარში ბევრს მსჯელობდნენ სოფლის როგორც საერო, ისე სასული-



ღონისძიება ვაქირის ბიბლიოთეკაში. ცენტრში ჟუჟუნა ბიჭიაშვილი, მარჯვნივ ქრისტინე კუდაშვილი, მაცხნივ - ისტორიკოსი მ. მოშიაშვილი



ქრისტინე კუდაშვილი

ერო წრეებში. ამ საქმეს აქტიური მხარდამჭერებიც ჰყავდა და სკეპტიკოსებიც. მაგალითისთვის მოვიყვანო ცნობას 1897 წლის 15 მაისის ადგილობრივ საეკლესიო კრების შესახებ: „ვაქირში 15 მაისს კრება ჰქონდათ სიღნაღის მაზრის მეორე ოლქის საბლალოჩინოს, მ. ს. ბეგ-შვილის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა სხვა-და-სხვა კითხვები შესახებ სამღვდლოებისა. ამავე კრებაზედ, სხვათა შორის, აღიძრა კითხვა მთლათ მთელ საბლალოჩინოს წიგნთ-საცავ (ბიბლიოთეკა) - სამკითხველოს დაარსებაზედ. თუმცა გვეგონა, რომ ეს ფრიად სასიამოვნო და ყველასთვის სასარგებლო საგანი ყველასთვის ერთნაირად აღტაცებით იქნება მიღებულიო, მაგრამ მწარედ მოგტყუვდით: ზოგმა სულ უარი გამოაცხადა სამკითხველო-წიგნთ-საცავის დაარსებაზე, ზოგმაც ეჭვი გამოაცხადა მის მნიშვნელობაზედ და სარგებლობაზედ. ბევრმაც აღიარა, რომ მკითხველები არ იქნებიან წიგნებისა და თუნდაც, ვსთქვათ, საჭიროც იყოს აუცილებლად, მაინც არ შეუძლიათ წიგნების შეძენა, რადგან ღარიბნი არიან და არ ძალუძთ ფულების გამოღებაო. ჩვენდა სამწუხაროთ, ეს აზრი გამოსთქვეს უფრო მომეტებულად შემძლებელმა მღვდლებმა. მაინც-და-მაინც ეს კეთილი განზრახვა იმითი დაბოლოვდა ხმის უმეტესობით, რომ თვითოეულმა კრებულმა უეჭველად წელიწადში ერთხელ გამოიყოს ორ-ორი მანეთი და აქედან შედგენილი საერთო ჯამი მოხმარდეს წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსებას“- ნერდა გაზეთი „ცნობის ფურცელი“.



ეკატერინა ბიჭიაშვილი

სასულიერო პირებს არც საერონი ჩამორჩებოდნენ. ზოგიერთ მათგანს ბიბლიოთეკის დაარსებამდე სახალხო დღესასწაულების გამოყენებაც სურდა წიგნიერების პოპულარიზაციისთვის. „წირვის შემდეგ, [ვაქირის] ეკლესიის ეზოშივე შეიძლება საჯარო წიგნის კითხვა გაიმართოს, ნაუკითხავენ სახალხო პატარ-პატარა წიგნაკებს, ან საუკეთესო საბელეტრისტო ნაწარმოებს ჩვენის მწერლებისას. ამ გვარად, ცოტად თუ ბევრად, შეიყვარებს გლეხი წიგნს და მერე კიდევ ბიბლიოთეკის დაარსებაში დიდს დახმარებას აღმოგვიჩვენო.

თუმცა მიუხედავად მონდომებისა, სიტყვა საქმედ ვერ რეალიზდებოდა. ამიტომ ვაქირელები, უფრო მეტად კი მისი მოაზროვნე ფენა, სამართლიან კრიტიკას საჯაროდ იღებდა:

„განა არ შეუძლიან ვაქირის შეგნებულ კაცებს, რომ დააარსონ უფასო და უსასყიდლო ბიბლიოთეკა? დარწმუნებული ვარ, რომ მცირეოდენის შრომის მეტი არა დასჭირდებათ-რა. ღვთით, ეხლა თანდათან მოიპოვებიან თითო-ოროლანი, რომელნიც, გარდა „ივერიისა“, უკითხავენ ხოლმე სხვა და სხვა ქართულ წიგნებსაც გლეხებს და ისინიც სიხარულით ისმენენ ნაკითხულს, ბევრს გლეხთაგანს საკუთარი ქართული წიგნები აქვს შინ საკითხავად და ზოგს მათგანს კიდევ, გარდა პატარა წიგნაკებისა, სრულად ყაზ-



ლამარა გოძიაშვილი

ბეგის თხზულებანიც კი, რაიცა ვნახე ჩემის თვალით. ამისთანა ხალხში ვიმეორებ, ვაქირის შეგნებულს კაცებს დასჭირდებათ თავის მხრით მხოლოდ ცოტაოდენი მეცადინეობა, რომ ერთიანად გაუძლიერონ ხალხს სწავლის ხალისი და სიყვარული ქართულის წიგნისა. იმედი გვაქვს, რომ ეს აზრი განუხორციელები არ დარჩება“ - ჩიოდა ბარელი.

მანამდე ვაქირელები წიგნებს საკუთარი ხარჯებით იძენდნენ. ასე მაგალითად, ნათლისმცემლობაზე „ჩვეულებრივად ბაზარი იყო გამართული. ქართული სახალხო წიგნებიცა ჰქონდათ გასასყიდათ. შენიშნულია, რომ მთელს სიღნაღის მაზრის დღეობათა შორის უფრო მეტი წიგნი ისყიდება. წელსაც საკმაო წიგნები გაიყიდაო.“

სიღნაღის მაზრაში ვაქირი დღეობებზე გაყიდული წიგნების რაოდენობით ლიდერობდა. 90-იანი წლების დასაწყისიდან სიღნაღში გ. მაჭავარიანის სახელობაზე გამართული წიგნის ამხანაგობას დღეობებზე დაჰქონდა წიგნები გასასყიდად. „ყოველ ხატობა-დღეობას ატარებს იაფ-ფასიან წიგნებს და ავრცელებს ხალხში. აი რამდენ დღეობაში ჰქონია ამ ექვს თვეში ამხანაგობას წიგნები:

ს. ვაქირში ნათლის მცემლობას (ივნისის 24-ს) გაიყიდა 3 მან. 453 წიგნი;

კვირიკობას ბოდბისხევს - 70 კაპ.,

ფერიცვალეობას ს. მალაროში 1 მან. 35 კაპ.,

ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულში ს. ბოდბის ხევს 1 მან. 40 კაპ.

ღვთის მშობლის დღესასწაულს ს. ანაგაში 1 მან. 89 კაპ.,

მთავარ ანგელოზობას ს. ანაგას, 1 მან.53 კაპ.,

წმ. სტეფანობას სიღნაღს 2 მან. 15 კაპ.

სულ ამ შვიდს დღესასწაულს გაიყიდა 12 მან. 42 კაპ.

წიგნის მაღაზიის მმართველნი ცდილობენ, რაც შეიძლება, კარგის შინაარსის წიგნები გაავრცელონ ხალხში. ამხანაგობას დიდს შემწეობას აძლევს რამდენიმე აქაური განათლებული ქართველი და სოფლის მასწავლებლნი, რომელნიც ძრიელ ეხმარებიან წიგნების გასყიდვაში.“

საინტერესოა, რა წიგნებს ეტანებოდნენ უფრო მეტად ვაქირელები. ცენტრალური საისტორიო არქივში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მასალებში შემონახულია ვაქირში სარეალიზაციოდ მოთხოვნილი წიგნების ნუსხა. ამ ნუსხის მიხედვით სოფლის მასწავლებელმა დავით ჯავაშვილმა „გასასყიდად“ მიიღო 27 მანეთისა და 95 კაპიკის ღირებულების, 28 დასახელების 120 ეგზემპლარი. აქედან დავით მასწავლებელს თითქმის ნახევრის რეალიზაცია მოუხერხებია. ასევე საინტერესოა სია წიგნებისა, რომელიც ორიოდ ნლის შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოებას უკან დაუბრუნეს. მის მიხედვით: „გასასყიდი“ დარჩა 17 დასახელების 45 ერთეული. ვაქირელებს, რატომღაც, მეფეთა ისტორიის წიგნები არ შეუძენიათ. ასევე არ ისურვეს რ. ერისთავის ნაშრომებისა და ორბელიანების ლექსთა კრების ქონა.

დიდი მცდელობის მიუხედავად, როგორც ჩანს, საქმე ადგილიდან ვერ დაიძრა. უკვე XX საუკუნის დასაწყისში, ვაქირელებმა დახმარებისთვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიმართეს. 1912 წლის 15 აგვისტოს სოფლის საზოგადოების წევრებმა გამგეობას სთხოვეს ხელისუფლებასთან ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნაზე ეშუამდგომლა. ვაქირელებმა მის ხელმძღვანელად ამავე სოფლის წმ. თომა მოციქულის ეკლესიის წინამძღვარი მამა ირაკლი ცინცაძე დაასახელეს. საყურადღებო ფაქტია, რომ სიის 33 ხელმომწერს

შორის ერთი ქალბატონიც იყო - ელენე მამაიაშვილი.

ქმნკგს-ის დახმარებით ვაქირელებმა აღნიშნული ნებართვა მოიპოვეს. თუმცა როგორ წარიმართა შემდეგ საქმე, ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაციისა და ბოლშევიკური მთავრობის დამყარების შემდეგ საქართველოში ქოხ-სამკითხველოები იხსნება. ქოხ-სამკითხველო უფრო კლუბური ტიპის დანესებულება იყო, რომელიც ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთან ერთად პროპაგანდისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულებითაც გამოიყენებოდა. პირველი ქოხ-სამკითხველო ვაქირში 1924 წელს გაიხსნა. მისი პირველი გამგე გიორგი გოძიაშვილი 30-იანი წლების დასაწყისში წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლის მუშაობაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

ქოხ-სამკითხველოს რეორგანიზაციის შემდეგ, 1946 წლის 1 აპრილს, ვაქირის სოფლის საბჭოს შენობაში სრულფასოვანი ბიბლიოთეკა გაიხსნა. 1000 წიგნამდე ფონდი ერთ



მარცხნიდან-მარჯამ (მანია) მაზიაშვილი და ლამარა გოძიაშვილი, დგას ციალა ჯანაშვილი

ოთახში განათავსეს, ხოლო მეორე - სამეცადინო ოთახად გამოყვეს. ორივე ოთახი ფართო და კარგად მოწყობილი იყო. პირველი გამგე - ელ. ბეიტრიშვილი საქმეს კარგად უძღვებოდა: თვალსაჩინოდ იყო გამოკრული ლიტერატურის სარეკომენდაციო სია და თავად ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ბიბლიოთეკას დამატებით 1000 მანეთი გამოუყვეს ფონდის შესავსებად.

ელ. ბეიტრიშვილის შემდეგ გამგე ნატა ოლიაშვილი გახდა. კოლეგების ინფორმაციით იგი საქმის დიდი სპეციალისტი გახლდათ. შემდგომში, მეზობელ სოფელ მაშნაარში ბიბლიოთეკის გახსნის შემდეგ, ეს ქალბატონი სამუშაოდ იქ გადაიყვანეს. ქალბატონი ნატა იმდენად მნიშვნელოვანი სპეციალისტი იყო, რომ, როგორც ადგილობრივები ამბობდნენ, მაშნაარში საცხოვრებლად სახლიც კი მთავრობის ხარჯზე აუშენესო.

ნატა ოლიაშვილის შემდეგ ვაქირის ბიბლიოთეკის გამგე ლამარა გოძიაშვილი გახდა. მან 1961 წელს დაამთავრა ქ. თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი (დაუსწრებელი) და ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა N1 ბიბლიოთეკას. მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობა არაერთი ჯილდოთია აღნიშნული.

დროთა განმავლობაში ბიბლიოთეკათა რაოდენობა გაიზარდა. ჯერ ცალკე დაარსდა საბავშვო ბიბლიოთეკა (გამგე ჟუჟუნა ბიჭიაშვილი), დანარჩენ ორ ბიბლიოთეკაში კი ქრისტიანე კუდაშვილი და ციალა ჯანაშვილი მუშაობდნენ.

საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრება მხოლოდ საბიუჯეტო ხარჯების საშუალებით არ ხდებოდა. ვაქირის ცნობილი ადამიანები, მათ შორის მსახიობი ვასო გოძიაშვილი და პროფესორი ალექსანდრე გზირიშვილი მუდმივად ზრუნავდნენ ფონდების გამდიდრებაზე როგორც წიგნადი, ისე პერიოდული გამოცემებით. „ა. გზირიშვილი 1960 წლიდან მოკიდებული თავისი ხარჯით ინერდა მშობლიური ვაქირის სასოფლო ბიბლიოთეკისათვის ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს. ერთ პირად წერილში, რომელიც ვაქირის ბიბლიოთეკაში

ინახება, ნათქვამია: „ნიშნად ჩემი ვაქირის სიყვარულისა და პატივისცემისა, მინდა ვაქირელებს ჰქონდეთ ნასაკითხად ეს ჟურნალები. თქვენი ალ. გზირიშვილი.“

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: სოფ. ვაქირში 5 ეკლესიათა შორის გამორჩეულია წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის ეკლესია. სამნავიანი ბაზილიკა თავისი შიდა სივრცით სიღნაღის მაზრის ერთ-ერთ უდიდეს ტაძრად მიიჩნეოდა. ამიტომ ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი გაუქმდა და სანყობად, კულტურის სახლად თუ სხვა სამეურნეო მიზნებისთვის გამოიყენებოდა. შემდგომ კი, მიუხედავად იმისა, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად იყო აღიარებული - უპატრონოდ იყო მიტოვებული. „ძალიან ვწუხვარ - რომ იმ ტაძარში, სადაც ერეკლე მეფე თავის ჯართან ერთად მტერზე მიჭრის წინ ლოცულობდა, ეხლა კარები ღიაა და საქონელი ბინადრობს. ნათლისმცემლის ეკლესია მაქვს მხედველობაში, იქნებ თქვენ ითაოთ და კარები ჩაკეტოთ“ - წერდა პროფესორი გზირიშვილი ბიბლიოთეკასა და მის გამგეს 1972 წელს.

ლ. გოძიაშვილისა და ადგილობრივი სკოლის პედაგოგთა ჩართულობით მოხდა ახალგაზრდების მობილიზაცია. სკოლის მოსწავლეებმა გაასუფთავეს ეკლესიის ეზო, დარგეს მცენარეები, შენობისთვის იშოვეს დარაჯიც. ასე გადარჩა საუკუნეების მომსწრე ეს ძეგლი კიდევ უფრო მეტ დაზიანებას.

1986-87 წლებში ვაქირში ახალი კულტურის სახლი აშენდა. ხელისუფლების გადა-



ბიბლიოთეკის ფონდის ნაწილი სოფლის საკრებულოს შენობაში

წყვეტილებით სოფლის ყველა ბიბლიოთეკა გაერთიანდა და ახალ შენობაში დაიდო ბინა. კულტურის სახლში განთავსებული დაწესებულება სანიმუშო იყო, კარგად მოწყობილ სამკითხველოში ხშირად მასპინძლობდნენ საპატიო სტუმრებსაც.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სამოქალაქო ომის, ეკონომიკური სიდუხჭირისა და სხვა ობიექტურ მიზეზთა გამო, ვერ მოხერხდა ფონდის მასალების სათანადო დაცვა. შენობის დაზიანების გამო დაირღვა სათანადო კლიმატური პირობები, რამაც დააზიანა აქ დაცული მასალების ნაწილი. საბოლოოდ ფონდის ეგზემპლარები (22 000 ერთეულზე) შეკრიბეს და დაცვის მიზნით დროებით სოფლის საკრებულოს შენობაში გადაიტანეს, სადაც ამ დრომდე ინახება. ამჟამად სიღნაღის მუნიციპალიტეტი და ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელობა აქტიურად ეძებს ბიბლიოთეკისათვის ფართს.

მანამდე, ბიბლიოთეკამ მთელ ფონდში შეარჩია ყველაზე მოთხოვნადი ლიტერატურა, რომელიც მკითხველისთვის ხელმისაწვდომია ე. წ. „საკრებულოს“ შენობაში არსებულ ახალგაზრდულ ცენტრში. ბიბლიოთეკის გამგის, ქ-ნ ციალა ჯანაშვილის თქმით, წიგნებით ყველაზე ხშირად სკოლის მოსწავლეები ინტერესდებიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. 1. - თბ., 1962
2. თავიშვილი, გ. სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში. - თბ., 1948 წ
3. ივერია - 1892, N25; 1894, N90, N109, N144.
4. კოლმეურნე - 1946, N40; 1972, 3 ოქტ.
5. ოჩიგავა-გზირიშვილი, თ. ალექსანდრე გზირიშვილი. - თბ., 1979.
6. ყარალაშვილი, ნ. ვაქირი წიგნი I (XX ს.-ის დასაწყისამდე). - თბ., 2020
7. ცენტრ. საისტორიო არქივი - ფონდი N254, ანან. N1, საქმეN75; ფონდი N481, ანან. 2. საქმეები: N 52, N1297
8. წიგნის სამყარო - 1976, N15.



ნატო ყრუაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**ქართველთა შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელი საზოგადოების მიერ
სამცხე-ჯავახეთში დაარსებული
ბიბლიოთეკები**

XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობის კულტურულ დაწინაურებაში უდიდესი დამსახურება მიუძღვით ადგილობრივ ინტელიგენციასთან ერთად ქართველ განმანათლებლებსა და მათ მიერ ჩამოყალიბებულ საქველმოქმედო საზოგადოებებს. მათი საქმიანობის მიზანი იყო ქართველი მოსახლეობის კულტურული დაწინაურება, მათში ეროვნული ცნობიერების გამოღვივება-შენარჩუნება, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფდა ქართველი ერის დაცვას რუსიფიკატორული პოლიტიკისაგან და თვითმყოფადობის შენარჩუნებას. აქედან გამომდინარე, მრავალფეროვანი იყო საქველმოქმედო საზოგადოებების საქმიანობა. მათ მოღვაწეობას საფუძვლად ედო ეროვნული პოლიტიკა, სამოღვაწეო ასპარეზს კი საქართველოს ის კუთხეები წარმოადგენდნენ, სადაც ამ მხრივ კიდევ უფრო მეტი პრობლემები იყო. მათ შორის იყო სამცხე-ჯავახეთი. საქველმოქმედო საზოგადოებების ამ კუთხეში მოღვაწეობის ძირითადი საქმე იყო სკოლების დაფუძნება, ამასთანავე, სწორედ მათ მიენერებათ პირველი ბიბლიოთეკების დაარსება. XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის მონაცემებით სამცხე-ჯავახეთში აღარცერთი ბიბლიოთეკა არ ფუნქციონირებდა. თუმცა,

კავკასიის მასშტაბით, ერთ-ერთი მდიდარი ბიბლიოთეკა ქალაქ ახალციხეში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის შუა ხანიდან არსებობდა. ეს გახლდათ ახმედის სახელობის მეჩეთთან არსებული სასულიერო სასწავლებლის ბიბლიოთეკა. 1829 წელს, როდესაც რუსეთის არმიამ აიღო ქალაქი ახალციხე, რუსეთის ხელისუფლებამ დიდი ინტერესი გამოხატა იქ არსებული წიგნთსაცავის მიმართ. კერძოდ, იგი დეტალურად აღწერეს და სამასზე მეტი ხელნაწერი წიგნი გადააგზავნეს პეტერბურგში. საერთოდ კი დასახელებულ ბიბლიოთეკაში აღირიცხა ექვსასი წიგნი – ძირითადად ხელნაწერი. ე.ი. აქედან ნახევარი მაშინვე გაიტანეს რუსეთში, ხოლო დანარჩენი შემდგომ პერიოდში უკვალოდ გაქრა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალციხის ბიბლიოთეკა აღწერა გაზეთ „ტიფლისკოე ვედომოსტის“ რედაქტორმა პავლე სანკოვსკიმ, რომელმაც საინტერესო დასკვნა გააკეთა: „მართალია, ახალციხის სასწავლებლის ბიბლიოთეკა აქ დაცულ ხელნაწერთა საუცხოოდ შესრულების მანერით ვერ შეედრება არდებილის ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერებს, მაგრამ პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით ბევრად აღემატება მას“ (სანკოვსკი, პ., ჩანაწერები, გაზეთი „ტიფლისის უწყებანი“, N16, 1828). ამრიგად, რუსიფიკატორული პოლიტიკა სამცხე-ჯავახეთში ახალციხის ბიბლიოთეკის დაშლა-განადგურებით დაიწყო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბიბლიოთეკების არსებობის აუცილებლობას კარგად გრძნობდა სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობა. მესხ განმანათლებელს – ივანე გვარამაძეს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო არა მარტო სახალხო ბიბლიოთეკების დაფუძნება, არამედ ისიც, რომ სკოლებს ჰქონოდათ თავიანთი ბიბლიოთეკები: „სასწავლებელთა საწიგნე უნდა გვექონდეს ყველგან მზათა“ (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N452, ივანე გვარამაძე, ლექსი-“ჭკუის სასწავლო“). როგორც საგაზეთო მასალებიდან ირკვევა, სამცხე-ჯავახეთში სოფელ მუსხის სკოლა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, სადაც ოფიციალურად იქნა დაარსებული წიგნთსაცავი. 1894 წლის გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი იტყობინებოდა: „სოფელ მუსხის სკოლასთან წიგნთსაცავი უკვე დაარსდა და აქეთ-იქიდან კიდევ დაგვემარნენ თუ წიგნებით, თუ ფულით. იმედი მაქვს სხვებიც არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს ამ ფრიად კეთილ საქმისათვის. მეტადრე საყმაწვილო წიგნებს ენაფებიან ბავშვები, მოთხრობანი და წმინდანების ცხოვრება მოსწონთ უფრო დიდრონებს. ჯერ-ჯერობით იმოდენა ღონისძიება არა გვაქვს, რომ ყველას სურვილი შევასრულოთ და შესაფერი წიგნი მივანოდოთ.“ („ივერია“, კორესპონდენცია, სოფ. მუსხი, N77, 1894).

ბიბლიოთეკების დაარსების საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება ჰქონდა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს – ალექსანდრე ფრონელს (ყიფშიძე). მან ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დააყენა საკითხი – სოფლის მასწავლებელთათვის წიგნთსაცავის დაარსების საჭიროების შესახებ. იგი წერდა: „უეჭველია თუ სადმე სამკითხველოები დაარსდება სოფლის მასწავლებლების ხელში იქნება.“ მიუთითებდა, რომ, რამდენადაც სოფლის მასწავლებელი იყო სკოლის სრული გამგებელი და პატრონი, სკოლის ბედი და უბედობაც მის ხელში იყო. ე.ი. ალექსანდრე ფრონელი სთავაზობდა ბიბლიოთეკების დაარსების გეგმას. მისი აზრით, გაცილებით ადვილად მოგვარდებოდა ეს საქმე, თუ ბიბლიოთეკა დაარსდებოდა სკოლებში, რადგან საძებარი არ იქნებოდა

არც შენობა და არც ბიბლიოთეკარი. ე.ი. ბიბლიოთეკარობას შეითავსებდა მასწავლებელი. მიაჩნდა, რომ იგი ერთდროულად გაუნევედა მომსახურებას სკოლასაც და სოფელსაც. („ივერია“, N172, გვ. 1, 1890). ალექსანდრე ფრონელის ბიბლიოთეკების დაარსების გეგმა ძალზედ პრაქტიკული იყო აღნიშნული დროისათვის. პირველი ბიბლიოთეკები მართლაც სახალხო სკოლებთან იქნა დაფუძნებული საქართველოს მასშტაბით.

ადგილობრივ ინტელიგენციას კარგად ესმოდა, რომ ბიბლიოთეკა დიდ სულიერ საზრდოს მისცემდა ქართველობას. ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა გზას მიმართავდნენ (საჯაროდ ბჭობდნენ, შესაბამის სტატიებს აქვეყნებდნენ ჟურნალ-გაზეთებში, დახმარების თხოვნით მიმართავდნენ ინტელიგენციასა და მეცენატებს). ადგილობრივი მკვიდრი ბაგრატი ზედგინიძე გაზეთ „ივერიაში“ წერდა, რომ სწავლადამთავრებულ ბავშვებს, წიგნთსაცავის უქონლობის გამო, მალე ავიწყდებოდათ წერა-კითხვა და წყალში ეყრებოდათ შრომაც და წლებიც. მისი აზრით, თუ იქნებოდა ბიბლიოთეკა, ასეთ ბავშვებს კვლავ ექნებოდათ წიგნთან შეხებისა და სულიერი საზრდოს მიღების საშუალება. ბაგრატი ზედგინიძე ეჭვის ქვეშ აყენებდა იმ სკოლების მნიშვნელობის საკითხს, რომელთაც არ გააჩნდათ ბიბლიოთეკა: „იქ სადაც წიგნთსაცავი არ არის დაარსებული, თვით სკოლებსაც ეკარგებათ მნიშვნელობა. სწორედ, ამიტომ არის საჭირო ვიხმაროთ ყოველივე ღონისძიება, დავსძლიოთ ყველა დაბრკოლება და წიგნთსაცავი როგორმე დავაარსოთ.“ ბაგრატი ზედგინიძეს ბიბლიოთეკის დაფუძნება შემდეგნაირად ესახებოდა: უნდა ჩამოყალიბებულიყო ამხანაგობა, რომელიც დააარსებდა ფონდს. სახსრებს მოიძიებდნენ წარმოდგენების გამართვით, ხელმოწერებით, გაზეთის საშუალებით კი დახმარების თხოვნით მიმართავდნენ საზოგადოებას. იმისათვის რომ სკოლადამთავრებულ ახალგაზრდობას მიღებული ცოდნა არ დავიწყებოდა, საჭირო იყო ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნა. სწორედ ამ მიზნით, ჯავახეთში, სოფელ ბარალეთში 1895 წელს

დაფუძნდა წიგნთსაცავი-სამკითხველო. ეს საქმე შესრულდა იქ მოღვაწე აფთიაქარის, ილია ალხაზიშვილის ხელმძღვანელობითა და მაზრის უფროსის, გიორგი თარხან-მოურავის დახმარებით. ბიბლიოთეკის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გიორგი თარხან-მოურავი, ბიბლიოთეკარად – ბარალეთის ორკლასიანი სკოლის გამგე გოგი სანაყოშვილი, ხაზინადარად – ილია ალხაზიშვილი. იგი „ივერიაში“ დაბეჭდილი სტატიით მკითხველ საზოგადოებას ამცნობდა, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა ბიბლიოთეკის გახსნის საკითხისადმი: „შემცდარნი ბრძანდებიან ისინი, რომელთაც ჰგონიათ ჩვენი გლეხკაცობა ნათელს უფროთხისო. თქვენ მოახერხეთ, ტკბილის ბაასით აუხსენით საქმის ვითარება და მერწმუნეთ, უკანასკნელ გროშსაც არ დაიშურებენ“. (ალხაზიშვილი, ი., კორესპოდენცია, „ივერია“, N4, გვ. 2, 1895).

ამრიგად, წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა გამოთქვამდა ბიბლიოთეკის დაარსების დიდ სურვილს და იმავდროულად ეძებდა კიდეც მისი დაფუძნების გზებს. ე.ი. აღნიშნულ საკითხში ამ კუთხის ქართველობისა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მისწრაფება თანმხვედრი აღმოჩნდა..

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ქალაქ ახალციხეში სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო დააფუძნა 1895 წლის 27 აგვისტოს ქალაქის ძველ ნაწილში – რაბათში, პავლე ერეკლიშვილის ალიზიან სახლში. იქამდე კი საზოგადოების მიერ 28 მარტს ჩატარებულმა სხდომამ ილია ჭავჭავაძის წინადადებით ახალციხეში ბიბლიოთეკის გახსნა მიზანშეწონილად სცნო. გადაწყდა, რომ ბიბლიოთეკა გახსნილიყო რაბათში. შეიქმნა სპეციალური კომიტეტი კონსტანცია მეფისაშვილის, ივანე გვარამაძის, გრიგოლ ბურჭულაძის, ე. ათაბეგაშვილის შემადგენლობით. ბიბლიოთეკის გამგედ და მთავრობასთან პასუხისმგებელ მდივნად აირჩიეს კონსტანცია მეფისაშვილი („წიგნის სამყარო“, N28, 1975). ამ ამბავს

იმთავითვე დიდი მონონებით შეხვდა ქართველი ინტელიგენცია. ილია ალხაზიშვილმა მას „ევროპული სწავლა-განათლების სხივის პანია ნაპერწკალი“ უწოდა - „წარმოიდგინეთ აქაურს ქართველობას რარიგ სწყურებია და სჭირებია გონებრივი საზრდო“ („ივერია“, N84 გვ. 2, 1897).

ილია ალხაზიშვილის მითითებით, მკითხველს განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა ჰქონდა ილიას, აკაკისა და ყაზბეგის თხზულებებზე. ახალციხის საზოგადოება დიდად მადლიერი იყო ჯერ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და შემდეგ გრიგოლ ბურჭულაძის, რომელიც ერთგულად იღვწოდა წიგნთსაცავის წარმატებისათვის და აგრეთვე სეფექალის, კონსტანცია მეფისაშვილისა, რომელიც სამაგალითოდ განაგებდა წიგნთსაცავის საქმეს. იგი აირჩიეს ხსენებული ბიბლიოთეკის პირველ გამგედ, მთავრობასთან პასუხისმგებელ მდივნად. კონსტანციას, განუთქმული მუშაობისათვის, ქმნკვ საზოგადოების გამგეობამ 1898 წელს წერილობით გამოუცხადა მადლობა (ხუნდაძე, ტ., „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, გვ. 74, 1960).

ბიბლიოთეკას მატერიალურ დახმარებას უწევდნენ ქალაქ ახალციხეში მოქმედი თეატრალური დასები და კერძო პირებიც, რომლებიც სისტემატურად გადასცემდნენ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, ეხმარებოდნენ ფულით. კონსტანცია მეფისაშვილმა გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილში მოათავსა შემომწირველთა სია: ნიკო ასათიანი, ოქროპირ გვარამაძე, ვასილ გამრეკელი, თომა მათურაძე, მღებროვი და ა.შ. („ივერია“, N219, 1898). ვასილ გამრეკელი აღნიშნული ბიბლიოთეკის გახსნის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილედ მოიაზრება. მიუთითებდნენ, რომ იგი ქმნკვ საზოგადოებასთან ერთად უზრუნველყოფდა ბიბლიოთეკის სტაბილურ მოქმედებას, სიკვდილის შემდეგ კი ბიბლიოთეკას ანდერძით დაუტოვა ხუთასი მანეთი.

1914 წლის ოქტომბრის თვეში ქალაქ ახალციხეში ხანძარმა გაანადგურა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ინვენტარი და წიგნადი

ფონდის ძირითადი ნაწილი. ქმნკვ საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ იმთავითვე დაიწყო ზრუნვა წიგნადი ფონდის შევსებაზე.

მოძიებული მასალებიდან ჩანს, რომ ქალაქ ახალციხის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგეები ხშირად იცვლებოდნენ: კონსტანცია მეფისაშვილის შემდეგ, რომელიც ყველაზე დიდხანს - 1895 წლიდან განაგებდა ბიბლიოთეკას, 1907 წელს გამგედ დაინიშნა მღვდელი ბენიამინ კანდელაკი. სხვადასხვა დროს გამგეები ასევე იყვნენ ვერა დაფქვიაშვილი და ელენე ბარკალაშვილი. მას შემდეგ, რაც ქმნკვ-ის ახალციხის განყოფილება ჩამოყალიბდა, ბიბლიოთეკა-სამკითხველო განყოფილების გამგებლობაში გადავიდა. 1920 წელს ბიბლიოთეკა-სამკითხველო საქალაქო ერობას გადაეცა. 1930 წლიდან აღნიშნული ბიბლიოთეკა რაბათიდან (ქალაქის ძველი ნაწილი) გადაიტანეს ქალაქის ახალ ნაწილში (მახარაძის ქუჩაზე). მის საფუძველზე ჩამოყალიბდა ჯერ საქალაქო და შემდეგ სარაიონო ბიბლიოთეკა.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ საჭიროდ ჩათვალა ამ კუთხეში რამდენიმე ბიბლიოთეკის დაფუძნება. კერძოდ, 1897 წელს საზოგადოებას ბიბლიოთეკის გახსნის თხოვნით მიმართა სოფელ უდის მოსახლეობამ. იმავე წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იტყობინებოდა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ნება დართო მთავრობამ, რომ სოფელ უდეში გამართოს სახალხო სამკითხველო და წიგნთსაცავი. პასუხისმგებელი წიგნთსაცავის საქმეში იქაური მცხოვრები იაკობ მერაბიშვილი იქნება“ („ცნობის ფურცელი“, N230, გვ. 2, 1897).

სოფელ უდეში 1897 წლის 1 ივლისს დაარსდა ბიბლიოთეკა. როგორც საგაზეთო კორესპოდენციებიდან ჩანს, მას იმთავითვე დიდი წარმატებები ჰქონდა: „აქ არსებობს სამონასტრო სკოლა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახალხო სამკითხველო ვნახე და მის სარგებლობის ნიშან-წყალს ცხადლივ შევატყე. მესხები მშვენივრად შესჩვევიან ქა-

რთული გაზეთების კითხვას. სანატრებელია ასეთ მხარეში ამისთანა საქმე“.

დასახელებულ ბიბლიოთეკას წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით ამარაგებდნენ წერა-კითხვის საზოგადოება, სხვადასხვა გამომცემლები და კერძო პირები. ბიბლიოთეკა ემსახურებოდა მეზობელი სოფლების: არალისა და ვალის მოსახლეობასაც. ბიბლიოთეკას ჰქონდა ქართული და რუსული წიგნები. 1898 წელს კი წერა-კითხვის საზოგადოებას სთხოვეს, რომ გაეგზავნათ რუსულ-ქართული ლექსიკონი. ამასთანავე, მაჰმადიანთა მოზიდვისა და დაინტერესების მიზნით, მოითხოვეს რუსულ-თურქულენოვანი გაზეთი „პერევედჩიკი“. (სუდაძე, ნ, სოციალური ვითარება და საგანმანათ-ლებლო საკითხები XIX საუკუნის სამცხე-ჯავახეთში, გვ. 57, 1998).

სოფელ უდის ბიბლიოთეკის პირველ გამგედ დაინიშნა იაკობ მერაბიშვილი. მის შესახებ წერდნენ: „დიდი პატივისცემის ღირსია ბიბლიოთეკის გამგე მერაბიშვილი, რომელსაც უფასოდ აქვს დათმობილი ორი ოთახი“. მანვე აიღო თავზე ბიბლიოთეკის გათბობა-განათების ხარჯი. წერა-კითხვის საზოგადოება წელიწადში ორმოცდახუთი მანეთით ეხმარებოდა. ბიბლიოთეკა თავის მუშაობაში დიდ ადგილს უთმობდა წიგნის კოლექტიურ კითხვას. „წიგნის კოლექტიური კითხვა თავის შედეგს აღწევდა ზამთრის თვეებში, როცა გლეხკაცობა სხვადასხვა სამუშაოებისაგან თავისუფალი იყო და ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი იყო“ (ჩხიტიანიძე, თ., ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო საქმიანობა. გვ. 108, თბ., 1980). „აქ წესად არის გლეხები შეიკრიბებიან საღამოობით საზამთრო ოთახში და იქ კითხულობენ საზოგადოდ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, მსმენელთა რიცხვი შესდგება მხოლოდ გლეხებისაგან და დღიურად აღწევს ორმოცამდის. რადგან საჭირო არის ამ დროს ოდნავ წესრიგი იქნეს დამყარებული. ამიტომ ეს მკითხველებმა გაითვალისწინეს ამგვარად: ჟურნალ-გაზეთებისა და სამეურნეო წიგნების კითხვა იკისრა სიმონ ჭილა-

შვილმა, ისტორია და კაზმული ნიგნებისა – იაკობ მერაბიშვილმა.“ იაკობ მერაბიშვილის საქმე შემდეგ წარმატებულად განაგრძო ელენე ბარიკალაშვილმა. აღნიშნულმა ბიბლიოთეკამ ფუნქციონირება შეწყვიტა 1919 წელს, რადგან იგი მთლიანად განადგურდა სერვერ ბეგის ბანდებისაგან.

სამცხე-ჯავახეთის ქართულ სოფლებში ბიბლიოთეკების დაარსება ადვილი არ იყო. მოსახლეობის მოთხოვნისა და თვით საქველმოქმედო საზოგადოებების მხარდგომის მიუხედავად, მთავრობის უხეში ჩარევის შედეგად მათ მიერ წამოყენებული ეს ეროვნული საქმე ხშირად ცუდი შედეგით მთავრდებოდა. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ბიბლიოთეკის დაარსების საქმე ჯავახეთის ერთ-ერთ უძველეს სოფელ ხიზაბავრაში. ჯერ კიდევ 1898 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა ილია ალხაზიშვილის წერილი „ჯავახეთის საჭიროებანი“. იგი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ატყობინებდა, რომ სოფელ ხიზაბავრის მოძღვარს მიხეილ ვარძელაშვილს სურდა, რომ საზოგადოებისათვის ეთხოვა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნა. საჭირო დახმარებას თვითონ მოძღვარი გაუწევდა: ბიბლიოთეკას გამოუყოფდა ორ ოთახს, საკმარის შეშას, სანათს და დაუნიშნავდა მომსახურე ბიჭს. წერილის ავტორი იმედს გამოთქვამდა, რომ წერა-კითხვის საზოგადოება ყურადღებას მიაქცევდა ხიზაბავრის მოძღვარის თხოვნას: „რათა ამ განაპირა ქვეყნის ისტორიულ მიზეზთა გამო დაკარგული და აწ დაბრუნებული ხალხი გადასაგვარებლად არ გაუუხადოთ უცხო ტომს, რომელნიც ძალას ატანენ ხიზაბავრელ ქართველებს, რომ თქვენ სომხები ხართო (რადგან კონდაკი სომეხ კათოლიკეთა რიგისა აქვთ) და ძალაც შესწევთ, რადგან რიცხვით ჯავახეთში სამოცდაათი ათასი სომეხია... ჯავახეთის ქართველობა ამჟამად შვიდი-რვა ათასი ძლივსდა დარჩენილა“ (ალხაზიშვილი, ი., ახალი ამბები, „ივერია“, N238, 1898). ილია ალხაზიშვილი ქართველ საზოგადოებას შეახსენებდა: „ხიზაბავრა ერთადერთი სოფელია მთელს ჯავახეთში, სადაც 1700 სული

ქართველობა შენახულია იერით, ზნე-ხასიათით, ჩვეულებით და ქართული ენის მესხური კილოთი.“ საზოგადოება თუ დროულად არ აღმოუჩენდა დახმარებას, უეჭველად ჩავარდებიან უცხო ტომის გავლენის ქვეშ. მიუთითებდა, რომ მხოლოდ სკოლის დაარსება არ იყო საკმარისი. იმ დროს საზოგადოების სურვილი საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან ხელისუფლება წინ აღუდგა ამ ეროვნულ საქმეს.

აღნიშნული საკითხის შესახებ ილია მისურაძემ საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში მიაკვლია ხიზაბავრის მცხოვრებთა მიერ 1901 წელს გაგზავნილ თხოვნას: „ჩვენ, ხიზაბავრელებმა ასეთ მონყვეტილ და მივინყებულ კუთხეში განვიზრახეთ ქართული სამკითხველოს დაარსება, რომლითაც შეძლება გვექნება რომ ამ კუთხის ქართველთ გვარის სოფლებში ქართული წერა-კითხვა და დედა-ენა მოეფინოს, ყოველს ქართულს ოჯახში მან კანონიერი აღორძინება მიიღოს.“ აღნიშნული თხოვნა გაგზავნილი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი“. აცნობებდნენ, რომ ამ სოფლიდან საშუალო სკოლაში თითქმის არავინ სწავლობდა. სთხოვდნენ, რომ ეს იყო საშვილიშვილო საქმე და ჯეროვანი ყურადღება მიექციათ - „ვინც კი ჩვენი ისტორია იცის და ის ტანჯვა და ვაება, რაც ამ კუთხეს ოსმალთა მონობის დროს გამოუვლია, მის ამ საშვილიშვილო საქმეში დაუყოვნებლივ ხელს მოგვიწყობს, რათა ამით პატარა ჯავახებს და მესხებს საშუალება მიეცეთ ქართულ ენასთან და მნიგნობრობასთან დაახლოებისა. აღნიშნული წერილის ავტორი მღვდელი მიხეილ ვარძელაშვილი და მასწავლებელი ალექსანდრე ხუციშვილი კონკრეტულად მიუთითებდნენ, თუ რა ესაჭიროებოდათ: „ჩვენი საჭიროება არის უპირველესად შენობის აგება, რომელზეც დიდი დახმარება არ მოუწოდებთ, რადგან აქ მასალა და მუშაობა იაფია და ნივთები და ნიგნები.“

აღნიშნული წერილის საფუძველზე ქმნიკ საზოგადოებამ დაუყოვნებლივ, 1901 წელსვე, 15 ივნისს აღძრა შუამდგომლობა

თბილისის გუბერნატორის წინაშე სოფელ ხიზაბავრაში სახალხო ბიბლიოთეკის გახსნის თაობაზე, რაზეც იმავე წლის 25 სექტემბერს მიიღო უარყოფითი პასუხი. საჭიროდ არ მიიჩნიეს ბიბლიოთეკის დაარსება იმ მიზეზით, რომ ხიზაბავრაში განათლებულ გლეხთა რაოდენობა მცირერიცხოვანი იყო. იმჟამინდელი მდგომარეობით ხიზაბავრაში მხოლოდ ასორმოცდაათი სული იყო წერაკითხვის მცოდნე. მართალია, იმ დროს რუსი მოხელეების შოვინისტური პოლიტიკის გამო ჩაიშალა ბიბლიოთეკის დაარსების საქმე, მაგრამ სულ მალე – 1904 წელს შესაძლებელი გახდა ხიზაბავრაში მისი დაფუძნება. ხიზაბავრის ბიბლიოთეკას დიდი ნივთიერი დახმარება გაუწია გიორგი გაჩეჩილაძემ, რომელმაც თავისი გამოცემებიდან თითო ეგზემპლარი შესწირა. კონსტანტინე გვარამაძემ კი გამომცემლებს თხოვნით მიმართა, რომ თავიანთი გამოცემები შეენიშნათ ხიზაბავრელთათვის, რომელთაც წიგნის სიყვარული დიდი აქვს და ხელმოკლეობა საშუალებას არ აძლევსო. მიუთითებდა, რომ სამკითხველოს შესანიშნავს თბილისში მიიღებდა პატრი დომინიკე მულაშაშვილი და ახალციხეში – მღვდელი ივანე გვარამაძე (გვარამაძე, კ., წერილი რედაქციის მიმართ, „ივერია“, N210, 1904).

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ, XX საუკუნის დასაწყისში სამცხე-ჯავახეთში კიდევ რამდენიმე ბიბლიოთეკა-სამკითხველო იქნა დაარსებული. 1901 წელს – ახალქალაქში. 1910 წელს – ბორჯომში და 1918 წელს – აბასთუმანში. აღნიშნულმა საზოგადოებამ თითოეული ბიბლიოთეკის დაფუძნებით ამ კუთხის მოსახლეობის კულტურული დანინაურების საქმეში მძლავრი ქვაკუთხედი ჩადო.

საყურადღებოა ისიც, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა სა-

ზოგადოებამ 1899 წელს წიგნის მალაზიები დააფუძნა ახალქალაქსა და ახალციხეში, სადაც იყიდებოდა ამ საზოგადოების სტამბაში დაბეჭდილი წიგნები. ჯავახეთში ამ საქმეს, წლების განმავლობაში, წარმატებით უძღვებოდა ილია ალხაზიშვილი („ივერია“, ახალი ამბები, N269, გვ. 2, 1899).

ქმნვე საზოგადოება ყურადღებას არ აკლებდა სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანეს. წიგნებს აწვდიდა იქ დაფუძნებულ აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკას.

ამრიგად, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ნათელი კვალი დაამჩნია სამცხე-ჯავახეთს სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაფუძნებით, ადგილობრივი მოსახლეობის მხარში დგომითა და დახმარებით შესაძლებელი გახადა რამდენიმე ბიბლიოთეკის დაარსება. ისინი წარმოადგენდნენ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს. აქედან გამომდინარე, მის გამგეს მუშაობა უხდებოდა, როგორც მოსახლეობის წერა-კითხვის მცოდნე, ასევე წერა-კითხვის უცოდინარ ნაწილთან. რამდენადაც იქ სისტემატური ხასიათი ჰქონდა კოლექტიურ კითხვას და თვით წერა-კითხვის შესწავლასაც, სწორედ აღნიშნული ბიბლიოთეკა-სამკითხველოების განეულმა მუშაობამ გახადა შესაძლებელი ქართველი მოსახლეობის კულტურული დანინაურება. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თავისი არსებობის განმავლობაში, 1879-1927 წლებში, არ აკლებდა ყურადღებას და ნივთიერ დახმარებას ამ კუთხის ქართველ მოსახლეობას. ამასთანავე, დიდი წვლილი შეიტანა განათლების შემდგომი განვითარების საქმეში, რითაც უზრუნველყო ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების დაცვა-შენარჩუნება.

„მზიანი სულის ანარეკლები“

2022 წლის 27 ოქტომბერს ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილება (ბიბლიოთეკარები ცირა საქიძე, ნელი გოგოლაძე და მანანა კიკნაძე) მკითხველთა ფართო საზოგადოებას შევთავაზეთ ლიტერატურულ - მუსიკალური კომპოზიცია „მზიანი სულის ანარეკლები“, რომელიც ასპინძის სამუსიკო სკოლის დარბაზში ჩატარდა.



ღონისძიება მოიცავდა ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ალიოშა საჯაიას, სევერიან ისიანის, გიორგი ნაფეტვარიძის, გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიებს. მასში მონაწილეობას იღებდნენ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები: გიორგი შეშაბერიძე (ლადო), ამირან კალანდაძე (მირზა), ლაზარე მელიქიძე (ალიოშა), ნიკა შეშაბერიძე (სევერიანი), ბექა ქავთარაძე (გიორგი ნაფეტვარიძე). ღონისძიების წამყვანები იყვნენ და პოეტების ბიოგრაფიებსა და მათი ცხოვრების გზებზე გვესაუბრებოდნენ ნინო ბაბელაშვილი და სოფო ნათენაძე. ღონისძიება მიმდინარეობდა შესაბამისი ვიდეო მასალისა და მუსიკის თანხლებით. მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა დასახელებულ პოეტთა ლექსებზე შექმნილმა სიმღერებმაც. ცირა საქიძემ, ნაირა გოგოლაძემ

და ბექა ზედგინიძემ საამო ჰანგებით აავსეს დარბაზი.



ღონისძიება დაამშვენა და უფრო საინტერესო გახადა შესაბამისმა დეკორაციამ, რომელიც შექმნა ნელი ბერიძემ. დასასრულს კიდევ ერთხელ ვისაუბრეთ ექვსი არაჩვეულებრივი პოეტის ხანმოკლე სიცოცხლესა და ღირსეულ შემოქმედებით გზაზე. მათგან ნაწილი იმ დროისათვის მოურჩენელმა, დაუნდობელმა სენმა იმსხვერპლა, ნაწილი - ტრაგიკულმა შემთხვევამ, ნაწილის სიცოცხლე კი საშინელმა ომმა შეინირა. მოკლედ შევეხეთ ომის თემასაც, მის საშინელ შედეგებსა და გაუმართლებლობას. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სახელით, თანადგომა გამოვუცხადეთ მოძმე უკრაინელ ერს, საშინელ ომში ჩაბმულს, რის შედეგადაც იღუპებიან მშვიდობიანი ადამიანები, უბრალო მოსახლეობა, რომელთა შორის მრავლად არიან ბავშვები, ქალები, მოხუცები... ქვეყნის დაცვას ეწირება უამრავი ჯარისკაცის სიცოცხლე, მათ შორის ქართველებისაც. საომარი ტერიტორიების მკვიდრი მოსახლეობა დევნილად იქცა...

ჩვენ, ქართველებს, ყველაზე მეტად გვესმის მათი ტკივილი, რადგან ქართველმა ერმა უახლოეს წარსულში - გასული საუკუნის მიწურულს, გადაიტანა ბრძოლები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. იმავე მტერთან უთანა-



სწორი ბრძოლაში დავკარგეთ აფხაზეთი მთლიანად, შემდეგ კი - სამაჩაბლო. დაიღუპა უამრავი ადამიანი. უკრაინელების მსგავსად, დევნილად იქცა საქართველოს მოსახლეობაც.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ბრძოლას შეეწირა უამრავი ჯარისკაცის სიცოცხლე. მათ შორის მინდა გამოვყო და განსაკუთრებულად მოვიგონო ჩვენი, ასპინძის რაიონიდან ამ ომში წასული და დაღუპული ახალგაზრდები, რომელთა უმეტესობას 18-20 წელი ამ ომში შეუსრულდა. მათგან ნაწილი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, ნაწილი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ნაწილმა კი თავგანწირული ბრძოლების შემდეგ შეძლო დაბრუნება, მაგრამ შემდეგ, რამდენიმე თვეში ტრაგიკულად დაიღუპა. ჩვენ, ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ ეს გმირულად დაღუპული ჯარისკაცები და მათი ოჯახები რაიონის ხელმძღვანელობის ყურადღების მიღმა არასოდეს არ რჩებიან. ჩვენი მხრიდან კი კიდევ ერთხელ მოვი-

გონეთ ისინი. მათაც ხომ ისევე სწყუროდათ სიცოცხლე, როგორც ჩვენს ღონისძიებაში მოხსენიებულ პოეტებს, მაგრამ ისინიც ჭაბუკები დარჩნენ მარად და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამე დარჩათ სათქმელი.

ჩვენ ქედს ვიხრით მათი მშობლებისა და ახლობლების წინაშე. მადლობა მათ ასეთი გმირების გაზრდისთვის. ნათელში იყონ, სანთელი და საკმეველი არ მოკლებოდეთ მათ სულებს! არდავინყება თქვენ სახელებს: მალხაზ მელიქიძე, მამუკა ზურაბაშვილი, მალხაზ ზედგინიძე, ბადრი მელიქიძე, მერაბ გიორგაძე, ბადრი ბერიძე, ტარიელ ქამაშიძე, ზვიად ლაზარაშვილი, აკაკი გორელიშვილი, დავით თარხნიშვილი, ლერი დათაშვილი, ზურაბ ქუქჩიშვილი, ირაკლი ივანიძე, ტარიელ (ალიკა) ზაზაძე, შალვა ივანიძე.

ჩვენი რაიონის მთავარ ბიბლიოთეკაში ჩატარებულ აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ: ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი როსტომ მაგრაქველიძე; მისი პირველი მოადგილე, დავით პაპაშვილი და რაიონის საკრებულოს დეპუტატი დავით ფართლაძე. სიტყვით გამოვიდა ბატონი როსტომ მაგრაქველიძე, რომელმაც მოიწონა ღონისძიება და დიდი მადლობა გადაუხადა მის ორგანიზატორებს.

იმავე დღეს წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარმა მამა ზაქარია გვარამაძემ ომში დაღუპული გმირების სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა

ზესტაფონის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში...

2022 წლის 15 დეკემბერს ზესტაფონის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა დიდი ქართველი პოეტის ანა კალანდაძის დაბადებიდან 98 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული ღონისძიება.



ანა კალანდაძე

„ანა კალანდაძის ლექსები უმარტივესი ტექნიკითაა შესრულებული თითქოს. უმარტივესია მისი რითმა. ხშირად ჯვარედინად არცაა გართმული. არც თემებია თითქოს განსაკუთრებული, ან ფილოსოფიური. (ქართული ენის ბეჭითი მასწავლებელი გეგონებათ სკოლაში, თუ არ იცით მისი ბიოგრაფია.) რა რჩება? ენა, რომელიც არავის არ ჰგავს, ბიბლიური, სახარებისეული კილო, და სამყაროსთან, მის საგნებთან დამოკიდებულება, როგორც იდუმალებასთან. ეს დამოკიდებულება გულწრფელია, ისე როგორც ძენის პოეტების გაოცება და მედიტირება ყვავილზე, მთაზე, კლდეზე, ხეზე, ნაკადულზე, თუ ასკილზე. მისი ლექსები ფერად პეპლებს

ჰგავს, ასე გგონია რომ შეეხო, დაიშლებიან, მტვერი და ფრთები შეგრჩება ხელში, მაგრამ თუ ამ ლექსებს დააკვირდებით და მასში დამწყვედეული ხმას მოუსმენთ, მთელი სამყარო შეიძლება დაინახოთ მის „ფრთებში,“ ამ „ფრთებზე“ იდუმალ ნახატებში. მისი საუკეთესო ლექსები თავისით შექმნილს გავს, თითქოს ისინი იპოვეს სადღაც დამწყვედეული, ჩვენ უგრძნობლობაში, გამოაჩინეს და გარეთ გამოიტანეს, რომ ისევ ხელახლა დაგვენახა საგნები, ისე როგორც სინამდვილეში არიან, იმის თვალში, ვინც ისინი არყოფნიდან გამოიხმო.“

გონა სხილაძე



ნინო ხვედელიძე

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა


შვეიცარიის კონფედერაციის ქალაქებში XV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო კულტურული ცხოვრების სწრაფი აღმავლობა. ქვეყანა გახდა ინტელექტუალების მიზიდულობის ცენტრი მთელი ევროპიდან, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა ბაზელმა. იქ არსებულმა ტაძარმა ევროპული სულიერების ცენტრის როლი შეასრულა. გაჩნდა სივრცე ჰუმანისტ მეცნიერებს, ეკლესიის ლიდერებსა და მესტამბე-გამომცემლებს შორის აქტიური ურთიერთობისთვის. შვეიცარიის ტერიტორიაზე დაიწყო ახალი საგამომცემლო სახელოსნოების სწრაფი ფორმირება და 1500 წლისთვის სულ მცირე ათ ქალაქში გაიხსნა სტამბა. პოლიგრაფიული ხელოვნების განვითარებას ხელი შეუწყო ბაზელში ქალაქის წარმოების დაწყებამ (1453 წელს) და კონფედერაციის ტერიტორიაზე პირველი უნივერსიტეტის გახსნამ (1459 წელს).

შვეიცარიაში ბეჭდვის დასაწყისი უკავშირდება იოჰან გუტენბერგის მონაფის ბერტოლდ რუპელის (დ. 1494/1495) სახელს. იგი მაინციდან გადავიდა ბაზელში, 1468 წელს დააარსა სტამბა და ქალაქს გააცნო ახალი, „შავი ხელოვნება“. მისი პირველი ბეჭდური გამოცემა ლათინური ბიბლიის ორტომეული იყო. თუმცა, მეთხოუმეტე საუკუნის შვეიცარიის ისტორიაში ყველაზე ნაყოფიერ და სახელგანთქმულ გერმანელ გამომცემლად ითვლებოდა რო-

პირველი ბასტალური ევროპული ბეჭდური ლიტერატურის ისტორიაში

მის კათოლიკური ეკლესიის მსახური იოჰან ბერგმან ფონ ოლპე. მისი დაბადების ზუსტი თარიღი და ადგილი უცნობია. სავარაუდოდ, იგი 1455-1460 წლების შუალედში დაიბადა. XV საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან მან განათლება მიიღო შვეიცარიაში, ქალაქ ბაზელში. იოჰანი ღვთისმსახური გახდა და ადგილობრივ საკათედრო ტაძარში დაიწყო მოღვაწეობა. მომდევნო წლებში ბერგმანს საეკლესიო იერარქიის მაღალი წოდებები მიანიჭეს და მისი ავტორიტეტი გასცდა შვეიცარიის საზღვრებს.

მომავალი გამომცემელი მეგობრებს ირჩევდა ჰუმანისტურად განწყობილ ინტელიგენ-



„ბრიყვთა ხომალდი“. 1497. ბაზელი

ციის წარმომადგენლებს შორის, როგორებიც იყვნენ ევროპაში ცნობილი ლიტერატორები: იოჰანეს რეიხლინი (1455-1522), იაკობ ვიმპელინგი (1450-1528), იაკობ ლოხერი (1471-1528) და სებასტიან ბრანტი (1458-1521). მათ შორის, ბერგმანს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ბრანტთან.


იმდროინდელ სტამბებში ლათინურ ენაზე ბეჭდავდნენ ძირითადად საეკლესიო ლიტერატურას - ბიბლიებს, ლიტურგიკულ ტექსტებს,



„ბრიყვთა ხომალდი“. სატიტულე ფურცელი. 1549. ბაზელი

ეკლესიის მამათა თხზულებებს, კანონიკურ სამართალსა და იურიდიულ ტრაქტატებს. მათ საგამომცემლო რეპერტუარში არ იყო სახალხო გამოცემები მშობლიურ ენაზე. საზოგადოებაში მნიშვნელოვანი პრობლემა იყო პოლიგრაფიული პროდუქციის ნაკლებობა. ამასთანავე, სწავლულთა მიზანი მაღალხარისხიანი ბეჭდური ნიგნების მოპოვება გახლდათ. მალე ბერგმანის მეგობრულ წრეში დაიბადა იდეა - ბაზელში შეექმნათ გამომცემლობა, რომელიც ნიგნებს გამოსცემდა გაუმჯობესებული ბიბლიოგრაფიული და მხატვრული გაფორმებით.

ბეჭდური ილუსტრირებული ნიგნის შექმნის პირველი მცდელობა იყო ზნეობრივ-საგანმანათლებლო ისტორიების კრებულის გამოცემა. ეს ნიგნი, მარკარ ფონ შტეინის მიერ ფრანგული ენიდან 1493 წელს გადართარგმნილი თხზულება „ტურნელი რაინდი“, მასში აღწერილი ისტორიებით მკითხველს მოუთხრობდა ბოროტი და კეთილი მანდილოსნების შესახებ. ნაწარმოების ავტორი, შვედლიე ჟოფრუა დე ლა ტურ-ლანდრი, მეთოთხმეტე საუკუნეში ცხოვრობდა. ბერგმანმა გადანყვიტა ეს თხზულება საუკეთესო ილუსტრაციებით დამშვენებული გამოცემა. იმ დროისათვის ბაზელში ნიურნბერგიდან ჩავიდა ახალგაზრდა, ჯერ კიდევ უცნობი მხატვარი - ალბრეხტ დიურერი. მისი ნამუშევრე-



„ბრიყვთა ხომალდი“. ლათინური გამოცემა. 1497. ბაზელი

ბის დათვალიერებისას ბერგმანი მიხვდა, თუ რა ნიჭიერ და ბრწყინვალე მომავლის ხელოვანთან ჰქონდა საქმე და მან მხატვარს დიდი მიღწევები უწინასწარმეტყველა. ბერგმანმა დიურერს მიანდო „ტურნელი რაინდების“ ილუსტრირება, რომელიც ბაზელელმა პოლიგრაფმა მიხაელ ფურტერმა დაბეჭდა.

გამოცემამ დიდი მოწონება დაიმსახურა. ბერგმანის სტამბაში დაბეჭდილმა პირველივე ნიგნმა მას მთელს ევროპაში გაუთქვა სახელი. ამ ამბავმა ბერგმანი ისე აღაფრთოვანა, რომ საგამომცემლო მოღვაწეობის გაგრძელება გადანყვიტა. ეს სასულიერო პირი მოწოდებით გამომცემლი უფრო იყო, ვიდრე მესტამბე. სავარაუდოდ, მან შეიძინა სტამბა, შრიფტები, დაიქირავა მბეჭდავები და ნიგნების გამოცემა დამოუკიდებლად განაგრძო.

დიდმარხვის წინ, 1494 წლის 11 თებერვალს, ბერგმანის სტამბაში დაიბეჭდა სებასტიან ბრანტის სატირულ-დიდაქტიკური პოემა "Das Narrenschiff" - „ბრიყვთა ხომალდი“.

სებასტიან ბრანტი უმნიკვლო პიროვნება იყო. იგი სტრასბურგში მედუქნის ოჯახში დაიბადა. სწავლობდა ბაზელის უნივერსიტეტში, სადაც 1489 წელს „ორივე სამართალში“ (სამოქალაქოსა და საღვთისმეტყველო) დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა და პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო. ბრანტი ლექციებს კითხულობდა უნივერსიტეტში და



იოჰან ბერგმან ფონ ოლპეს საგამომცემლო ნიშანი



სებასტიან ბრანტი (1458-1521) ამოტივზრულია ჟან-ჟაკ ბოისარის მიერ 1650 წ. ბაზელის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

იქვე, ერთ-ერთმა პირველმა ჩამოაყალიბა ბაზელის ჰუმანიტარული წრე. 1502 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ის იყო სტრასბურგის კანცლერი. ბრანტი ითვლება ლათინური რელიგიური პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ ნარმომადგენელად. ამასთანავე, ის იყო ძველი კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოებების რედაქტორი.

სებასტიან ბრანტის გალექსილი დიდაქტიკური და სატირულ-ეპიკური ნაწარმოები „ბრიყვთა ხომალდი“ გახდა პირველი ბესტსელერი მსოფლიო გამოცემების ისტორიაში. მსუბუქმა სიუჟეტმა, გერმანულმა ხალხურმა ენამ და რაც მთავარია იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების ასახვის დაუფარავმა სიმწვავემ და აქტუალობამ პოემას უდიდესი წარმატება მოუტანა. პოემაში ავტორი ხატოვნად მოგვითხრობდა, თუ როგორ მოიყარა თავი ხომალდზე ყველა წოდებისა და მდგომარეობის ასზე მეტმა ბრიყვმა, რათა ბრიყვთა ქვეყანა „ნარაგონიაში“ მიეცურათ ("Narragonia" გერმანული სიტყვიდან Narr-ბრიყვი). ავტორის ირონია და სარკაზმი გამოწვეული იყო იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების წესითა და მორალით, როდესაც ბრიყვები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ და მათ უფრო მეტად უმართლებდათ, ვიდრე განათლებულ ადამიანებს. ნაწარმოების ძირითადი მოტივი სიბრიყვეა, ხომალდი კი დედააზრის განმსაზღვრელი სიმბოლო, რომელიც რამდენჯერმე ჩნდება პოემაში.

„ბრიყვთა ხომალდი“ შედგება 112 თავისაგან, რომელთაგან თითოეული აღწერს ადამიანს თავისი უგუნურების ნაირგვარი გამოვლენით. განიხილავს, თუ როგორ გარდაიქმნება იგი განუკითხავ უგუნურად, ძუნწად, ჭორიკანად, მოლაღატედ, უზრდელად და ა.შ. პოემაში მკითხველი ეცნობა უზნეო მმართველებს, რომლებიც დაუნდობლად ჩაგრავენ ხალხს, ეკლესიის გაუმაძღარ მსახურებს, რომლებიც უმონყალოდ ატყუებდნენ გულუბრყვილო მრევლს; ადამიანების გაუნათლებლობით მოსარგებლე ფეოდალებს, რომლებიც უზნეოდ ძარცვავდნენ ღარიბებს; მევახშეებს, რომლებიც ყველფდნენ ქვეყნის მოსახლეობას. ნაწარმოების ბოლო თავში ბრანტი ბრიყვებს უპირისპირებს ჭკვიან ადამიანს და აიდილებს გონივრული ცხოვრების წესს. პროლოგი მთავრდება ავტორის სახელით გამოთქმული გართიმული მოსაზრებით.

სებასტიან ბრანტმა კარგად იცოდა, რომ ადამიანთა სიბრიყვის დაცინვა გზას გაუთავისუფლებდა განვითარებას. სწორად ამას აკეთებდა მისი ბრწყინვალე, მაგრამ დაუნდობელი სატირა. „ბრიყვთა ხომალდის“ ავტორი ადამიანური ქმედებების პრობლემატიკას წარმოაჩენდა ბიბლიური ფსალმუნებისა და ფილოსოფოსთა წერილების საფუძველზე. „ბრიყვთა ხომალდი“ ერთ-ერთი ის ნაწარმოებია, რომელმაც ნიადაგი მოამზადა გარდაქმნებისთვის და კათოლიკური ეკლესიის უსაზღვრო ბატონობა შეარყია.

ნანარმოების პოპულარობა ბრწყინვალე პოლიგრაფიულმა გაფორმებამაც განაპირობა. გრაფიურები ალბრეხტ დიურერმა ორი ოსტატის დახმარებით შეასრულა. აქვე უნდა ითქვას, რომ გამოცემის ილუსტრაციებზე წიგნის ისტორიის მკვლევარებმა ვერ მიაგნეს ავტორის ვინაობის დამადასტურებელ ნარწერას და მათი დიურერისეული ავტორობა საეჭვოდ მიიჩნიეს, მაგრამ იმდროინდელი „ეპოქის შემსწავლელმა ხელოვნებათმცოდნეთა და ისტორიკოსთა“ ბოლოდროინდელმა კვლევებმა დაადასტურეს დიურერის ავტორობა.

ალბრეხტ დიურერი ბაზელში ჩავიდა 1492 წლის გაზაფხულზე ან ზაფხულში. მისი პირველი ნამუშევარი გახლდათ იმავე წლის აგვისტოში პოლიგრაფისტ ნიკოლას კესლერის მიერ დაბეჭდილი ნანარმოების „წმინდა იერონიმის წერილების“ სატიტულო ილუსტრაცია. ჩვენს დრომდე მოაღწია საგრაფიურო დაფამ, რომლის უკანა მხარეს არის ავტოგრაფი - „ალბრეხტ დიურერი ნიურნბერგიდან“. შემდგომში მხატვარმა გამომცემელისა და მბეჭდავის - იოჰან ამერბახის დაკვეთით დაამზადა საგრაფიურო დაფები. ისინი ძველი რომაელი დრამატურგის პუბლიუს ტერენციუსის (ძვ. წ. 195-ძვ. წ. 159) კომედიური ნანარმოების 126 ილუსტრაციის გამოსაცემად მოამზადა. მან გრაფიურების დაბეჭდვა ვერ მოასწრო, რადგანაც 1493 წლის აგვისტოში საფრანგეთის ქალაქ ლიონში გამოიცა ტერენციუსის ილუსტრირებული გამოცემა. ამერბახმა კომერციული კრახის თავიდან ასაცილებლად გამოცემა გადაიფიქრა. დიურერის ნახატებიანი დაფები დღემდე შემორჩენილია და ისინი ბაზელის მუზეუმშია დაცული.

„ბრიყვთა ხომალდისთვის“ 103 ილუსტრაცია იყო მომზადებული. აქედან 73 მათგანი დიურერის შესრულებულია. მხატვარს წიგნზე მუშაობა არ ჰქონდა დასრულებული, როცა მას, 1494 წელს, სტრასბურგში გამგზავრება მოუწია. ხის საგრაფიურო დაფებით შესრულებულ 15 გრაფიურას მიაწერენ ქსილოგრაფიის შვეიცარიელ გრაფიორს, რომელიც ბერგმანის „Offizin“-ას ოსტატის სახელით არის ცნობილი. არსებობს მოსაზრება, რომ ბერგმანის სახელოსნოში ხის საგრაფიურო დაფების დამზადებისას ნახატების სახით გამოყენებული იყო

მარტინ შონჰაუერის (1445/1450-1491) ადრეული პერიოდის სპილენძზე შესრულებული გრაფიურები. დანარჩენი გრაფიურების შემქმნელთა ვინაობა უცნობია.

წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული გრაფირებული ტიტულის ზედა ნაწილს გასდევს ნანარმოების სათაური - „ბრიყვთა ხომალდი“. სატიტულო ილუსტრაცია ჰორიზონტალური ხაზით შუაზეა გაყოფილი. ზემო ნაწილში ჩვენ ვხედავთ მასხარების ქუდებიან, დაირებით ხელდამშვენებულ ბრიყვებს, რომლებიც ორთვალათი პირისკენ მიემგზავრებიან; ქვედა ნაწილში კი დახატულია ხომალდი და მისკენ მოცურავე ნავეები. ბრიყვები მღერიან სიმღერას, რომლის საწყისი სიტყვები - „ვიქნებით მხიარულები“ - ნოტებთან ერთადაა წარმოდგენილი. გრაფიურის ქვედა ნაწილში მინერილია - „ხომალდზე, ხომალდზე მეგობრებო, ის უკვე მიცურავს“.

წიგნის ილუსტრაციები მკითხველებს წარმოუდგენს მათთვის კარგად ნაცნობი თანამედროვეობის გალერეას - დიდებულებს, ვაჭრებს, მეცნიერებს, ექიმებს, მინათმოქმედებსა და მუსიკოსებს. გრაფიურებზე მოქმედების ადგილად გამოტანილია ქალაქისა და სოფლის პეიზაჟები, ციხე-სიმაგრეთა და შედარებით მოკრძალებული საცხოვრებლების ინტერიერები. „ბრიყვთა ხომალდის“ დასურათების ინიციატორი სებასტიან ბრანტი გახლდათ. მან ბრწყინვალედ იცოდა ილუსტრაციების შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულება. ავტორმა პოემას წინასიტყვაობაში პატარა ლექსი წაუძღვარა.

წიგნის ბოლო გვერდზე დაბეჭდილია დასკვნითი მონაცემები: წიგნის ავტორი, დაბეჭდვის ადგილმდებარეობა და გამოცემის თარიღი. აქვე გამოსახულია იოჰან ბერგმან ფონ ოლპეს საგამომცემლო ნიშანი, ცენტრალურ ნაწილში მოთავსებული გერბული ფართი, რომელზეც მოჩანს ექვსი ბორცვის თავზე გამოსახული ჰერალდიკური შროშანი. ფარს გარშემო ყვავილოვან ორნამენტად მიჰყვება კლაკნილი არშია, რომელზეც დატანილია წიგნის გამოცემის თარიღი, გამომცემლის ინიციალები და მისი დევიზი.

„ბრიყვთა ხომალდი“ იმდენად მოთხოვნადი წიგნი აღმოჩნდა, რომ 1494 წელსვე საჭირო

გახდა მისი ორჯერ დაბეჭდვა. იოჰან ბერგმანმა ახალი გამოცემები ჯერ 1495 3 მარტს და შემდეგ - 1499 წლის 12 თებერვალს დაბეჭდა. ავტორის სიცოცხლეში „ბრიყვთა ხომალდი“ ექვსჯერ გამოიცა გერმანულ ენაზე, იმ შემთხვევაში, თუ არ ჩავთვლით მრავალრიცხოვან გადაბეჭდილ პირატულ გამოცემას.

სავარაუდოდ, სებასტიან ბრანტს თავადაც უნდოდა პოემის თარგმნა ლათინურ ენაზე, მაგრამ ეს სამუშაო თავის მეგობარსა და მოსწავლეს, ბაზელელ ჰუმანისტს - იაკობ ლოხერს დაავალა. თარგმანის სახელწოდება იყო *”Stultifera Navis“*. წიგნი ბერგმანის სტამბაში დაიბეჭდა 1497 წლის 1 მარტს. ამ გამოცემამ სწრაფად გაარღვია ნაციონალური საზღვრები და ბრანტს საერთაშორისო წარმატება მოუტანა. ძალიან მალე, იმავე 1497 წელს, ქვემო გერმანულ ენაზე ნათარგმნი პოემა სახელწოდებით: *”Das Narren schyp“* გამოსცა ჰანს ვან გეტელმა (1460-1528) ლუბეკში. ასევე, აღსანიშნავია 1519 წელს მესტამბე-გამომცემლის ლუდვიგ დიცის (გარდ. 1559) მიერ დაბეჭდილი გამოცემა სახელწოდებით: *”Dat Nye schip von narragonien“* ქვემო გერმანულ დიალექტზე. პოემა ფრანგულ, ინგლისურ, ფლამანდიურ და შოლანდიურ ენებზე ითარგმნა. მისი ზეგავლენით შეიქმნა მრავალი ნაწარმოები, რომელთაგან ორი ეკუთვნის იაკობ ლოხერის მოსწავლეს, ელზასელ ფრანცისკანელს, პოეტ-სატირიკოსს, ჰუმანისტსა და ღვთისმეტყველს თომას მუნრესს (1475-1537).

მართალია, მეთექვსმეტე საუკუნის განმავლობაში ბრანტის „ბრიყვები“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში სასულიერო წრეები იწუნებდნენ პოემის სიუჟეტს.

იყვნენ მესტამბე-გამომცემლები, რომლებიც ნაწარმოებს მომცრო ფორმატზე ბეჭდავდნენ, რაც გაცილებით იაფი ჯდება და გამოცემის სარფიან გაყიდვას უზრუნველყოფდა. 1572 წლის მარტში ბაზელში მდებარე სახელოსნოში, რომლის სახელი იყო *”Offizin“*, სებასტიან ჰენრიკ პეტერმა დაბეჭდა პერფორირებული გამოცემა ლათინური თარგმანის - *”Stultifera Navis Mortualium“* - მცირე-ფორმატიანი წიგნი, რომელიც მომცრო ზომის გრაფიურებით მდიდრულად იყო ილუსტრირებული.

სხვა გამოცემებისაგან იგი განსხვავდება გრაფიურებზე გამოსახული ბრიყვების ჩაცმულობით, რომლებიც ელეგანტურ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. მათი შემქმნელის ვინაობა არ არის ცნობილი.

ისევე მიუზბრუნდეთ იოჰან ბერგმანს. იგი უმეტესად თავისი ჰუმანისტი მეგობრების ნაწარმოებებს გამოსცემდა. ამის გარდა, ის მაშინდელი აუტანელი ყოფა-ცხოვრების ამსახველ სატირულ ფურცლებსაც ბეჭდავდა სებასტიან ბრანტის გალექსილი ტექსტებით. ბერგმანის გამოცემებს შორის აღსანიშნავია ქრისტიანული კოლუმბის წერილი, რომელშიც მოთხრობილი იყო მისი მოგზაურობებისა და ამერიკის აღმოჩენის შესახებ. ზღვაოსანმა ის ქვეყანა ინდოეთად მიიჩნია. პირველი ამ წერილთაგანი გამოიცა რომში 1493 წლის აპრილში. რამდენიმე წლის შემდეგაც ნაშრომი კვლავ დაბეჭდა.

ლიტერატურაში ცნობილი ბერგმანის *”Offizin“* ერთ-ერთი ვერსიის თანახმად ლათინურად ნიშნავს სახელოსნოს. შუა საუკუნეების ბოლოდან დღევანდლამდე ეს ტერმინი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება სტამბების, ნუმიზმატიკისა და სააფთიაქო ტერმინოლოგიაში. პოლიგრაფიული სახელოსნოები, რომლებშიც მეთხუთმეტე საუკუნის შუა წლებში ინკუნაბულები იბეჭდებოდა, გარდაიქმნენ *”Officina“* ან *”Officin“*-ად. ეს გამომდინარეობდა იქედან, რომ მესტამბე იყო არა მხოლოდ სტამბის მფლობელი, არამედ, ის ამავედროულად იყო გამომცემელი და წიგნებით მოვაჭრეც. სპეციალიზაციის გაფართოებასთან ერთად ეს ტერმინი გაქრა და აღარ იხმარება წიგნის ბეჭდვის და წიგნმცოდნეობით ლიტერატურაში, თუმცა თანამედროვეობაში ეს ტერმინი შესაძლოა შეგვხვდეს საგამომცემლო-პოლიგრაფიული კომპანიის დასახელებაშიც.

იოჰან ბერგმან ფონ ოლპემ დიდხანს იცოცხლა და გარდაიცვალა დაახლოებით 1532 წელს. საგამომცემლო საქმიანობას ის მხოლოდ ექვსი (1493-1499) წლის მანძილზე ეწეოდა, თუმცა მან მსოფლიო ბეჭდური ლიტერატურის ისტორიაში პირველი ბესტსელერის გამომცემლის სახელი დაიმკვიდრა.



თედო ჯავახიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**ვასილ კაჭარავა და მისი წიგნი
„რონალდ რეიგანი
და მისი ათწლეული.
ამერიკა 1980-იან წლებში“**

როგორც მეგობრები იხსენებენ, პრეზიდენტმა რეიგანმა შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებს მას ისტორია, ასე უპასუხა: „ისტორიკოსები, მით უმეტეს ჟურნალისტები, რომელთა უმრავლესობა მემარცხენეები არიან, განსაკუთრებული არაობიექტურებით გამოირჩევიან. ვიმედოვნებ, რომ თავად ისტორია კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი იქნება ჩემი მოღვაწეობის შეფასებისას. მაგრამ სიმართლე გითხრათ, თუ რა ვერდიქტს გამომიტანს ისტორია, ეს მე დიდად არ მაღელვებს, ვიცი რა, რომ ეს ჩემი სიკვდილის შემდეგ მოხდება. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოების, ამომრჩევლების მეხსიერებაში მე მაინც დავრჩები იმ ადამიანად, რომლის ყოველი ნაბიჯი მიმართული იყო იმისაკენ, რომ ამერიკელებში ოპტიმისტური იმპულსები გაღვივებულიყო, რათა ადამიანებში დათრგუნულიყო შიშის სინდრომი და განმტკიცებულიყო ჩვენი ქვეყნის დიადი მომავლისადმი რწმენა.“

მეჩვენება, რომ რონალდ რეიგანის ეს ერთობ სარკაზმნარევი და იმპულსური შეფასება, თუ თანაც გავითვალისწინებთ მის უბადლო იუმორის გრძნობას და ენამოსწრებულობას, არ გამოხატავს მის დამოკიდებულებას საერთოდ ისტორიკოსების და მასმედიის წარმომადგენლების მიმართ, რაც, სხვათა შორის, ტრადიციულად ახასიათებს თითქმის

ყველა ამერიკელ პრეზიდენტს. იყო მუდმივად ჟურნალისტების და ექსპერტების კრიტიკული ყურადღების ცენტრში, გასაგებია, რომ არ არის იოლი საქმე. მით უმეტეს, როგორც ამერიკელები თვლიან, საპრეზიდენტო ისტორიის შემქნელი მეცნიერები და მასმედიის წარმომადგენლები თითქმის ყოველთვის სუბიექტურები არიან - ან უაღრესად აპოლოგეტურად აღფრთოვანებულები და წრეგადასული არიან შეფასებებისას და ან კიდევ უკიდურესად კრიტიკულები. თუმცა, მე მგონია, რომ ამგვარი კატეგორიის მეცნიერები აშშ-ში მხოლოდ გამონაკლისებია. ამერიკელი ისტორიკოსების ღვაწლი - ობიექტურად აღწერო და შეაფასო ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე ურთულესი და კომპლექსური ხასიათის პოლიტიკური პროცესები, - უზარმაზარი და უნიკალურია, განსაკუთრებით კი პრეზიდენტების მოღვაწეობა, რადგან, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მეთაურის ნებისმიერი გადაწყვეტილება, ყოველთვის გლობალური მასშტაბისაა და მყისიერ გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე.

ამ მხრივ, თითქმის ყველა აღიარებს, რომ რონალდ რეიგანი იყო მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკური მოღვაწე, პრეზიდენტი - გარდამქმნელი, ტრანსფორმაციული ლიდერი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული კურსი და ამ ქვეყნის ადგილი და გავლენა გლობალურ პოლიტიკაში. პრეზიდენტი რეიგანის პოლიტიკურ მოღვაწეობას, მის ე.წ. „კონსერვატორულ რესპუბლიკანიზმს“, კომუნისტური იდეოლო-



ვასილ კაჭარავა



გეისადმი უკომპრომისო, შეუპოვარ და მხურვალე ბრძოლას, მის მიმზიდველ და უშუალო სტილს, ორატორულ ქარიზმას, ამერიკის შეერთებულ შტატებში და საერთოდ, მსოფლიოში, უამრავი პუბლიკაცია ეძღვნება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვეყნის პრეზიდენტების ცხოვრებას და მოღვაწეობას და, საერთოდ, საპრეზიდენტო ინსტიტუტის ფუნქციონირებას, ტრადიციულად უამრავი აკადემიური თუ პუბლიცისტური ჟანრის გამოცემები ეძღვნება - ბიოგრაფიები, მონოგრაფიები, დისერტაციები, სოლიდური საგაზეთო ესეები, ანალიტიკური სტატიები, სატელევიზიო რეპორტაჟები და გადაცემები. უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიკოსებთან და მასმედიის წარმომადგენლებთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია ცნობილი ამერიკელი მწერლებისა და კინორეჟისორების საინტერესო ნამუშევრები.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების აკადემიურ და საუნივერსიტეტო წრეებს, პრეზიდენტის ინსტიტუტი, მისი ურთიერთობა კონგრესთან, უზენაეს სასამართლოსთან, პრესასთან, ხელისუფლების ე.წ. „მეოთხე შტოსთან“, განსაკუთრებით კი მისი საგარეო ასპარეზზე მოღვაწეობა, ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. პრეზიდენტის საქმიანობას სწავლობს და აანალიზებს ამერიკის შეერთებული შტატებში მოქმედი უამრავი კვლევითი ცენტრი,

უნივერსიტეტები, საპრეზიდენტო ბიბლიოთეკები და ა.შ. ამგვარად, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ინტერესი თეთრი სახლის მიმართ უშრეტო და თითქმის მისტიური: საზოგადოებას მუდმივად აინტერესებს (და არა მხოლოდ ამერიკაში) პრეზიდენტის საქმიანობის როგორც საჯარო, ასევე კულუარული დეტალები და ნიუანსები.

ბუნებრივია, ამ მხრივ ყველაზე ნაყოფიერები იყვნენ და არიან ამერიკელი ისტორიკოსები - კარლ სენდბერგი, სტივენ ამბროუზი, მ.ი. ბრედფორდი, ჯორჯ ნეში, ალონზო ჰამბი, მამა-შვილი შლეზინგერები, ბრწყინვალე ისტორიკოსებად ტრასნფორმირებული ყოფილი პოლიტიკოსები, როგორც სტროუბ ტერლბოტი, კონდოლიზა რაისი, ფიონა ჰილი; ამ ჩამონათვალში უდავოდ აღსანიშნავია ამერიკული ჟურნალისტიკის ისეთი მეტრები, როგორებიც იყვნენ უოლტერ ლიპმანი, დევიდ ჰალბერსტამი, ბენ ბრედლი, დლესაც აქტიურად მოქმედი ბობ უოდვორდი, კარლ ბერსტაინი და მრავალი სხვა.

ყოველი მათგანის ნაშრომი უდავოდ ამდიდრებს ჩვენს ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს ამერიკის შეერთებული შტატების, ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორის სახელმწიფო მანქანა, როგორ მიიღება მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ სტრატეგიული ხასიათის გადაწყვეტილებები ქვეყნის პირველი პირის დონეზე. ეს, ჩემი აზრით,

ფასდაუდებელი ინფორმაციაა, რომელიც უნდა დაეხმაროს ქართველ პოლიტიკოსებს, ადეკვატური და რელევანტური ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებაში.

თუმცა ამერიკელი ავტორების ნაშრომებთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია სხვა უცხოელი და, მათ შორის, ქართველი ისტორიკოსებისა და ანალიტიკოსების აზრი. ისინი ამერიკას ხომ სხვა, მეტად საინტერესო პერსპექტივიდან - „გარედან“ აღიქვამენ. როგორც ედუარდ დე ბონო, ცნობილი მალტელი მეცნიერი მიანიშნებდა, „ხანდახან, როდესაც პრობლემას ერთი მხრიდან უყურებ, მისი გადაჭრის გზები არ ჩანს, მაგრამ მთავარია შეხედო მას სხვა მხრიდან, რომ დაინახო, როგორ მოიქცე და როგორ გადაჭრა პრობლემა.“

ამ მხრივ, უაღრესად მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის, მისი პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების და პრეზიდენტების მოღვაწეობის შესწავლას ნაყოფიერად ეწევა თსუ-ს ამერიკისმცოდნეობის ცენტრი. ამ ურთულეს პროცესში და მის სწორად წარმართვაში, განსაკუთრებული როლი ეკუთვნის პროფესორ ვასილ კაჭარავას, რომელიც დაარსების დღიდან (1998წ.) ხელმძღვანელობს ამ ცენტრის საქმიანობას და თავის ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად სათავეში უდგას აშშ-ს ისტორიის სხვადასხვა ეტაპების და პერიპეტეიების კომპლექსურ შესწავლას და მეცნიერულ ანალიზს. პროფესორი ვასილ კაჭარავა უაღრესად ნაყოფიერი პედაგოგი და მკვლევარია, რომლის სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება აშშ-ს პრეზიდენტების მოღვაწეობაა. შთამბეჭდავი მონოგრაფიების სიას, პროფესორმა კაჭარავამ შემატა ახალი ფუნდამენტური ნაშრომი **„რონალდ რეიგანი და მისი ათწლეული. ამერიკა 1980-იან წლებში“**, რომლის რეცენზირების პატივი მე მერგო.

ამერიკის შეერთებული შტატების ნებისმიერი პრეზიდენტის მოღვაწეობის ანალიზი, მხოლოდ უზარმაზარი მოცულობის ისტორიული ფაქტობრივი მასალების (რაც თავისთავად ურთულესია) შესწავლით და პრეპარირებით არ შემოიფარგლება. ეს უაღრესად შრო-

მატევადი პროცესი ღრმა და ფუნდამენტური ხასიათის კომპლექსურ, მრავალდარგობრივ ცოდნას მოითხოვს. აქ იგულისხმება ამერიკის ისტორია, მისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა, სოციოლოგია, კულტუროლოგია, ფსიქოლოგია, მთლიანად გლობალური პოლიტიკა, რომელშიც ამერიკის ამა თუ იმ პრეზიდენტს უხდებოდა მოღვაწეობა და საკუთარი ქვეყნის ხელმძღვანელობა.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პროფესორმა კაჭარავამ წარმატებით შესძლო ამ ურთულეს ამოცანასთან გამკლავება. მეთოდოლოგიურად, სტრუქტურულად და კონცეპტუალურად, მონოგრაფია მყარად არის შეკრული და, რაც მთავარია, დაწერილია მიუკერძოებელ სტილში. სწორედ ამ კუთხით პროფესორმა კაჭარავამ ობიექტურად აღწერა რონალდ რეიგანის საქმიანობა და მისი ცხოვრებისეული გზა, ჰოლივუდის მეორეხარისხოვანი მსახიობის კარიერიდან დაწყებული და დამთავრებული კალიფორნიის შტატის გუბერნატორობით, აშშ-ს პრეზიდენტობით. მონოგრაფიის ავტორმა შესძლო, სხვა ისტორიულ მოვლენებთან ერთად, პოლიტიკურად და ფსიქოლოგიურადაც ზუსტად გადმოეცა პრეზიდენტ რეიგანის უნიკალური უნარი - ეფექტურად და, ამავე დროს, კონცენტრირებულად გამოეყენებინა თეთრი სახლის ტრიბუნა (ეგრეთ წოდებული „Bully Pulpit“ - ეს ტერმინი პოლიტიკურ ლექსიკონში პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა შემოიტანა), მსოფლიოში აღიარებული ამ უმაღლესი პოლიტიკური პოდიუმის განუმეორებელი მუხტი, მიზიდულობა და ენერგეტიკა, რომელიც ანიჭებს მოქმედ პრეზიდენტს უნიკალურ და მძლავრ პოლიტიკურ რესურსს, გააცნოს და გაუზიაროს ადამიანებს საკუთარი პოლიტიკის მრწამსი, დაარწმუნოს მის სისწორეში და უფრო მეტიც, შთააგონოს და ამ პოლიტიკის რეალიზების თანამონაწილე გახადოს. როგორც ისტორიკოსები და ანალიტიკოსები (რეიგანისადმი კრიტიკულად განწყობილები) აღნიშნავენ, ორი მოგვარე პრეზიდენტის, თეოდორ და ფრანკლინ რუზველტების შემდეგ, არავინ იყენებდა ასე ეფექტურად თეთრი სახლის ტრიბუნას, როგორც პრეზიდენტი რეი-

განი, რისთვისაც მას თანამემამულეებმა მეტ-სახელად „დიდი კომუნიკატორი“ შეარქვეს.

ნებისმიერი ამერიკელი პრეზიდენტის მოღვაწეობის, მიღწევების თუ წარუმატებლობების შეფასება შეუძლებელია, თუ მისი საქმიანობა არ იქნება განხილული ისტორიულ და სტრატეგიულ კონტექსტში. ეს ძალიან რთული, სიზიფეს შრომის ტოლფასი ამოცანაა. მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ მკვლევარებს შესწევთ უნარი, დაინახონ და შეაფასონ ნებისმიერი პოლიტიკოსის, განსაკუთრებით კი ამერიკის პრეზიდენტის, საქმიანობა ისტორიულ და გლობალურ კონტექსტში - სტრატეგიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ა.შ. პირობების გათვალისწინებით.

ამ მხრივ - და ამიტომაც (!) - პრეზიდენტ რეიგანის მ-წლიანი მოღვაწეობის სრულფასოვანი, კომპლექსური შეფასება ნებისმიერი ისტორიკოსისათვის ურთულესი ამოცანაა! წარმოიდგინეთ, რა ურთულესი პრობლემების გადაჭრა უხდებოდა პრეზიდენტ რეიგანს - ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ევროპასთან, განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლის პრობლემები, ე.წ. „ვარსკვლავური ომების“ მასიური პროგრამა და მის რეალიზებაში საბჭოთა კავშირის ჩათრევა (რაც შემდგომ, სსრკ-ს დაშლის ერთ-ერთ ფაქტორად იქცა) და ა.შ. რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდი აშშ-ს ისტორიაში „რეიგანის რევოლუციის“ სახელით შევიდა. სწორედ რონალდ რეიგანმა და მისმა სტრატეგიულმა პროგრამამ შეცვალა ამერიკის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული იერი. რეიგანის პოლიტიკამ აგრეთვე დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო პოლიტიკაზეც - ჯერ შეაწვდომდა, დაშალა და შემდეგ, ხელახლა ააწყო არსებული ისტორიული თუ სტრატეგიული ბალანსები და ინტერესების სფეროები, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე მთელ მსოფლიოში.

ისტორიკოსები და ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ რონალდ რეიგანმა რადიკალურად შეცვალა ამერიკის პოლიტიკური ლანდშაფტი და ქვეყანას დაუბრუნა დავინწყებული, კონსერვატორული ღირებულებები.

ჩემის მხრივ მოკრძალებულად დავამატებდი, რომ კონსერვატორული იდეალების ინკორპორირება ამერიკის პოლიტიკურ პროცესში, რონალდ რეიგანმა მოახდინა მხოლოდ ზომიერი, განონასწორებელი პოლიტიკის გატარებით, რითაც ამერიკას შეუნარჩუნა საკუთარი უნიკალური იდეოლოგიის (ლიბერალიზმის) საბაზისო ელემენტები. აღსანიშნავია, რომ „რეიგანიზმის იდეოლოგიამ“, ქვეყნის სწორად მართულმა საგარეო პოლიტიკამ გაამყარა, როგორც ამას თავად რეიგანი იმედოვნებდა, ამერიკელების რწმენა საკუთარი ქვეყნის სიდიადეში. მიუხედავად იმ პერიოდის პრობლემებისა, (ე.წ. „ირან-კონტრას“ სკანდალი, რთული სტრატეგიული გამბიტი დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ.), რეიგანის საპრეზიდენტო მმართველობის დრო ამერიკა წელში გასწორდა და უფრო ძლიერი გახდა. ამიტომაც ამერიკელი ისტორიკოსების და სოლიდური პოლიტიკური მიმომხილველების უმრავლესობა თვლის, რომ რონალდ რეიგანი იყო განსაკუთრებული რანგის, გამორჩეული პრეზიდენტი (exceptional president), რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და მათი გავლენა გლობალურ პოლიტიკაზე, მომავალში კიდევ ბევრჯერ გაგვაოცებს.

ამიტომაც, პრეზიდენტ რეიგანის პრეზიდენტობის, პოლიტიკური პერიპეტიებით სავსე პერიოდის ადეკვატურად აღწერა და გაანალიზება, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ნებისმიერი მკვლევარისათვის ურთულეს შრომასთან არის დაკავშირებული. პროფესორმა კაჭარავამ ამ ამოცანას წარმატებით, მე ვიტყვოდი, ელეგანტურად გაართვა თავი. გასაგებია, რომ მისი მონოგრაფია საყურადღებო იქნება პროფესიონალი მკვლევარებისათვის, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო იქნება ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებისათვის, რადგან, ვიმედოვნებ, რომ აღნიშნული მონოგრაფია საშუალებას მისცემს ქართველ მკითხველს, განსაკუთრებით კი მომავალ პოლიტიკოსებს თუ მეცნიერებს - გაეცნონ ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდს.



დიდი ღაბრუნება მარიამ მარჯანიშვილის წიგნით „დერჩის ქვების ღაღადისი“

ლოლა სანია

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილოლოგიის დოქტორის მარიამ მარჯანიშვილის რიგით მეექვსე წიგნი-ალბომი „დერჩის ქვების ღაღადისი“ 2021 წელს დაბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანმა“. ეს ახალგაზრდა მეცნიერის მეოთხე წიგნია, რომელიც მან ქართული ემიგრაციის საკითხებს მიუძღვნა. ამ წიგნით მარიამ მარჯანიშვილმა საზოგადოებას მოუთხრო სამშობლოში თით-

ჩართვით, წარსდგა ფოთელ მკითხველთა წინაშე, რასაც ფართო აუდიტორიის დიდი გამომხატურება მოჰყვა.

შემდეგ ხსენებული წიგნის წარდგენა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრში გაიმართა. ცენტრის დირექტორმა, ბესიკ არახამიამ, მკითხველებს ზოგადად გააცნო მარიამ მარჯანიშვილის შემოქმედება, შემდეგ კი ისაუბრა მის ახალ წიგნზე „დერჩის ქვების ღაღადისი“ და აღნიშნა: „მართალია, დღემდე უცნობი ქართველი მოქანდაკის ნოდარ ბანძელაძის ნიჭი დააკლდა ქართულ კულტურას, მაგრამ ვინაიდან ხელოვნება ურთიერთობის საე-



სამტრედიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

ქმის უცნობი, უზბეკეთში გადახვეწილი და იქ მოღვაწე ქართველი მოქანდაკის ნოდარ ბანძელაძის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ბიბლიოთეკამ წარადგინა ეს გამოცემა საზოგადოების წინაშე, მან შეახვედრა ერთმანეთს წიგნის ავტორი და სხვადასხვა თაობის დაინტერესებული მკითხველი.

გასულ წელს, პირველად „საბიბლიოთეკო კვირეულის“ ფარგლებში, მარიამ მარჯანიშვილი თავისი ახალი წიგნით, პირდაპირი



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრში

რთაშორისო ენაა, მას საზღვრები არ გააჩნია...“ და, რაც მთავარია, „დერჩის ქვების ღაღადისის“ ავტორმა - მარიამ მარჯანიშვილმა შეძლო მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძე და მისი შემოქმედება ასე დაებრუნებია სამშობლოსათვის. ამ მხრივ წიგნმა და მისმა ავტორმა მკითხველთა დიდი მონონება დაიმსახურა“.

ბორჯომის ცენტრალურ ბიბლიოთეკასაც მთელი კოლექტივისათვის კარგად ნაც-



ბორჯომის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

ნობი მკითხველი - მარიამ მარჯანიშვილი, ახალ ამპლუაში წარუდგინა საბიბლიოთეკო საქმის კოორდინატორმა ნაირა ალხაზაშვილმა. მკითხველთა ფართო აუდიტორიამ, მათ შორის სასულიერო პირებმა, მადლობა გადაუხადეს „დერჩის ქვების ღალადის“ ავტორს სამშობლოსათვის „დაკარგული შვილის“ ამ სახით დაბრუნების გამო, რაც ღვთისა და ერის წინაშე ვალმოხდილების გამომხატულებაა.

ასევე, დიდი აღტაცებით შეხვდნენ მათთვის კარგად ნაცნობ ახალგაზრდა მეცნიერსა და მწერალ-დოკუმენტალისტს, მარიამ მარჯანიშვილს, სამტრედიელი მკითხველები. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა ლამარა დუნდუამ შეკრებილთ კიდევ ერთხელ, მორიგი ნამუშევრით წარუდგინა მინვეული სტუმარი. შეხვედრის დასაწყისშივე გაზეთ „სამტრედიის მაცნეს“ პასუხისმგებელმა მდივანმა, ლევან გაბეჩავამ, ისაუბრა ავტორის მრავალმხრივ შემოქმედებით მოღვაწეობაზე და კვლავაც დაუდასტურა სამტრედიელთა პატივისცემა. ღონისძიების ორგანიზატორებისა და ბიბლიოთეკის სახელით, ბიბლიოთეკარმა რუსუდან კახიანმა „დერჩის ქვების ღალადის“ ავტორის მოღვაწეობის შესაფასებლად მოიშველია ამ წიგნის რედაქტორის, მწერალ როსტომ ჩხეიძის სიტყვებიც: „მარიამ მარჯანიშვილი უცხოეთში მოღვაწე ქართველობას კვალში ჩადგომია და გულმოდგინედ დაეძებს ახალსა და უცნობ მასალებს მათი ღვანლის წარმოსაჩენად“.




ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში

დაიხ, მარიამ მარჯანიშვილმა გააცოცხლა სამშობლოდან უცხოეთში გადახვენილ სამტრედიელთა ნაფიქრ-ნააზრევი თავის ნაშრომებში: „ლეო ჭეიშვილი - არგენტინაში მოღვაწე ქართველი მწერალი და მეცნიერი“, „ქართველი ემიგრანტული მწერლობის სამხრეთ ამერიკული პერიოდი“, „ჯანესი - ქართველი ემიგრანტი“. აღნიშნულმა წიგნებმა უკვე რამდენიმე წელია, რაც ბინა ჩვენს ბიბლიოთეკაში დაიდეს. დარწმუნებული ვარ, როგორც აქამდეც, ისე მომავალშიც მას ჩვენი მკითხველები აქტიურად გაცნობიან და გამოიყენებენ.

სამტრედიაში ჩატარებულ აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეები, რომელთაც საინტერესო ეპიზოდები წაიკითხეს მარიამ მარჯანიშვილის წიგნ-ალბომიდან.

დასახელებული წიგნის წარდგინებასა და მის ავტორთან შეხვედრას დაესწრო მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გიორგი მეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნათია პაპავა, საკრებულოს წევრი ლიზა კრავეიშვილი, ხელისუფლებისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები: საზოგადო მოღვაწე ნათელა გელიშვილი, ფილოლოგი ნინო ტონია, სამტრედიის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ორგანიზატორი ჯონი ნადირაძე და სხვები.

გვნამს, „დერჩის ქვების ღალადის“ ღირსეულ სამსახურს გაუწევს ქართველ ემიგრანტთა მოღვაწეობითა და ქართული კულტურით დაინტერესებულ საზოგადოებას.



ჟაკლინ სირაძე

მწერალი, ლიტერატურათმცოდნე

გულწრფელობის ორი ველი – ჯერომ სელენჯერი და ნოდარ დუმბაძე


მელიც „სოციალური ცხოვრების დროში“ (ზ. სმითი) ვერ ჩაენერება – ჯერომ სელენჯერის შემთხვევაში ის ინტიმური სამყარო, რომელსაც პიროვნული „მე“ წარმოთქვამს თავის მარტოობაში ან მარტოობის ცოცხალი განცდით სხვასთან მიმართებაში. ნოდარ დუმბაძესთან კი იმის ხელახლა დაბადება და გაცოცხლება, რასაც მერაბ მამარდაშვილი ქართველების ტალანტს უწოდებს: – „წარმოუდგენელი სწრაფვა სიცოცხლის სიხარულის მიმართ“.

1. უბრალო თანხვედრა, თუ სულიერი კავშირი?!

განა უბრალო თანხვედრაა, რომ ჯერომ სელენჯერის რომან „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში...“, თუ ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ მთავარი პერსონაჟები გულწრფელობის იმ ბილიკს მიუყვებიან, მათ დაკარგული ჭეშმარიტების სანაცვლოდ, გულწრფელობის გზით ნაპოვნ სულის მღვიძარე მდგომარეობას რომ აპოვნინებს?

თუ ამერიკელი მწერალი თავისუფალი ქვეყნის შვილია, რომელშიც ისტორიის კალენდარი მისი პულსაციაა, ქართველი მწერალი იმ ტოტალიტარული ქვეყნის შვილობილია, რომელიც დროიდან გავიდა და ისტორია გააუქმა.

და მაინც, როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, ორივეგან იკითხება არა ერთნაირი მანერით და მაინც გულწრფელობის, შეუღამაზებელი, ლაზღანდარა ტონით საყვედური თუ ირონია წარსული, კლასიკური ფილოსოფიისა თუ მხატვრული ნაწარმოებების მისამართით და მათი ერთგვარი გადაფასება იმ აზრით, რომ მათში ვერ გამომჟღავნდა და დაფარული დარჩა ადამიანის ის დრო, რო-



ნოდარ დუმბაძე

სშირად მიკითხავს ჩემი თავისთვის, – აი ეს ფრაგმენტი, შეიძლება კი სელენჯერის ამ ნაწარმოების ნაწყვეტად მიგვეჩნია? უფრო სწორედ კი, აი ამ ფრაზებით ხომ არ ხვდებიან ისინი ერთმანეთს სტილის თვალსაზრისით?

– „მე რა, მე ჩვეულებრივი სოფელი ბიჭი ვარ, წიგნების ჩანთაში ხილი, შურდული და ფიშტო მინყვია. დაზამთრებამდე სკოლაში ფეხშიშველა დავდივარ, მაქვს ერთი შარვალი და ყოველ წელს ორი საშემოდგომო გამოცდა. რადგან ძალღი მურადა სულ თან დამყვება, სოფელში სულძალდიანს მეძა-

ხიან, სკოლაში – ყალთაბანდს, ხოლო ბებია კუდიანს მეძახის. ჩემი ნამდვილი სახელი ზურიკოა" (ნ. დუმბაძე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“).

2. შეშლილი ხომალდი, ალისფერი სანადირო ქუდი და იესო ქრისტე

ჩემი ღრმა რწმენით, ქრისტიანული დოგმებისა და მცნებების არა გადაფასება, არამედ მათში ჩამარხული საზრისის ხელახლა გაცოცხლება პოლდენის საყვარელ, სანადირო ალისფერ ქუდში განსხეულდა. თუმცა ამას ეკლი (პენსის სკოლის უფროს-კლასელი) თავისი ანგარებიანი ბუნების შესაბამისად, არასწორად „განმარტავს“ – „ეს ირმებზე სანადირო ქუდია“, პოლდენი კი თავისი სულიერი გზის, ამ დაფარული ტექსტის რამდენიმე ფრაგმენტს განმარტავს, როცა ამბობს:

„ადამიანებზე სანადიროდ დავდივარ ამ ქუდით“.

არ ვიცი, ჩემამდე ვინმემ თუ აღნიშნა, რომ სანადიროდ წასვლა ამერიკულ და ზოგადად, ამ ლიტერატურის მოყვარულთა, მასში გაცნობიერებული მკითხველისთვის უდავოდ ჰერმან მელვილის გახმაურებული რომანის „მოზი დიკის“ ასოციაციას გამოიხმობს ჩვენგან. მოგეხსენებათ, მასში აღწერილია ვეშაპზე ნადირობა, რომლის საიდუმლოება, ლორენსის თანახმად, მდგომარეობს იმაში, რომ შეშლილი ხომალდი განასახიერებს ჩვენს ცივილიზაციას, ხოლო ვეშაპი იესო ქრისტეს – „პირველ საუკუნეებში იესოს უწოდებდნენ ვეშაპს“ (ჩეტუს – ლათ. ვეშაპი); ქრისტიანები კი მისი პატარა თევზები იყვნენ. <...> (დ.ჰ. ლორენსი „ესეები“, გვ. 185). საქმე ის არის, რომ რომანში ეს შეშლილი გემი და შეშლილი კაპიტანი, თავისდა შეუგნებლად, ვეშაპის (იესო ქრისტეს) განადგურების აკვიატებული იდეით არიან შეპყრობილი, რის გამოც ეს ცივილიზაცია ილუპება კიდეც.

გამოდის, რომ კოლფილდი ვეშაპზე – იესო ქრისტეზე კი არ ნადირობს, არამედ ადამიანებზე (ყოველ კონკრეტულ ადამიანზე, თავის თავში იესო ქრისტეს გაცოცხლების,

მასთან ცოცხალი საუბრის პოტენციას რომ ატარებს). ეს ნადირობა თითქოს ენათესავება კიდეც იმას, რასაც ს. კირკეგორი არჩევანის ნებელობითი აქტით განხორციელებას რომ უწოდებს.

არჩევანის პირისპირ პოლდენის სული ძრწის, სასონარკვეთილია, მრისხანეა და მკითხველი ყოველ წამს „ესწრება“, თუ როგორ ქმნის ის ხელახლა თავის თავს. ამიტომაცაა, რომ მის გზას არ ესადაგება სოკრატეს სიტყვები: „შეიცან თავი შენი“, ის ხელოვანის დარად ქვითინით აღსავსე სულს დაატარებს, ამიტომაცაა, რომ მას პოეტის გუმანითა და ინტუიციით შეუძლია იგრძნოს ისეთი რამ, რაც ყოფიერების რუტინაში მყოფთათვის უჩვეულოცაა და შეუძლებელიც.

3. „და მიუხედავად“...

ქართული იუმორის ძალმოსილება

ნოდარ დუმბაძის რომანში – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ კი, უბრალოდ გულუბრყვილო, ობოლი ბიჭის თავგადასავალია გადმოცემული, რომელსაც პოლდენის მსგავსად არ სჭირდება სასონარკვეთა და რისხვით აღვსება სამყაროს მიმართ. და, როცა ნაწარმოების პირველივე ფრაზაში: „ყოველ გაზაფხულზე წყალს ხიდი მიაქვს და სოფელს მხოლოდ ხიდის თავი რჩება. მიუხედავად ამისა, ჩემი სოფელი მაინც ყველაზე ლამაზი და მხიარული სოფელია <...>“ (ნ. დუმბაძე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) ჩაინერება სიტყვა – „მიუხედავად“, ის თითქოსდა მინიშნებაა, ხაზგასმია, რომ ცხოვრების ტრაგიკული შინაარსის, თუ აუტანელი სიმძიმის „მიუხედავად“, ხალხმა მთხრობელის დარად ეს მოცემულობა სოფლის სახელწოდებად აირჩია და მასში სიცოცხლის უპირობო მიღებას მხიარულ, მსუბუქ შინაარსთან ერთად, დისტანციის მიერ ნაბოძებ ირონიასაც ჩადებს.

და მაინც სიტყვა „მიუხედავად“, უფრო მეტს გვეუბნება. ის იმ ეგზისტენციალურ სივრცეში მიგვიძღვება, რომელშიც ზურიკელას სულის მოსაუბრენი – ილიკო, ილარიონი და ბებია მყოფობენ. შესაბამისად, ვინც ცხოვრებას აღიქვამს როგორც ქართველი ადამი-

ანი, არა ზედაპირულად, და მაინც თამამ-თამაშით და მხიარული ირონიით: „ჩემი სოფელი მაინც ყველაზე ლამაზი და მხიარული სოფელია“ – ამბობს ზურიკელა, რადგან მასში თავისი არსებობის ერთადერთობა აღმოაჩინა, და სწორედ ამ ერთადერთობის, მისი ეგზისტენციის ნაწილნი არიან მისი ბებია, ილიკო, ილარიონი და მურადა.

4. რაბლესული ხარხარი ტირანის სასარგებლოდ?!

ნოდარ დუმბაძის ეს რომანი, ერთი შეხედვით სალალბო, თავშესაქცევი ნაწარმოები, ქართული საზოგადოების თითქმის ყოველმა წევრმა ზეპირად იცის და ისე გაითავისა, რომ თავისდა უნებურად აღარც კი ახსოვს, რომ ის ოდესღაც არ არსებობდა, ის თითქოს ქართული ფოლკლორიდან ამოიზარდა და მისი ავტორი არა ვინმე ნოდარ დუმბაძეა, არამედ თავად „მისი უდიდებულესობა“ ქართველი ხალხი.

მაგრამ, თუ დავფიქრდებით, როდის შეიქმნა ეს რომანი და როდის გამოქვეყნდა, საგონებელში ჩავვარდებით (მოგეხსენებათ ხელოვნების ნაწარმოების ნებისმიერი აღქმისთვის აქსიომაა დროის კონტექსტის გათვალისწინება). რომანი, რომელიც ფრანსუა რაბლეს დარად, დაუფარავად დასცინის სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობას – ეს იქნება სკოლა, მისი განათლებისა და აღზრდის სისტემა, ეკლესია, კოლმეურნეობა, პოლიცია, კომპარტია და მათში არსებული კორუფცია. და როცა დააზუსტებ, რომ წიგნი გამოვიდა 1960 წელს, საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული რეჟიმის დროს, გაცეხული და გაოგნებული რჩები, როგორ მოხდა, რომ კაცი, რომელიც სასაცილოდ იგდებს, დაუფარავად ამასხრებს ყველაფერ იმას, რასაც დოგმატიზმის ხასიათი აქვს, ხარხარებს პლაკატურობასა და აგიტაციაზე, ვერ ეგუება დამრიგებლურ ტონს, რატომღაც სახელმწიფო არაერთხელ აჯილდოებს. სასაცილოა და ღრმად დამაფიქრებელია ილიკოსა და ილარიონის საუბარი მეორე მსოფლიო ომის თაობაზე. ამ დროს, გეჩვენება, რომ სამყაროს ძალიან დიდი დისტანციიდან დაჰყურებ,

საიდანაც ადამიანების საქმიანობა – ომობანა, ბავშვების უაზრო თამაშს მოაგავს. მათ საუბარში სახელმწიფოები, როგორც ეს ბავშვურ წარმოსახვებში ხდება პერსონიფიცირებული არიან. მაგ.: „თურქეთი ჟულიკია“, „იპონია ზევით რომაა, ერთი იმხელა მიწა-შია...“ და ა.შ. და ა.შ.



ჯერომ სელენჯერი

მოდით, ეხლა კი გავიხსენოთ, თუ როგორ დასცინის ზურიკელა საბჭოთა კავშირის „აღმშენებლობის სიდიადეს“?

– „ჩემი სოფლის გორაზე დგას ერთი ნაძვის ხე, ნაძვის ხეზე დანგრეული ეკლესიის სამრეკლოდან ჩამოხსნილი ზარი კიდია. ეკლესია, სანამ დაანგრევდნენ, ჯერ კლუბად გადააკეთეს, მერე საწყობად, მერე ბოსელი იყო შიგ, მერე მედპუნქტი, მერე ბიბლიოთეკა, მერე გარაჟად და ფურნედ გადააკეთეს, მერე სამკითხველოდ, ახლა ისევ დარღვეს. ილიკომ უთხრა ბებიას, მგონი ისევ ეკლესიად უნდა გადააკეთონო“ (ნ. დუმბაძე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“).

– არ ვიცი, შეიძლება კი უფრო ოსტატურად გაამასხრო ადამიანის საქმიანობა, რომელსაც ყოველგვარი დანიშნულება დაუკარგავს, მაგრამ მთავარი კი აქ ისაა, რომ მათთვის (კომუნისტებისთვის) არ არსებობს ისეთი რამ, რაცაა საგნის საკრალურობა და მაინც რა მოხდა? რა მოვლენებმა იჩინა

თავი, როცა ამ რომანის გამოქვეყნება არ აიკრძალა?

ორში ერთია – ან სახელმწიფომ სერიოზულად ვერ შეაფასა მწერლის კრიტიკა ან სათავისოდ გამოიყენა ის, როგორც ტირანი ხშირ შემთხვევაში დაძაბული სოციალური ფონის, თუ მის მიმართ გამიზნულ დაცინვას, ქილიკს ხალხის აგრესიის გასანეიტრალებლად შეგნებულად იყენებს.

5. ბეისბოლის ხელთათმანი, დამჭერის ოცნება და ზურიკელას მიერ დანერგილი რეკვიემის პარტიტურა

„ადამიანი არის არსება, რომელიც განუწყვეტილად ახლიდან ქმნის და გარდაქმნის საკუთარ თავს. ადამიანის ყველაზე დიდი გამოგონება თავად ადამიანია“ (ო. პასი „როგორ და რისთვის“).

ჰოლდენ კოლფილდი ყოველ წამს ქმნის თავის თავს, მუდამ ახლიდან იწყებს თავის სულიერ გზაზე შედგომას და ახლიდან იწყებს ხედვას, მაგრამ ეს დასაწყისი ყოველთვის დაკავშირებულია თავის საკრალურ საგანთა საიდუმლო გასაღებთან. ეს მისი უმცროსი, გარდაცვლილი ძმის ელის ბეისბოლის ხელთათმანია, რომელსაც ჰოლდენი ყოველთვის დაატარებს, ვით სიკვდილის მეხსიერებას. ეს ასევე ელის, არა მარტო გარდაცვლილის, არამედ მის ეგზისტენციალურ ველში მყოფის, მასთან მოსაუბრის მეხსიერებაცაა.

ჰოლდენის ოცნებაა, იყოს დამჭერი და, როგორც მის უბინო გონებას წარმოუსახავს, მას სურს დადგეს კლდის პირას და იქ დაიჭიროს ჭვავის ყანაში მოთამაშე ბავშვები, რათა ისინი უფსკრულში არ გადაიჩეხონ.

მაგრამ რა არის უფსკრული? ან, რას განასახიერებს ჭვავის ყანა? ან რას ნიშნავს ჭვავის ყანაში მოთამაშე ბავშვები?

ჰოლდენის ოცნება – იყოს დამჭერი, რომელიც მომდინარეობს შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის ცნობილი ლექსიდან, სადაც საღალღობო, მხიარული, ხალხური კილოთი მოთხრობილია, თუ როგორ კარგავს თითქმის ბავშვი, კოხტა ჯენი ჭვავის ყანაში

თავის უმანკობას და როგორი გულგრილი არიან ადამიანები მისი ბედის მიმართ. თითქოს წუთისოფლის დაუნდობელ თამაშში ადამიანი ისე, უბრალოდ ითელება და ასევე უბრალოდ, ყველაზე წმინდათანმინდას კარგავს.

მაგრამ მისი ოცნება, იყოს დამჭერი, თავისი შინაარსით არათუ არ შეესაბამება რობერტ ბერნსის ლექსის შინაარსს, არამედ მთლიანად აცდენილია დედანს. ამას ჰოლდენის ფაქიზი ბუნება განაპირობებს, ეს მისი გულის „მეტყველება“, რომელიც გონებას უმაღლავს თავის ნაფიქრს და, როცა უნდა დადგეს კლდის პირას, რათა უფსკრულში არ ჩაცვივდნენ, არ გადაიჩეხონ ბავშვები, მე ასე მეჩვენება, რომ ეს მისი წუხილი და ზრუნვაა, ადამიანებმა შეინარჩუნონ ბავშვური სინდინდე – გულწრფელობა, სულის ის მთლიანობა, ის მღვიძარე მდგომარეობა, რომელსაც ყოველი ხელოვანი დაატარებს, ვიდრე თავის ქმნილებას შექმნის; ან დედა, რომელიც ცოცხლად, მღვიძარე მეხსიერებით დაატარებს გარდაცვლილი შვილის სასუკვარ წუთებს ან... შეიძლება უხერხულ და არაზუსტ ასოციაციათა რიგს განეკუთვნება ზურიკელას ალქმის შედარება ჰოლდენის ოცნებასთან – იქცეს დამჭერად. რადგან ერთი შეხედვით, ის ყოფიერების ჩვეულ გარემოში მყოფ საყვარელ ბებიას შეჰყურებს, რომელიც მეორე მსოფლიო ომში მეტრძოლი ჯარისკაცებისთვის მატყლის წინდებს ქსოვს.

ზურიკელას საოცარი ალქმა სულ სხვა განზომილებიდან იბადება:

– „ჩემსკენ ზურგშექცევით იჯდა (ბებია – შენიშვნ. ა.ს.) და ასე საქმეში გართული, მგლოვიარე დედაბერს ჰგავდა, რომელსაც წინ შვილის ცხედარი ესვენა და ჭალარა თმებს ბლუჯა-ბლუჯად იგლეჯდა დამჭენარი ხელებით“ (ნ. დუმბაძე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“).

ბებიას მიერ უბრალო ქსოვა, ისევე, როგორ რილკეს ორთვალათი მოსიარულე ყვავილოვანი კომბოსტოს ბრმა გამყიდველის ხმა ყვირილად, გოდებად იქცევა. ეს თავზარდაცემულის ხმაა, რომ არსებობს ომი – უსამართლობა და უაზრობა. დედაბრის დამჭენარი

ხელები, ბლუჯა-ბლუჯად ჩამოგლეჯილი თმა კი სანოტო ფურცელზე დანერილი რეკვიემის პარტიტურის წამყვან აკორდებზე იქცევა.

ზურიკელას აღქმა გამოტირებაა ომის საშინელებისა, რომლის იქით ამოიკითხება, რომ მას ჰოლდენის დარად, ადამიანის უმანკო, წრფელი და კეთილი ბუნების აღდგინება სურს.

6. მსოფლიო ჰარმონიის ორი ხატი – „სინათლის „გაბეგრება“ და დოსტოევსკის ბავშვის დამჭერი

და ჩვენ ასე დიამეტრალურად განსხვავებულ ორ რომანზე, ამერიკელი მწერლის ჯერომ სელენჯერის „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში...“ და ქართველი მწერლის – „ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონზე“ ვმსჯელობთ, რომელთა გამაერთიანებელია ის გულწრფელობის ველი, რომელშიც არ არსებობს ეთიკის კიბეზე აღსვლა და არც რელიგიური კათარზისი, თუმცა მასში მოქმედებს ღმერთთან ზიარების განუზომელი ნყურვილი.

ქართველი მწერლის რომანში სიკვდილს მიახლოებული ბებიის სარეცელთან მდგარი მწუხარე ზურიკელა მოულოდნელად გრძნობს, რომ ვიღაც შემოვიდა ოთახში, რომელმაც განუზომელი სინათლე შემოიტანა და მან ისიც კი იცის უკვე, რომ ეს ვიღაც მას არასოდეს მიატოვებს. ეს მერია, მისი პირველი, მარადიული სატრფო. ამ სინათლის შუქზე ზურიკელა ხედავს თავის ეგზისტენციური ველის ყველა მონანილეს: ილარიონს, ილიკოს, ბებიას, მურადას... და, რაც მთავარია, ზურიკელა არამარტო გრძნობს ამ სინათლეს, არამედ მას უნდა ის „გააბეგროს“ და ამიტომაც ის ოცნებობს, რაც შეიძლება ბევრი შვილი იყოლიოს, ამას თავისი გამრავლებით აპირებს, რითაც ის თავად იქცევა მთელ ქვეყნად.

ხოლო ამერიკელი მწერლის რომანში ჰოლდენის ოცნებაში, იქცეს დამჭერად, იკითხება მსოფლიო ჰარმონიის ის იდეა, რომელზედაც წერს დოსტოევსკი „ძმებ კარამაზოვებში“:

– „როგორ წამოწვება ვეფხვი შველის გვერდით, ყელგამოჭრილი როგორ გადაეხვევა თავის მკვლელს, დედა თავისი შვილის მკვლელს და ყველა ერთად როგორ შეაქებს ღვთის სამართალს“.

დამჭერი კი ცდილობს ალაღვინოს ეს მსოფლიო ჰარმონია, მაგრამ არ ავინყდება დოსტოევსკის პერსონაჟის ივან კარამაზოვის მიერ ამ ჰარმონიაზე უარის თქმის მიზეზი:

– ბავშვის ცრემლი. – მისი ოცნება ხომ რობერტ ბერნსის იმ ლექსმა გამოიხმო, რომელშიც მოთხრობილია ბავშვის გათელილი უმანკობა და ცრემლიანი ცხოვრება.

7. გულწრფელობის ველში მოსმენილი – ორი მღვიძარე ხმა

ქართველი მწერლის ამ რომანში გულწრფელობა თანამდევია სიცოცხლისადმი დაუოკებელი სწრაფვისა, მისი ყურისგდებისა – ეს მღვიძარე ხმაა, სამყაროს მიღებას რომ „გვასწავლის“ და მისი მთავარი პერსონაჟების არსი არსთაგანია. ზურიკელა ასე აღწერს თავის მღვიძარე მდგომარეობას:

„გორაკზე რომ შევდგები და ჩემს ოდას დავინახავ, გავჩერდები, ჩავჯდები, ვზივარ მთელი საათი და ყელში რაღაცაა გაჩხერილი, ვყლაპავ, ნერწყვსა და ცრემლს, მანამ ეზოში გამოსულ და წელში ორად მოკაკულ ბებიას არ დავინახავ“ <...> (ნ. დუმბაძე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“).

ამერიკელ მწერალთან კი უფრო პარადოქსის ენაზე ხდება უსულობას განრიდებულ მდგომარეობაზე – მღვიძარებაზე თხრობა.

ისაუბრო სელენჯერზე, იგივეა ქვითინის ზღვარზე მდგომი პოეტის სულს შეეხო, რომელსაც მაინც ვერ შეეხები, რადგან ეს შეუძლებელია.

მე კი, მხოლოდ და მხოლოდ ძვირფასი ჰოლდენ კოლფილდის სიტყვებს მოვიხმობ:

– „ჩემი ალისფერი სანადირო ქუდი ისევ და ისევ უკულმა მოვირგე თავზე, პირი დავაფრინე და მთელი ხმით დავჭყვივლე: „ბრიყვობო, ყველა ქვეყნისა, იძინეთ მაგრად“.



მაყვალა ანთაძე

ფილოლოგი, თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის სპეციალისტი

გოდერძი ჩოხელი მეოცე საუკუნის გამორჩეული ავტორია, რომელიც ძველსა და ახალს, არქაულსა და თანამედროვეს იმდენად ბუნებრივად არიგებს და აზავებს თავის შემოქმედებაში, რომ მკითხველს საკუთარი მხატვრული სამყაროს ნაწილად, იდუმალის, საკრალურის თანამონაწილედ აქცევს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მოთხრობა „ჩემი წიგნი“, სადაც წარმართული და ქრისტიანული არა მარტო უპირისპირდება, ავსებს კიდევ ერთმანეთს.

გოდერძი ჩოხელი მოთხრობაში „ჩემი წიგნი“ წარმართულ რიტუალს „ჩიტთა ფაფაობას“ გვაცნობს. ამ წესის შესახებ იგი ავტობიოგრაფიაშიც გვიყვება. როგორც თავად აღნიშნავს, მას ეს რიტუალი ძალიან უყვარდა და სიამოვნებით მონაწილეობდა ამ პროცესში. „ჩიტთა ფაფაობა“ განსაზღვრული გეგმით მიმდინარეობდა. ისე მიყვარდა ბედისკვერები, სულ ვეფერებოდიო - აღნიშნავს მწერალი. ბედისკვერების დანიშნულებაზე იგი გვიყვება მოთხრობაში „გაღმთვლები“, სადაც იმ წესებსა და რიტუალებს გვაცნობს, რომელიც დღესასწაულს უკავშირდებოდა: საახალწლოდ სოფლები, ყველა, თავის წილ მკლავის სისხო სანთელს ჰკიდებდა ხეზე. ეს ხე ნათლის სვეტს ჩამოჰგვანდა; სა-

წარმართული რიტუალის „ჩიტთა ფაფაობის“ ასახვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში

პურეებში ბედისკვერებს აცხობდნენ, ყველას დანიშნული ჰქონდა თავისი. მათი რწმენით, ვისი პურიც კარგად გამოცხვებოდა, მთელი წელი საქმე კარგად წაუვიდოდა, ვისიც - არა, მას ცუდი ელოდა. მოთხრობაში ჩანს, რომ დევგარეულის ბედისკვერი ცომი გამოდგა.



გოდერძი ჩოხელი

სოფლებმაც მისი სიკვდილის მიზეზად ბედისკვერის გამოუცხოობა მიიჩნიეს და არა გაცივება. აქედან კარგად ჩანს, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ გუდამაყრელებს ბედისკვერებთან. ამიტომაც ხშირად თავისი ბედისკვერის გამოცხობას უფრო ელოდნენ გულისფანცქალით, ვიდრე მოახლოებულ დღესასწაულს, რომლის დროსაც ბევრს სვამდნენ და მხიარულობდნენ, თავისი სიმღერებითა და „ფერხისებით“.

„ჩიტთა ფაფაობა ჩიტთა უქმეა. გუდამაყარში არ მუშაობენ, უქმობენ“ - წერს გოდერძი ჩოხელი მოთხრობაში „ჩემი წიგნი“ [ჩოხელი, 2020:103].

მკვლევარი სერგი მაკალათიაც გვანჯდის ცნობებს წარმართული რიტუალის „ჩიტთა ფაფაობის“ შესახებ: „ჩიტთა ფაფაობის დროსაც უქმეა და მუშაობა არ შეიძლება, მათი რწმენა-წარმოდგენით, თუ უქმეს არ დაიცავენ, მათ ყანებს მთელი წელი ჩიტები დაუკენკავენ, ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანი იყო ამ წესის დაცვა“. სერგი მაკალათიას ცნობითვე: „ფრინველებისა და მინდვრის თავგების მოსაშორებლად მთიულები ჩიტთა ფაფობას ასრულებენ. ამ მიზნით ყველიერის ორშაბათს სიმინდის ერბოიან ფაფას ამზადებენ“. „თავგ-ჩიტთა უქმე“ იციან ხევსურეთშიც. დამნიფებული ყანა თავგებისა და ჩიტებისაგან რომ დაიცვან, ისინიც ასრულებენ რიტუალს მათ მოსაგერიებლად. ეს უქმე გაზაფხულზეა. ამ დროს მარხულობენ და „დოხანს“ ჭამენ (დოხანი - ლობიო და მოხარშული სიმინიდა).

მკვლევარ მაკალათიას მიერ აღწერილი რიტუალი გოდერძი ჩოხელის მიერ აღწერილს ემთხვევა, რაც ადასტურებს, რომ მწერალი ხალხთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებისა და გადმოცემების გენერირებას ახდენს.

გოდერძი ჩოხელის „ჩიტთა ფაფაობის“ რიტუალი თეატრალიზებულია, წინასწარაა ცნობილი მოქმედების ადგილი, მოქმედი პირები, მათი როლები, თემა, ადგილი, დასასრული და ყოველივე ეს მთლიანობაში ქმნის წარმოდგენის სახეს. მთიული დედაკაცები „ჩუმად“ გადმოიპარებიან გუდამაყრელთა ადგილას და წინდების ქსოვას იწყებენ, რადგან: „ვის ადგილშიც უქმე დღეს იმუშავენ, იმას ეთვლება უქმის ტეხად“ [ჩოხელი, 2020:103]. „გადმოპარულ“ ქალებს „დაინახავენ“ გუდამაყრელები. მათ ევალებათ, გათოკონ ისინი და დააბრუნონ თავიანთ ტერიტორიაზე. მათი რწმენით, თუ გაუგეს და დააბრუნეს, უკვე დაცულია მათი ყანები ჩიტებისაგან. მანამდე კი შეპყრობილნი უნდა წაიყვანონ სოფელში და აშიმშილონ. ამ დროისათვის თვითონ ადუღებენ ფაფას, „შეპყრობილებს“ არც აჭმევენ, არც ასმევენ, თითქოს მათ დაუძღურების შემდეგ უნდა „ალიარებინონ“, რომ ჩიტები ისევ მათივე ყანას აკენკავენ: „მთიულს მეტი გზა აღარა აქვს და იძახის: „მთიულებისასა“ [ჩოხელი, 2020: 104]. სა-

რიტუალო ფაფით გამასპინძლება მხოლოდ ალიარების შემდეგ ხდება.

გოდერძი ჩოხელის მიერ დახატული წარმართული რწმენა-წარმოდგენებით ნასაზრდოები რიტუალი, მწერლის ცხოვრების დროსაც ისევე სრულდება, როგორც უძველეს დროს. ძველბერძნული მითოლოგიური ღვთაება დიონისე, ანუ დიონისოსი, ბახუსის გარდა, წარმოადგენდა მევენახეობის, მეურნეობის, მეღვინეობისა და მცენარეულობის მფარველ ღვთაებასაც. დიონისეს პატივსაცემად იმართებოდა თეატრალიზებული მსვლელობა თამაშით, სიმღერით, ღრეობითა და შესაბამისი კოსტიუმირებით. რადგანაც დიონისე მცენარეულობის მფარველადაც მიიჩნეოდა, ეს ყველა გლექსკაცისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო. ამიტომ ხალხის დაბალი ფენა უფრო მეტად ეთაყვანებოდა მას, ვიდრე არისტოკრატია; გოდერძი ჩოხელის „ჩიტთა ფაფაობის“ დღესასწაული სწორედ მშრომელი ხალხის ინტერესს წარმოაჩენდა, მთაში კი ყველა შრომობდა, განურჩევლად მისი წოდებრივი მდგომარეობისა (ხევისბერი, ხუცი, დეკანოზი). აქედან გამომდინარე, დღესასწაულის გამართვა ყველა სოციალური ფენის ინტერესში შედიოდა. მიიჩნევდნენ, რომ უამისოდ ღარიბ ხალხს შესაწირის გაღებაც არ შეეძლებოდა, რაც სალოცავებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო. ბერძნული მითოლოგიის ღვთაება დიონისე არქეტიპია, რადგან „ჩიტთა ფაფაობის“ დღესასწაულიც მეურნეობის, მცენარეულობის დაცვას ითვალისწინებდა.

იუნგის მიხედვით, „არქეტიპი კონკრეტული გამოცდილების, თუ ობიექტის უნივერსალური, თანდაყოლილი პრიმიტიული და სიმბოლური წარმოდგენაა. არქეტიპები ფსიქიკის უნივერსალური წარმოსახვებია, რომლებშიც თავმოყრილია, გაერთიანებულია კაცობრიობის გამოცდილება და, როგორც კოლექტიური არაცნობიერი, წარმოდგენილია თითოეული ინდივიდის ფსიქიკაში“. იუნგისთვის არქეტიპი „ფსიქიკის ორგანოებია“, რომლებიც „ვითარდებიან თანდაყოლილი სქემის თანახმად განვითარებისა და ცნობიერების ძირითადი ფორმების მიმართულებით



ხევსურეთი

და მოიცავენ ჩვენი წინაპრების გარემოსთან შეგუების, გამოცდილების მემკვიდრეობას“, მისი სიტყვებით: „ხელახლა დაბადებული თითოეული ინდივიდის გონების სტრუქტურაში“.

ნათელია, რომ საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა მოსავალთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს. „თავგ-ჩიტების“ უქმე დღე აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც იცოდნენ, მაგალითად ხევსურეთში. პირიქითა და პირაქეთა ხევსურებს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ ამ წეს-ჩვეულების მიმართ. არხოტის მაცხოვრებლები პირაქეთა ხევსურებს ულექსავდნენ იმ წეს-ჩვეულებებს, რომლებიც მათ არ ჰქონდათ, პირაქეთა ხევსურები თავგ-ჩიტების უქმეს „ხნულას“ უწოდებდნენ.

მკვლევარი თინათინ ოჩიაური წიგნში „ხევსურეთი და ხევსურები“ ეხება ხევსურთა ტრადიციებს, მათ შორის, „ხნულას“ წესსაც. მას მოჰყავს მაგალითი, სადაც მელექსე დასცინის „ხნულას“ ტრადიციასა და მის უძველეს შემსრულებლებს:

„საქმეს სულნუხად ვაკეთებ, ხევსურა ჩამამჩინდა,

ცინკალაობით ჩამავა, განა კი მავა ბიჯითა,

ხევსურამ დამიახლოვა, მაშინავ „ხნულა“ იკითხა.

რა „ხნულა“ დაგიჩემებავ, ხევსურიშვილო იქითა!

მე უქმ არ გამიგონებავ თავვისაი და ჩიტისა,

თავგებისად გვყავ ციცაი, ჩიტისად ისარვიციტა,

ფრინველისად გვაქვის თოფები, ცაზე ვერდიან შიშითა“ [ოჩიაური, 1977:134].

როგორც ჩანს, უძველესი რწმენა-წარმოდგენებით ნასაზრდოები რიტუალები აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობაში ყველგან სრულდებოდა, ზოგიერთ სოფელში მცირე სხვაობა იყო შესრულების წესსა თუ რიტუალს შორის.

გალექსება „ხნულას“ შესახებ ბოლოდროინდელი განწყობის ამსახველად მიგვაჩნია, ამიტომაც ვერ იქნება გაზიარებული, როგორც მთელი ხევსურეთის დამოკიდებულება „თავგ-ჩიტების“ უქმობის თაობაზე. როგორც თინათინ ოჩიაური აღნიშნავს, გასაბჭოებამდე ფშავ-ხევსურეთში ეს წეს-ჩვეულებები და რელიგიური დღესასწაულები, რომლებიც რწმენა-წარმოდგენებით იყო გაჯერებული, აქტიურად სრულდებოდა: „სარწმუნოებასთან ბრძოლის ძალდატანებითმა ცდებმა, უარყოფითი შედეგი გამოიღო, მოსახლეობა მტრულად განენწყო როგორც ათეიზმის, ისე რელიგიის საწინააღმდეგო მოქმედებებისადმი“ [ოჩიაური, 1977: 134].

მკვლევარ ნინო აბაკელიას ცნობით, მთიანეთში არსებობდა ყანა-სათიბების დასაცავად განკუთვნილი რიტუალები. მაგალითად, მთიულეთში, ყანა-სათიბების დაცვის მიზნით, მთელი სოფელი საღმრთოს იხდიდა, კვირას ან ორშაბათს სოფელი შეიკრიბებოდა ღამის გასათევად. მთიდან მოიყვანდნენ „საბალახე“ საკლავს და ციკანს, რომელსაც უკლავდნენ ელია წინასწამეტყველსა და ზაქარია წინასწარმეტყველს. რიტულს ატარებდა მოხუცი კაცი, რომელიც ასე დაილოცებოდა: „შენივნით ჩვენ სოფლობას, დაიხსენით ქარ-სეტყვისაგან, მიეცით მადლი და ბარაქა ამათ ნამუშევარს, თუ ეშმაკი დასტრიალებდეს ჩვენი სოფლის ჭირნახულს, მოაშორეთ თქვენის ძალით. თქვენა ხართ ცა-ღრუბლის უფროსნი ღვთისგან და თქვენ შეინახეთ ჩვენი სოფლის ჭირნახული“ [აბაკელია, 1991: 96].

ყველა დღესასწაულს ახლდა ღვინო, ლუდის ხარშვა და საკლავის შეწირვა. უქმეს მკაცრად იცავდნენ. გამოყოფილი ჰყავდათ მეთვალყურეებიც, რომელთაც უქმის გამტეხის გამოვლენა ევალებოდათ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დასჯის წესიც ჰქონდათ შემუშავებული - მათ ძალით ასმევდნენ არაყს.

ეს რიტუალები და დანესებული უქმეები, ასევე უქმის გამტეხთა დასჯის წესიც, მიანიშნებს მთიანი მოსახლეობის დამოკიდებულებაზე ჭირნახულის დაცვის მნიშვნელობისადმი. ფშავ-ხევსურეთში ყანების დასაცავად ნაკვეთ დღეებს ირჩევდნენ. ფშავში ორშაბათი, პარასკევი და შაბათი იყო გამოყოფილი, ხოლო ხევსურეთში - პარასკევი და შაბათი. მოსახლეობა რომელ დღესაც აირჩევდა, ევალებოდა მკაცრად დაეცვა უქმე ჭირნახულის აღებამდე.


ყველა რიტუალი ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სიმყარესა და ოჯახების სიძლიერეს ემსახურებოდა. მკლევარი თ. ოჩიაური აღნიშნავს, რომ გასაბჭოების შემდეგ პირაქეთა ხევსურეთის სოფელ რომის ახალგაზრდებმა ბრძოლა გამოუცხადეს ძველ ადათ-წესებსა და რელიგიურ შეხედულებებს. მათ დაიწყეს იმის განადგურება, რითაც სულდგმულებდა მთის მოსახლეობა - დედათნესიანი ქალები სალოცავებში შეჰყვავდათ, ანგრევდნენ ტაძრებს, კაფავდნენ ჯვარ-ხატის კუთვნილ ტყეს, რომელში შესვლაც კი ეკრძალებოდათ. მკვლევარის დაკვირვებით: „ცხოვრების თანდათანობითმა წინსვლამ, ადგილობრივად გზების გაყვანამ, სკოლებისა და სხვა კულტურულ დანესებულებათა დაარსებამ, საავადმყოფოსა და სამედიცინო პუნქტების გახსნამ, ახალგაზრდობის სწავლისთვის ფართოდ დანაფებამ, თავისთავად გამოიწვია მოსახლეობის შეგნებაში გარდატეხა, ეჭვის შეტანა ხატ-ღმერთთა სიძლიერეში, თავიანთი ტრადიციების გარდაუვალობაში, შეარყია მძლავრი რელიგიური რწმენა“ [ოჩიაური, 1977:135]. ამ თვალსაზრისის გამოხატვიდან თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის

ხალხის ცნობიერებიდან მაინც ვერ ამოიშალა წარმართული რწმენა-წარმოდგენები. გოდერძი ჩოხელის მიერ შექმნილ თხზულებებს სწორედ ეს თემა ასაზრდოებს, მეტიც, მწერალი ამ რიტუალების თანამონაწილედაც გვევლინება. ასე რომ, ძველმა რწმენა-წარმოდგენებმა ჩვენამდეც მოაღწია.

ვერც ახალმა იდეოლოგიამ მოახდინა დიდი გარდატეხა. ხალხის გულიდან და გონებიდან ვერ ამოძირკვა უხსოვარი დროიდან მომდინარე რწმენა-წარმოდგენები. გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებებში ასახული რიტუალები საბჭოთა მმართველობის მედგარ ბრძოლას გადაურჩა და დღემდე ცოცხლობს. ავტორმაც ჩვეული სინრფელით გააცნო მკითხველს მთიანი გუდამაყრის ტრადიციები, რომლებიც წარმართულისა და ქრისტიანულის ნაზავია. მოთხრობებში მწერლისეული სულიკვეთებაც იკითხება, რომელიც ცდილობს ერთი მივიწყებული კუთხის არქაული ცხოვრების წესი ფართო საზოგადოებას გააცნოს. გოდერძი ჩოხელი, ოჯახის თავკაცის მსგავსად, საღამოს კერაში შენახულ ნალვერდალს დილით ალვივებს, რომ სიცოცხლის ნიშნად, ცეცხლად ააბრდღვიალოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩოხელი, გ. თევზის წერილები. - თბ., 1989.
2. აბაკელია, ნ., ალავერდაშვილი, ქ., ლამბაშიძე, ნ. ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი - თბ., 1991.
3. ოჩიაური, ალ. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. - თბ., 1988.
4. ჯიყაშვილი, ლ. გუდამაყრელი იები“ გოდერძი ჩოხელის მემუარები, თბ., 2011.
5. ოჩიაური, თ. ხევსურეთი და ხევსურები. - თბ., 1977.
6. მაკალათია, ს. მთიულ-გუდამაყრელთა რწმენა // მზიანი რწმენის საუფლო (შეადგინეს ნანა კოტეტიშვილმა, ნათია ხორნაულმა და გიგი ხორნაულმა) თბ., 2005. - გვ. 158-179.
7. იუნგი - არქეტიპი- <http://dictionary.css.ge/content/archetype>



ლევან თაქთაქიშვილი

სუდაკში კონფერენციაზე

ბიბლიოთეკაში ბატონ ალიკო კარტოზიას დირექტორობის პერიოდში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: სოროსის ფონდმა დააფინანსა ეროვნული ბიბლიოთეკის 3 თანამშრომლის გაგზავნა ქ. სუდაკში (ყირიმი) საერთაშორისო კონფერენციაზე. მე სიაში ვერ მოვხვდი. ამის მიზეზი ასე გავიგე: დირექტორის მეგობარმა, გულავრი ჭარელიშვილმა, რუსულად რაღაც მკითხა. გამიკვირდა, მაგრამ რუსულადვე ვუპასუხე. მერე მითხრა: შენ რუსული ცუდად რომ იცი, ყველას არ უნდა შესჩივლო. ბატონ ალიკოს უნდოდა შენი გაგზავნა კონფერენციაზე, მაგრამ X-მა უთხრა: - მაგან რუსული ცუდად იცის და არ გაუშვათო. იმდენი კი გცოდნია, რამდენიც საჭიროა, თუმცა ის არ იცი, ვისთან რა თქვა. აქ სამსახურია, შვილო, ყველა შენი პოტენციური მეტოქეა, ეს იცოდეო. კარტოზიამ კი ის X-იც არ გაუშვა კონფერენციაზე ამგვარი აქტიურობის გამოო.

მეორე წელს კვლავ იყო ერთი მიწვევა, სოროსისაგან დაფინანსებული. ახალმა დირექტორმა, ლევან ბერძენიშვილმა, მე გამიშვა. სიმართლე გითხრათ, დავიძაბე. ჩემთვის ის პირველი კონფერენცია იყო; ჩემი პირველი მარტო წასვლა საზღვარგარეთ; ჩემი პირველი მგზავრობა თვითმფრინავით...

წიგნი ჩემი მონარქია

არც ის ვიცოდი, სუდაკი რა ქალაქი იყო. ენციკლოპედიაში ეწერა: ქალაქური სტილის დასახლება. გავფრინდი მოსკოვის გავლით. იქ ერთი ღამე შერემეტიევოს აეროპორტის სასტუმროში დავრჩი. პირველ სართულზე მშვენიერი ქალბატონი მიკეთებს რეგისტრაციას და მეუბნება: - ლევან ვალერიანოვიჩი (თამაზის ძე ვარ, მაგრამ სასტუმრო ლევან ბერძენიშვილზე იყო დაზღვეული, ის უნდა ჩამოსულიყო), შემიძლია უფასოდ შემოგთავაზოთ ეს სუვენირები. აირჩიეთ, მათგან რომელიც გინდათო. მიდებს 3 პრეზერვატივს. დავიბენი. მე და ჩემი ქმარი აი ამას ვიყენებთო - მირჩევს ერთ-ერთს. მაშინ მივხვდი, რომ სხვა ქვეყანაში ვიყავი.

დაბნეული ავდივარ მითითებულ სართულზე, შევდივარ ჩემს ნომერში, სადაც ორი კაცი დამხვდა საწოლებში ჩანოლილი. ქართველებს ჰგავდნენ, თუმცა ბულგარელები აღმოჩნდნენ. ერთი მეუბნება დამტვრეული რუსულით, რომ შეეშალათ სართული, იგივე ნომერია მათი, ოღონდ ზედა სართულის. იქნებ, იქ ახვიდეთო. გამოვბრუნდი და ავდივარ. სართულის მორიგე გაკვირვებული მომდევს, აინტერესებს, თუ რატომ არ შევედი. ვუხსნი. შეუვარდა და გამოყარა ისინი. მე კი მეუბნება: - ასე არ შეიძლება, თანაც მათ რომ ტელეფონით ილაპარაკონ, შენი გადასახდელი იქნებაო. საჭმელად სასტუმროს სასადილოში ჩავედი და იქაც კურიოზი: ვიღაც შავ კურთუქში გამონყობილი, თავგადახოტრილი კაცი მოვიდა და მეკითხება საჭმლის მომლოდინეს: - საიდან ხართ? ვუპასუხე, რომ თბილისიდან. ქართველი? დიახ, ქართველი-მეთქი. - ესე იგი ჩეჩენი? - არა, საქართველო ჩეჩენთი არაა-მეთქი - ვუთხარი. მოდის მომსახურე. ხომ არ განუხებთ ეს კაციო? ვიუარე და მოვთხოვე, რომ მისთვისაც მოეტანათ „შარკოე“. მოუტანეს. ეს კაცი თავჩაქინდრული

ტირის. რა ხდება-მეთქი? - ვკითხე. ტულადან ვარ, დღეს ჩამოვფრინდი მოსკოვში, ხვალ ჩეჩნეთში მოკლულ ძმას ჩამომისვენებენ, ველოდები და ვინმე ჩეჩენსაც ვეძებ, რომ გავუსწორდეთ.

ქართველები მართლმადიდებლები რომ იყვნენ, არ იცოდა, 4 მილიონი რომ ვიყავით - არც ეს. ეგონა, რომ 20 მილიონი ვიყავით საქართველოში.

მეორე დღეს კრასნოდარში უნდა გავფრენილიყავი. ბილეთები ასე მქონდა მოცემული სოროსის ფონდიდან. ქართველები დამხვდნენ აეროპორტის რეგისტრატურაში. მთხოვეს, ბრინჯის პარტიას ვაგზავნით ვლადივოსტოკიდან და ეს პატარა პარკი საქონლის ნიმუშია, იქნებ ნაგვილოთ, საბუთებიც არის აქვეო. ჩავდე ჩანთაში. კამერაში გატარების შემდეგ ორმა ძალოვანმა ხელები გადამიგრიხა და რაღაც ოთახში შემათრიეს. რა გიდევეს ჩანთაშიო მკითხეს. აღარ მახსოვდა. ამოყარეს ყველაფერი და პარკი სახესთან მომიტანეს - ეს რააო? ბრინჯი-მეთქი. გასინჯეს, ბოდში მომიხადეს და გამიშვეს.

ჩავფრინდი კრასნოდარში. იქ დგას კაცი, ებრაელი, თავზე კულულებითა და შავი ქუდით, ხელში უჭირავს ტრანსპარანტი ნარნერით: "ПИС"! მივეცი გამოტანებული ბრინჯი და საბუთები. გაიხარა, ნამოდი გეპატიჟებოო. დამანაყრა. მოვუყევი ჩემი კუროზის შესახებ. დაინტერესდა, კრასნოდარში რა საქმე მქონდა. ვეუბნები, რომ რკინიგზით უნდა წავიდე სიმფეროპოლში ქერჩის გადასასვლელზე გადასმით-მეთქი. გაკვირვებული სახე მიიღო: ასეთი მიმართულება კრასნოდარიდან არააო. მაინც წავაყვანინე თავი რკინიგზის სადგურზე. იქ სულ გადამრიეს: 1999 წელია და მეუბნებიან, რომ თუ გინდა, აფხაზეთის რეისით გადახვალთ სამშობლოშიო. ჰგონიათ, რომ სოხუმში მინდა წასვლა. გამოსავალი ერთია: ტაქსით უნდა წავიდე გადასასვლელამდე და მერე ავტობუსით სიმფეროპოლამდე, შემდეგ იქიდან სუდაკამდე.

ის ღამე კრასნოდარის სასტუმროში გავათიე. გამთენიას ჩხრეკაა: ოთახში შემოვარდა ორი პოლიციელი. დაიწყეს ჩხრეკა... შემდეგ მობოდიშიება... დილას ტაქსით გამგზავრება

ქერჩის გადასასვლელამდე. სომეხი მძღოლი. საუბარი ყველაზე ღამაზე მთა არარატზე, ყავის პირველ შეტანაზე ევროპაში სომხებისაგან. აი, მამტოცზე კი „სტოპ“- მეთქი!



ყირიმის ნახევარკუნძული

შემდეგ გადასვლა ყირიმის ნახევარკუნძულზე. ჰორიზონტზე ჩანს ბეტონის ერთი ბურჯი, ხრუშჩოვის დროს ხიდის აგების მცდელობის მონმე. სინანული ამ ხიდის არაშენებისა (ახლო წარსულში კი აუხდინა პუტინმა) ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის ნოსტალგია რუსებში. უკვე უკრაინაში ვარ. მეგონა, მეშველა. უარესი კორუფციაა. აქ უკვე ახალი უსიამოვნება: გზაზე გაჩერება ავტობუსის და საპასპორტო შემოწმება: სწრაფად უნდა აგვენია პასპორტები, რუსული და უკრაინული არავის აინტერესებდა, სხვა ქვეყნის პასპორტებიანი კი უნდა გადასულიყო. მეც ავტომატურად ჩავდიოდი, სიები ჰქონდათ აფხაზეთის ომში მონაწილე ქართველების. ამ სიაში ვინმე გიორგი თაქთაქიშვილი ეწერა. ამიტომ მაჩერებდნენ, ჩემ შესახებ სადღაც რეკავდნენ. ავტობუსი გასვლას რომ დააპირებდა, 10 დოლარს ვაძლევდი და მიშვებდნენ. ეს იყო კუჩმას უკრაინა.

ჩავედი სიმფეროპოლში. იქ კონფერენციის მონაწილეებისთვის განკუთვნილი ავტობუსები დამხვდა. ვფიქრობდი, რომ ამ კონფერენციაზე აღარასოდეს წამოვიდოდი. რას წარმოვიდგენდი, რომ შემდგომ, 14 წელი ზედიზედ, სიხარულით გამოვფრინდებოდი, თან, არაერთხელ ჩემივე ფულითაც. მაშინ კი ჯერ პირველი კონფერენცია მელოდა.



სუდაკი

ბოლოს და ბოლოს ჩავედი სუდაკში. გავიარე რეგისტრაცია. საღამოს იყო კონფერენციის საზეიმო გახსნა. მე მანამდე ასეთი რაოდენობის მონაწილით კონფერენცია არც მენახა, ამ კონფერენციის შემდგომ წლებში ჩატარებულ ფორუმზე კი მეტიც იყო: იმ წელს 1600 მონაწილე ესწრებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, შემდგომ წლებში 2700-მდე ავიდა. ორგანიზებული იყო სხვადასხვა სექციის მუშაობა: კლასიფიკაციის, ნიგნის ისტორიის, საგამომცემლო და სხვა. მონაწილეებს ურიგდებოდა ჩანთები ამ კონფერენციაზე წასაკითხი მოხსენებების ბეჭდური ორტომეულით, რვეულით, კალმისტრითა და უფასო ექსკურსიების ტალონებით. ასევე კონფერენციის მთავარი ორგანიზატორის, რუსეთის სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის სპეციალისტთა ასოციაცია ებნიტის (ЭБНИТ) - ციფრული ბიბლიოთეკებისა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების მომხმარებელთა და შემქმნელთა საერთაშორისო ასოციაციის „მთავარსარდლის“ იაკობ შრაიბერგის ძირითადი მოხსენების ბეჭდური გამოცემით.

ვიდრე შრაიბერგი ამ ბიბლიოთეკის დი-



იაკობ შრაიბერგი


რექტორის მოადგილე იყო, კონფერენციები მაღალ დონეზე ტარდებოდა, იმავს ვერ ვიტყვით მას შემდეგ, როცა ის დირექტორი გახდა. სუდაკის კონფერენციაზე უფრო მაღალი რანგის არაერთი საბიბლიოთეკო კონფერენცია იმართებოდა მაშინ ევროპასა თუ ამერიკაში, მაგრამ სუდაკში წარმოდგენილი იყო პოსტსაბჭოთა ბიბლიოთეკები მთელი საერთო პრობლემებით და, თანაც, მონაწილეობდნენ ევროპის, ამერიკის, არგენტინის, გერმანიის, ესპანეთის, შვეიცარიის საბიბლიოთეკო ცხოვრების კორიფეებიც. არასოდეს დამავინწყდება იუნიმარკის მთავარი რედაქტორის, ქალბატონ მიტჩელის ლექცია და პაექრობა მსმენელებთან; კონფერენციაზე გავიცანი ლიეტუვის, ლატვიის, ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკების სპეციალისტები, რომლებთანაც დღესაც ვმეგობრობ; იქ მოვისმინე არგენტინის ბიბლიოთეკის დირექტორის ლექცია ბიბლიოთეკების მომავლის შესახებ 21-ე საუკუნეში, რაც 20 წლის გასვლის შემდეგაც უზუსტესი განჭვრეტა გამოდგა.

რუსეთის ბიბლიოთეკები მაშინ გაცილებით მაღალ საფეხურზე იდგნენ, რადგან სოროსის ფონდის რუსეთის ოფისის რუდომინოს სახელობის უცხოენოვანი ლიტერატურის ბიბლიოთეკის დირექტორი ეკატერინა გენიევა ხელმძღვანელობდა. მან მრავალი პროექტი გადაისროლა ბიბლიოთეკებში. რუსეთის ტექნიკურმა ბიბლიოთეკამ გაუკეთა რედაქცია დიუის ათწლიანი კლასიფიკაციის ცხრილებს და 4-ტომეულად ამზადებდა რუსულენოვან პირველ გამოცემას. კონფერენციაზე გავიცანი ვინიტის (VINITI) - საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული საქმიანობის ცენტრის, სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის სრულიად რუსული ინსტიტუტის თანამშრომელი, ქალბატონი ანტოშკოვა, რომელიც შემდგომ, წლების განმავლობაში, მანებივრებდა საკლასიფიკაციო ცხრილ უდკ-ს (UDC) - უნივერსალური ათწლიანი კლასიფიკაციის ცხრილის ახალი რედაქციებით.

უკრაინის ბიბლიოთეკები დაბალ დონეზე იყვნენ, შუა აზიისაც. ასევე დარჩნენ. რუსეთმა დიდი ნახტომი გააკეთა. იქ უახლესი საბიბლიოთეკო ავტომატიზებული სისტემები

დაინერგა. „ალეფი“ უფასოდ უნდა დანერგილიყო ყოფილ „ლენინკაში“ (ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა). ის ებრაული კომპანია თელავივიდან ჭკვიანი აღმოჩნდა - ჯერ შეიჭრა, მერე კი უფასო პროგრამა მილიონები დაჯდა. შემდეგ იგი რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაინერგა. სასაცილო ისაა, რომ ერთი ქვეყნის ორ ეროვნულ დებოზიტარიუმში ერთი პროგრამა დაინერგა ორი სხვადასხვა სტანდარტით. ერთში usmark-ს აღმერთებენ, მეორეში კი - rusmark-ს, რომელიც unimark-ის რუსული ვერსიაა. ასევე საკლასიფიკაციო ცხრილებიც: ტექნიკურ ბიბლიოთეკაში გამოიყენება უდკ - უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია, ხოლო სხვა ბიბლიოთეკებში კი - ბბკ (ББК) - საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კლასიფიკაცია.

ყველაფერი ამ კონფერენციაზე გავიგე.



ედუარდ სუკიასიანი

ბბკ-ს რუსეთში ერთი რედაქტორი ჰყავს: ედუარდ სუკიასიანი. ის თბილისში დაიბადა და გაიზარდა, დაამთავრა პედაგოგიკის ინსტიტუტი, წავიდა მოსკოვში, გახდა „ლენინკის“ (რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკის) თანამშრომელი, საყვარლად ლაპარაკობდა ქართულად. ავღანეთის ომის დროს ის იქ გაუშვეს, რუსეთისაგან ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ბბკ-ს საბჭოთა კლასიფიკაციის დასანერგად. გავიცანი სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სანკტ-პეტერბურგის უძველესი საიმპერატორო ბიბლიოთეკის, ჩემთვის მსოფლიოში ყველაზე საინტერესო ფონდების მქონე ნიგნსაცავის თანამშრომლებიც - დირექტორიდან

დანყებული, რეფერენტამდე. მათ შორის ჩემთვის ძვირფასები: უპირველესად ქართველი! ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა რუსეთის საბიბლიოთეკო სამყაროში - ქალბატონი ტატიანა მასხულია, მისი მეგობარი იულია სილივანოვა, მათი დირექტორი, ცხონებული ზაიცევი, დაკომპლექტების გამგე ტატიანა პეტრუსენკო...

ეს ინფორმაცია ბიბლიოთეკარებისათვის გასაგები უნდა იყოს, არაბიბლიოთეკარებისათვის დასკვნა ასეთია: 1997-2006 წლებში რუსეთის ბიბლიოთეკებში ახალი ერა დაინერგა: მოსკოვში ტექნიკური ბიბლიოთეკა, სანკტ-პეტერბურგში ეროვნული ბიბლიოთეკა და მოსკოვში სახელმწიფო ბიბლიოთეკა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პროფესიულ საქმეში პირველობისათვის. სუდაკის კონფერენცია კი ფართო არენა იყო მათთვის. საბოლოოდ თითოეულმა საკუთარი კონფერენცია მოაწყო და დაიწყო „ზასტოი“ (შეფერხების ხანა). მე ვიყავი ამ არენის მაცურებელი რეკორდული მონაწილეობით. შემდგომ ყველამ გამიცნო და იმაზეც ვიტყვი, თუ როგორ გავხდი ამ კონფერენციის კოლორიტული მონაწილე.

ყირიმის კონფერენციამ მომცა უფრო მეტი, ვიდრე თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურამ, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, თუმცა არა - უნივერსიტეტმა შესაძლებლობა მომცა, ლოგიკურად მეზროვნა. აი, კონფერენციამ კი მასწავლა საბიბლიოთეკო საქმე და გამაცნო მთელი მისი სამყარო. პირველ წელს ვიყავი უბრალოდ მონაწილე. მეორე წელს გავიცანი რამდენიმე ათეული წარმომადგენელი. აი, მესამე წელი კი ძალზე კურიოზული აღმოჩნდა ჩემთვის. სოროსის ფონდმა არ დამაფინანსა. ლევან ბერძენიშვილს ვთხოვე დახმარება. ბიბლიოთეკაში სამივლინებო თანხები არ იყო და დამინერა წერილი საქავიასერვისის ხელმძღვანელთან. თხოვდა, რომ დახმარებოდნენ საბიბლიოთეკო კონფერენციის მონაწილე ლევან თაქთაქიშვილს სიმფეროპოლში გამგზავრებასა და უკან დაბრუნებაში. მაჩაბლის ქუჩაზე იყო იმ კომპანიის ოფისი. მივიტანე და ჩავაბარე წერილი. გამოვედი გარეთ. გზას დავადექი უკან, ბიბ-

ლიოთეკისაკენ. დამენია იმათი მდივანი და მითხრა, რომ ავიასერვისის დირექტორს სურდა ჩემი ნახვა. დავბრუნდი და შევედი. ფრენას მთლიანად დავაფინანსებთ, მხოლოდ 18 ლარის გადახდა მოგიწევთ - მითხრა. ბიზნესკლასის ბილეთები მომცა. მაღლობა გადავუნახადე. გვარად გრიგალაშვილი იყო.

გავფრინდი. სახარჯო ფული 300 დოლარი მქონდა. კერძო ნომერი ვიქირავე და ჰოპ! - კონფერენციაში მონაწილეობის თანხად 200 დოლარი მომთხოვა საორგანიზაციო კომისიამ. ე. ი. 100 დოლარილა მრჩებოდა, თითქმის ერთი კვირისთვის სახარჯოდ. ბინის ქირა მქონდა გადასახდელი დღეში 10 დოლარი, 60 დოლარი გამოდიოდა. ე. ი. 40 დოლარი დამრჩა, აქედან 10 ტაქსს უნდა სიმფეროპოლამდე, 30 დოლარი დარჩა. ცუდ დღეში აღმოვჩნდი. კონფერენციის მონაწილეობის საფასურის 200 დოლარის გადახდის ქვითარს ტალონი მოჰყვა - მეორე დღის უფასო ექსკურსიისა იალტაში. დილას გადიოდა ავტობუსები. მეც დილით გავჩნდი ტოკ-სუდაკის შესასვლელთან. გამიხვრიტეს ტალონი და ავდივარ ავტობუსში, გულისჯიბზე მოვისვი ხელი და აღმოჩნდა, რომ პასპორტი ბინაში დამრჩენია. გავბრუნდი, ავიღე პასპორტი, მაგრამ უკან მობრუნებულს ის ავტობუსი წასული დამხვდა. ავედი მეორეში - სულ ცარიელი რომ ჩამოდგა 2 წუთში და ბოლო სკამებისკენ გავემართე, რადგან ჩემი ბილეთი უკვე გახვრეტილი იყო. ვიფიქრე, სანამ ბოლოში გამოვლენ ბილეთების შემმოწმებლები, ავტობუსიც დაიძრება-მეთქი. ასეც მოხდა. დაიძრა ავტობუსი, ხალხით გავსებული. ექსკურსიამ ძლოლი საუბრობს. მეც მოვეშვი და ვგრძნობ, რომ რალაც მიშლის ხელს სკამზე მოხერხებულად ჯდომაში, ხელი ჩავყავი სკამებს შუა ნაპრალში და ამოვიღე სავსე საფულე. რუსული მანეთები და დოლარები. არც საბუთი მფლობელის, არც არაფერი. მხოლოდ ფული და 4 ფოტო: ორზე ერთი და იგივე კაცია აღბეჭდილი - ახალგაზრდა და 50 წლამდე ასაკისა; ასევე ახალგაზრდა გოგონასი და ქალისა. დავალაგე ასე: ქმარი და ცოლ-შვილი. კაცის ფოტოზე ეწერა ფანქრით „Ренди“. თუ ეს გვარის ნაწილი იყო, მაშინ ვარიანტი იყო ერთი: რებ-

როვი, ხოლო თუ სიტყვა იყო, მაშინ ნიშნავდა - მეორე მხარეს. ჩავედი იალტაში, ფული მაქვს, აქ პატრონს ვერ დავადგენ, სად უნდა ვეძებო? იტყვი, ფული ვიპოვნეო, სად უნდა ნახო ეს ხალხი? ჩემ გვერდით გოგონები იყვნენ, ჩვენი კონფერენციის მონაწილენი. მათ ვუთხარი ნაპოვნ საფულესა და სურათზე მინერილ რებროზეც. მათაც იგივე მითხრეს: ან გვარია, ან ანერენ ფოტოს მეორე მხარეს - რებროსო. ვიფიქრე, რომ სუდაკში დაბრუნებისას მივსულიყავი ორგკომიტეტში და მეკითხა, არის თუ არა მონაწილე კონფერენციისა ვინმე რებროვი. ასეც მოვიქეცი. უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა, ქალი წამოხტა და მკითხა: - იპოვნეთ მისი საფულეო? - დიახ-მეთქი. დაგვიტოვეთო - მოითხოვა. ვიუარე, მივეცი ჩემი სავიზიტო, დავანახე ჩემი ბინა და ვუთხარი: - აი, ჩემი სავიზიტო, აი, ჩემი მისამართი, მეორე სართულზე ვარ და მობრძანდეს-მეთქი!

სალამოს ვილაც კაცი მესალმება ქუჩაში. მეკითხება: - ლევან თაქთაქიშვილი ხართო? დიახ-მეთქი! მან მითხრა: - მე გახლავართ კულტურის მინისტრის მოადგილე ევგენი კუზმინი. თქვენ გიპოვნიათ ჩემი მეგობრის - რებროვის საფულე, ამიტომ მოგაკითხეთო. თავისი სავიზიტოც მომცა. შევედი სახლში და გამოვუტანე საფულე მთელი შიგთავსით. ვთხოვე, იქვე დაეთვალა. ფოტოებიც ვანახე. ხელი ჩამომართვა და წავიდა.

სალამოს ორგკომიტეტში დამიძახეს და მთელი საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მაღლობა გადამიხადეს, ხომ შეეძლო, არ დაებრუნებინა, მაგრამ ნამდვილი ქართველიაო - თქვეს. მეორე დღეს მთელმა კონფერენციამ იცოდა რებროვისათვის ვინმე ქართველი მონაწილისაგან ფულის დაბრუნების ამბავი. კუზმინმა საზეიმო დახურვაზე მიმინვია. მე ვუთხარი, რომ გადახდილი არ მქონდა დახურვის ცერემონიალის ფურშეტის ფული. გაცინა, მითხრა: - ერთი მთავარი მეურვე კულტურის სამინისტროა, ჩემთან მინდა იჯდეო. გამომიარა და წამიყვანა. ერთ საათში დამემშვიდობა - ფრენა მაქვსო. თავის თანამშრომლებს უთხრა, არ მოიწყენთ ამ კაცთანო და წავიდა. ცოტა ხანში მოდის ჩემთან საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მო-

ადგილზე და მსაყვედურობს: - თქვენ ხომ არ გასურდათ დახურვის ფურშეტის თანხის გადახდა, მომატყუეთ და ესწრებითო. ვუთხარი, რომ კუზმინმა დამპატიჟა. მატყუარა მიწოდა. ბოდიში მოვუხადე ქალბატონებს და წამოვედი. მე კერძო ბინაში ვიყავი. ქალებს კი იქ ამბავი აუტეხავთ: ეს ქართველი ბიჭი ნაპოვნ ფულს უბრუნებს პატრონს, ფურშეტზე ეპატიჟებიან, მერე კი ასე ექცევიან. ეს დაუშვებელიაო. მე ეს არ ვიცოდი. ერთი წლის შემდეგ გავიგე. იმ წელს მოწვევა მომივიდა პირდაპირ საორგანიზაციო კომიტეტიდან. სიმფეროპოლში რომ ჩავფრინდი, მანქანა დამხვდა. კუზმინიც მოვიდა, სასტუმროში ლუქსის ნომერში დამაბინავა, რეპროვიც გამაცნო. სიმპათიური კაცი იყო. რეპროვიცა მითხრა: - შენ არ იცი, როგორ მიხსენი, კაპიკი ფული აღარ მქონდა, იმ ავტობუსში საფულე რომ დამრჩა. ყველა მეუბნებოდა, დაკარგული გაქვს, ვერ დაიბრუნებო, როგორ მოგძებნის მპოვნელიო. ვერცხლის ფული ჰქონდა ჩამოტანილი რეპროვის და ჩემთვის საჩუქებლად. არ ავიღე. ტვინი წამიღო, გამოვართვი და ღვინის ჭიქაში ჩავუგდე: - არ ავიღებ-მეთქი. არ მესმის, რატომ უნდა მიიღოს რაიმეს მპოვნელმა პატრონისაგან საჩუქარი, რის საფასურად? რომ დააბრუნა? აბა, რა უნდა ექნა? ე. ი. გამართლება აქვს „შეტყაპუნებას“?

რა მივიღე იმ ფულის დაბრუნებით? მთელი კონფერენცია მიდიმოდა და მესალმებოდა პრეზენტაციებზე. ქალები, ტუალეტში ან ცეკვაზე გასვლისას, ჩანთას ჩემთან ტოვებდნენ. :)) ყოველ წელს ლეგენდარულად იზრდებოდა დაბრუნებული თანხის რაოდენობა, ბოლოს ისიც ითქვა, 30 000 დაუბრუნაო... რამდენიმე წლის შემდეგ გავიგე, რომ რეპროვიც გარდაცვლილა სიმსივნით. 3 წლის შემდეგ კუზმინის წერილი მივიღე: - ლევანჩიკ, - მწერდა ბატონი ევგენი, მოსკოვამდე ჩამოდი და გეპატიჟები სახალინზე. იქ იქნება იუნესკოს ეგიდით კონფერენცია. ყველაფერს ვაფინანსებ - ნავედი. სახალინიც ვნახე და წითელი ხიზილალასაც მივირთმევედი: დილას, შუადღისას, საღამოს, ღამე... იქიდან მოსკოვში რომ დავბრუნდი, „ელექტრიჩკით“ სანკტ-პეტერბურგში გადავედი და ოცნება ავისრულე, ვნახე რუსეთის



სახალინის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა, ძველად სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, უფრო ძველად - საიმპერატორო. ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია ჩვენი ბატონიშვილების, საბინინის, ჩუბინაშვილის, ნიკო მარის, აბრამიშვილის კერძო ბიბლიოთეკების წიგნები, მთლიანობაში ქართული წიგნის ბრწყინვალე კოლექციაა.

ღირექტორის მოადგილემ (ისიც სუდაკში გავიცანი) ბიბლიოთეკისავე შენობაში, სტუმრების საძინებლად გამზადებულ კეთილმოწყობილ ოთახში დამაბინავა და შემიძლია ვთქვა, რომ საიმპერატორო ბიბლიოთეკაში მეძინა ორი ღამე. გავიცანი ბატონი ევგენი სოკოლინსკი, შეერთებული კატალოგების ხელმძღვანელი, რომელთანაც მანამდე მხოლოდ მიმოწერა მქონდა. ერთმანეთს პირადად არ ვიცნობდით და ერთ საახალწლო წერილში ასე მწერდა: - გილოცავ თქვენს შვილიშვილებთან ერთადო. რომ შევედი მის სამუშაო ოთახში და თავი წარვუდგინე, ძალიან გაუკვირდა: - არ მეგონა, ახალგაზრდა კაცი, თანაც ქართველი, თუ იქნებოდა დაინტერესებული ბიბლიოგრაფიის წვრილმანებითო.

შემდეგ წელს კონფერენციაზე ჩასულს, მთავარმა ორგანიზატორმა შრაიბერგმა „რა? სად? როდის?“ ინტელექტუალურ თამაშში გუნდის წევრობა შემომთავაზა. დიდი ინტერესით მივიღე თამაშში მონაწილეობა და, ჩემდა სასიხარულოდ, ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვა კიდევ. ჩემთვის მით უფრო სასიამოვნო იყო ეს ამბავი, რადგან გარდამავალი უპირატესო-

ბით მიმდინარე ამ პაექრობაში, საბოლოოდ სწორედ ჩემი სწორი პასუხი აღმოჩნდა გამაძნევეტი, რამაც გაგვამარჯვებინა კიდევ მოაზროვნეთა გუნდს.

იმ თამაშის მთელი მიმდინარეობა საინტერესოდ აღწერა იური სტოლიაროვმა წერილში, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „Научные и технические библиотеки“ (2010, N9). ის სტატია იმითაც არის საყურადღებო, რომ კარგად გვაჩვენებს, თუ რამდენი საინტერესო და უცნაური ისტორია შეიძლება უკავშირდებოდეს საბიბლიოთეკო ცხოვრებას.

ქვემოთ შემოგთავაზებთ ამ სტატიის ქართულ თარგმანსაც.

2010 წელს ჩატარებული ის თამაში ამ კონფერენციაზე გამართულთაგან ერთადერთი შეხვედრა იყო, რომელიც მოაზროვნეებმა მოიგეს. მაშინ მეც გადმომეცა სიგელი, მედალი. ზარ-ზეიმი იყო. ერთმა დამსწრე ქალბატონმა სუვენირად ბუს ლამაზი ქანდაკებაც კი მაჩუქა. შრაიბერმა დამპატიჟა საშემოდგომოდ ნიუ-იორკში დაგეგმილ იუნესკოს კონფერენციაზე. დაფინანსებასაც თვითონ კისრულობდა. მოხსენება უნდა წამეკითხა. თავაზიანი უარი ვუთხარი. ინგლისური ენის სათანადოდ არცოდნა მოვიშველიე და ვთქვი, რომ აჯობებდა იქ სხვა, ამ მხრივ უკეთესი კადრი, ნასულიყო ჩვენი ბიბლიოთეკიდან. ერთმანეთს დავშორდით დიდი კეთილგანწყობით.

შემდეგ წელსაც წავედი კონფერენციაზე. აღმოჩნდა, რომ იმ ინტელექტუალურ შოუში, სადაც ჩვენს გუნდს უნდა დაეცვა გამარჯვებულის სახელი, მე მონაწილეობას ვერ მივიღებდი. არ ვიყავი მოთამაშე გუნდის წევრთა სიაში, არ ვიყავი მიწვეული არც საპატიო სტუმრებში, არ ვიყავი ჩანერილი უბრალო დამსწრეთა სიაშიც კი. რა მოხდა, ვერ გავიგე.

მეორე დღეს, თამაშის დაწყებამდე, საგულდაგულოდ გავეცალე არათუ იმ ადგილს, არამედ ბულვარსაც. შებოლილი თევზი და ლუდი ავიღე და მოვკალათდი პლაჟის განაპირა რესტორნის მეორე სართულზე. მოულოდნელად იქ ქშენით ამოდის ედუარდ სუკიასიანი - ეს თბილისში დაბადებულ-გაზრდილი, საბიბლიოთეკო ფაკულტეტდამთავრებული კაცი, იმ დროისათვის რუსეთის მთა-

ვარი კლასიფიკატორი და ბბკ-ს რედაქტორი. მოდის ჩემთან და მეუბნება: - მისმინე, ლევან, შენ დაგეძებ, დღეს ჩვენი ქვეყნისთვის, საქართველოსათვის, უნდა ითამაშო. შენ კი რა, აქ ხარ ასე სპორტულ ფორმაში გამოწყობილი და ლუდს სვამ? წამოდი, წავიდეთო - მაჩქარებს. - არა-მეთქი. არ ვარ დაპატიჟებული!

წავიდა და ათ წუთში ისევ მოვიდა. მაძლევს მოსაწვევს. წამიყვანა და შემოვიდა თვითონაც ჩემთან ერთად. წინა წლის მოთამაშე წევრები გუნდში უკლებლივ ყველაა, ჩემ გარდა. ჩემ მაგივრად კი ჩაუსვამთ ბელორუსიის ბიბლიოთეკის დირექტორი. შრაიბერგი ხმამაღლა ეკითხება სუკიასიანს: ედუარდ რუბენოვიჩ, ხომ ყველაფერი რიგზეა? ის ეთანხმება.

თამაში დაიწყო. არ იყო კარგი კითხვები. მოაზროვნეთა გუნდის კაპიტანი ბასოვი „აუხტა“ შრაიბერგს, რომ შეკითხვები ლოგიკურ პასუხებსაც უნდა უკავშირდებოდეს და არა მხოლოდ ცოდნასო. არ ვარ ვალდებული, ვიცოდე ნაკლებმნიშვნელოვანი ინფორმაციაო. ამით ერთი შეკითხვა გააუქმებინა კიდევ. შეცვლილი კითხვა ასეთი იყო: დიდ რუს პოლიტიკურ პირს ის კლასიკოსი მოსწონდა და თავისი სატრფოს მოხიბვლა მისი ტექსტებით შეძლო. ის კლასიკოსი ხახოლი იყო... დაასახელეთ კლასიკოსიც და პოლიტიკური პირიცო. ბასოვმა ისევ გააპროტესტა. შრაიბერგმა მე შემომხედა, დარბაზში მყოფს და მიმართა გუნდს: - თუ დამსწრეთაგან ვინმეს ეცოდინება პასუხი, თქვენ წაგებას დაგინერთ ამ შეკითხვაში, თუ არა, მაშინ შეეცვლიო. არავის უპასუხია, დარბაზი დუმდა. მე კი შემთხვევით ვიცოდი პასუხი და აი, როგორ: კონფერენციის მსვლელობისას, 1999 წელს, იალტაში ვიყავი ექსკურსიაზე, იქ ჩეხოვის სახლ-მუზეუმს გადავეყარე, შევედი. და ვნახე, კედელზე ეწერა მისი სიტყვები: „ია ხახოლი!“ გამიკვირდა, ჩეხოვის წინაპრებში უკრაინული სისხლი რომ იყო. ისიც მახსოვდა, სტალინს რომ უყვარდა ჩეხოვი (მას სალტიკოვ-შჩერბინიც უყვარდა) და, რადგან შრაიბერგმაც მე დამიწყო ყურება, „ზნაჩიტ“ სტალინია. შრაიბერგმა ისევ გადმოხედა და თქვა: - აი, გასული წლის თქვენი გუნდის წევრია დარბაზში. ლევან, შენ იცი პასუხი? არ გავამხილე, რომ ვიცოდი და

ვუთხარი: პასუხი არ ვიცი, მაგრამ, რადგან ასე მეკითხებით, ჩემს თანამემამულეს ეხება, ალბათ-მეთქი. დავჯექი. შეცვალა წამყვანმა ეს კითხვა. მაგრამ, მაინც წააგეს თამაში. კითხვები რთული იყო.

რომ გამოვედით, სუკიასიანი მეუბნება: - ლევან, როგორც ჩანს, შრაიბერგი ძალზე გაბრაზებულია შენზე. რომ მივედი და ვუთხარი, ლევან თაქთაქიშვილი არ დაუპატიჟებიათ შენს გოგოებს-მეთქი, მან მიპასუხა: - მისნაირი აქ 2000 მონანილეაო. მე გავახსენე, რომ შენ გამარჯვებული გუნდის წევრი იყავი. მერე რაო? - მაშინ ვუთხარი, რომ ჩემს მოსაწვევს მოგცემდი და მე არ დავესწრებოდი. - კარგი, არ გინდა, ერთად მოდით, ედუარდ რუბენოვიჩო! ხოდა, ასე შეგიყვანეო.

კონფერენციის შემდეგ, ფურშეტის დასასრულს, მივედი შრაიბერგთან და ვუთხარი: - იაკობ ლეონიდოვიჩ, მადლიერი ვარ, თქვენ წინა კონფერენცია ჩემს ბენეფისად აქციეთ, მაგრამ ამ კონფერენციაზე ერთხელაც არ მიიკითხეთ. რატომ-მეთქი?

არ ღირს ამ თემაზე რამის თქმაო - მითხრა. - თუ მე რამე დავაშავე, აქ აღარ ჩამოვალ-მეთქი - მივუგე და წამოვედი. დავჯექი ჩემს ადგილზე. ათ წუთში მისი თანამშრომელი მოდის და მეუბნება: - შრაიბერგს შენი ნახვა უნდა და უიმისოდ არ ნახვიდეო. ფიერვერკების მერე, როცა ხალხმა წასვლა დაიწყო, მე კიბეებზე ვიდექი რესტორან „კონსულის“ წინ. მოვიდა შრაიბერგი და მითხრა: - შენ არაფერ შუაში არ ხარ, მაგრამ ძალზე ნაწყენი ვარ: შენი დირექტორისგან (მაშინ ბორის გაგუა იყო): ნიუ იორკის კონფერენციაზე რომ არ წამოხვედი, დავურეკე მას და მდივანმა მკითხა, თუ რა თემაზე მსურდა საუბარი. ვუთხარი, რომ გპნტბ-ს (ГПНТБ - Государственная публичная научно-техническая библиотека России) - რუსეთის სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის დირექტორი ვურეკავდი კონფერენციაზე დასაპატიჟებლად. მან კი არ იკადრა მოსვლა ტელეფონთან. მდივანმავე მიპასუხა: - პოლიტიკური დაძაბულობის გამო, რუსულ კონფერენციებში არ ვიღებთ მონაწილეობასო. მაპატიე, რომ ირიბად დაგაკავშირე შენს დირექტორთან. არ ვარ მართალი. დავივინყოთ

ყველაფერიო და მკლავზე ხელი დამადო. მერე დაამატა: - აგერ ჩემი ოჯახის ექიმია, თქვენი ნითელწყაროდან. დამოუკიდებლობა რომ გამოაცხადეთ, მეზობლებს უთქვამთ, მეთერთმეტე არმიას შემოყევი და, თუ გინდა, ვიყიდით შენს სახლს და შენს სამშობლოში დაბრუნდით. ისიც წამოვიდა რუსეთშიო. ის კაცი გამაცნო. მშვენიერი ქართულით ლაპარაკობდა, დედოფლისწყაროს აქცენტით. მასთან შრაიბერგის წასვლის შემდეგაც ვილაპარაკე. თვალეზე ცრემლი მოადგა. მითხრა: - იქ რუსი ვიყავი, აქ კი კავკასიელად მთვლიანო. ვერც რუსულ ყოფას ვეგუები, მიყვარს ჩემი ნითელწყარო, სიზმარში ვხედავო...

ეს იყო 2011 წელს. ამის შემდეგ კიდევ 2 კონფერენციას დავესწარი 2012 და 2013 წლებში. 2014 წელს ყირიმის ოკუპაცია მოხდა და უკრაინულ-რუსული კონფერენცია რუსული გახდა. დაპყრობილ ტერიტორიაზე კი ჩვენ უკრაინელების სოლიდარობისა და რუსული ოკუპაციის საპროტესტოდ აღარ ჩავდივართ. იმ კონფერენციებმა კი მაქცია პროფესიონალ ბიბლიოთეკარად.

გთავაზობთ შეპირებულ თარგმანს იური ნიკოლაევიჩ სტოლიაროვის მოგონებისა, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „Научные и технические библиотеки“ (2010, N9).

ინტელექტუალური თამაში მე-17 საერთაშორისო კონფერენციაზე „ყირიმი“

კონფერენცია „ყირიმი 2010“-ის მონაწილის შთაბეჭდილებები ამ ფორუმზე გამართულ ინტელექტუალურ თამაშზე - „რა? სად? როდის? საბიბლიოთეკო-საინფორმაციო, სამნიგნობრო და საგამომცემლო სივრცეში“.

საერთაშორისო კონფერენციის „ყირიმი-2010 - ბიბლიოთეკები და საინფორმაციო რესურსები თანამედროვე მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ბიზნესის სამყაროში“ (15 სექცია, საჯარო ლექციები, სპეციალური სემინარები, დისკუსიები, „მრგვალი მაგიდები“, შემოქმედებითი კონკურსები, პრეზენტაციები; და ასევე ინტელექტუალური დუელი „ბაიერთან!“ საბიბლიოთეკო-საინფორმაციო ტერმინოლოგიის საკითხებზე - ამ



იური სტოლიაროვი

ნლის კონფერენციის ერთ-ერთი სიახლეთაგანი) გაფართოებული პროგრამის ჩარჩოში, უკვე მესამედ ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის? საბიბლიოთეკო-საინფორმაციო, სამნიგნობრო და საგამომცემლო სივრცეში“.

გასართობმა შეჯიბრმა (იგი პირველად ჩართეს კონფერენცია „ყირიმი-2008“-ის პროგრამაში) კვლავ გამოიწვია ფორუმის მონაწილეთა მზარდი ინტერესი: მოუთმენლად ელოდებიან, მასზე მოხვედრა ძალიან ბევრს სურს, დამთავრების შემდეგ კი დიდხანს გრძელდება შეხედულებათა და შთაბეჭდილებათა ურთიერთგაზიარება. იხსენებენ ყველაზე მეტად საინტერესო შეკითხვებსა და გამორჩეულად მწვავე მომენტებს. სამწუხაროდ, ადგილი თუ დარბაზი - კაფე „პიცერია“ ТОК „სუდაკის“ სანაპიროზე, სადაც თამაში მხოლოდ 100-ოდე ადამიანს იტევს, ე.ი. მსურველთა რაოდენობის 10%-ზე ნაკლებს (იღბლიანებს სპეციალური მოწვევებით უშვებდნენ).

თამაშის მთავარი იდეოლოგი და ორგანიზატორია ყველაზე ორიგინალური შემოქმედებითი იდეების უშრეტი შემოქმედი, იაკობ ლეონიდიჩ შრაიბერგი, გპნტბ-ს, (ГПНТБ - Государственная публичная научно-техническая библиотека) რუსეთის სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის) გენერალური დირექტორი, კონფერენცია „ყირიმის“ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

თამაშის სახელწოდება და ფორმატი აიღეს საყოველთაოდ ცნობილი ტელეგადაცემიდან,

ოლონდ „ყირიმული ვარიანტი“ სახეცვლილია საბიბლიოთეკო, სამნიგნობრო-კულტურული რეალობის შესაბამისად. თამაშის არსი იმაშია, რომ მოაზროვნეთა გუნდი უპირისპირდება მაყურებელთა გუნდს.

მოაზროვნეთა გუნდს მეთაურობდა რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების გამგე სერგეი ალექსანდროვიჩ ბასოვი. მიუხედავად იმისა, რომ, ამ როლზე პირველად დანიშნეს, იგი უაღრესად დამაჯერებელი იყო.

ახლა კი ყველაზე საინტერესოს შესახებ - მოთამაშეებისათვის დასმულ შეკითხვებსა და მათ პასუხებზე.

წილისყრის მიხედვით, პირველი შეკითხვა ერგო სტოლიაროვს: - რა პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, გეოგრაფიის სუსტი ცოდნის გამო, ერთ-ერთმა ბიბლიოთეკარმა 1930 წელს, როცა იმყოფებოდა წმ. ლავრენტის კუნძულზე?

სწორი პასუხისათვის საჭირო იყო გახსენება, რომ კუნძული ეკუთვნოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს. თავგამოდებული ჩუკოტკელი ბიბლიოთეკარი აშკამაშინი, რომელიც კარგად ეკვეოდა კომუნისტური პარტიისა და თავისი მშობლიური მთავრობის პოლიტიკაში, მაგრამ არცთუ კარგად იცოდა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, მიცურდა თავის თანამემამულეებთან იმ კუნძულზე (ჩუკოტკიდან სულ რაღაც 80 კმ), უამბო მათ, თუ რა კარგია საბჭოთა ხელისუფლება, და ჩაწერა ყველა ესკიმოსი... კოლმეურნეობაში! ასე დაამყარა ბიბლიოთეკარმა, თუმცა მცირედროით, საბჭოთა ხელისუფლება ამერიკის შეერთებულ შტატებში! (თავისივე ანგარიშის შედეგად, სანყალმა, შექების ნაცვლად, ჩუკოტკის პოლიტგანათლების ხელმძღვანელობისაგან სასტიკი საყვედური მიიღო. ამ კითხვაზე მოაზროვნეთა გუნდმა არასწორად უპასუხა და ანგარიში გაიხსნა, ოლონდ არა მის სასარგებლოდ.

ედუარდ რუბენოვიჩ სუკიასიანმა, რგბ-ს, რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკის, (РГБ - Российская государственная библиотека) სექტორის გამგემ, ბბკ-ს (ББК - Библиотечно-библиографическая классификация) მთავარმა რედაქტორმა და, რაც მთავარია, სა-

ბიბლიოთეკო სამყაროში კარგად ცნობილმა ადამიანმა, შეკითხვის სახით წარმოადგინა ფოტო, რომელზედაც აღბეჭდილი იყო ათეულობით ტომებით გადავსებული წიგნის გიგანტური თაროები და იკითხა, თუ რა იყო ეს?

მოაზროვნეთა გუნდის ნევრმა - ვიქტორ ვიქტორიჩ ზვერევიჩმა, დიზაინის უმაღლესი ბრიტანული სკოლის საინფორმაციო რესურსების ცენტრის ხელმძღვანელმა, მისიერად უპასუხა, რომ ფოტოზე აღბეჭდილი იყო კანზას-სიტის (აშშ) საჯარო ბიბლიოთეკის უაღრესად ორიგინალური ფასადი, რომელსაც „წიგნის თარო“ ეწოდება. შენობის კედელი წარმოდგენილია 22 სხვადასხვა წიგნის ყდის სახით, რომელთა სიმაღლეა ... 8 მ. კანზასის მაცხოვრებლებმა თვითონვე შეარჩიეს ის წიგნები, რომელთა ყდების ხილვაც სურდათ ფასადზე. მათ რიცხვში მოხვდა, მაგალითად, „მარტოობის ასი წელი“ (გაბრიელ გარსია მარკესი), „ფარენგეიტის 451 გრადუსი“ (რეი ბრედბერი), „უჩინარი კაცი“ (ჰერბერტ უელსი), „ბეჭდების მბრძანებელი“ (ჯონ რ. რ. ტოლკინი), „რომეო და ჯულიეტა“ (უილიამ შექსპირი).

ანგარიში გათანაბრდა.

მიხაილ ვლადიმროვიჩ გონჩაროვმა, რუსეთის გპნტბ-ს, (ГПНТБ - Государственная публичная научно-техническая библиотека) სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის, ინტერნეტ-ტექნოლოგიის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის დირექტორმა, იკითხა: ფრანგი მწერლის, გი დე მოპასანის თვალსაზრისით, რომელ სახელმწიფოებრივ წყობაში შეუძლიათ ბრიყვებს მუდმივად მართონ საზოგადოება. მწერლის მსჯელობის თანახმად, სტატისტიკურად, ბრიყვი ადამიანები ჭკვიანებზე მეტნი არიან.

ამ თამაშს ეს კითხვა მხოლოდ იმით თუ ეხებოდა, რომ მწერლის სახელს უკავშირდებოდა, და მე, კაპიტნის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ჟიურის მივმართადი შეკითხვის მოხსნის თხოვნით. მაგრამ გუნდმა გადაწყვიტა უპასუხა, და ... შეცდა.

ანგარიში გახდა 2:1 მაყურებელთა სასარგებლოდ.

მიხაილ დმიტრიევიჩ აფანასიევი, რუსეთის სახელმწიფო საჯარო ისტორიული ბიბლიოთეკის დირექტორმა, როგორც ყოველთვის, შემოგვთავაზა ძალიან საინტერესო და სავსებით პროფესიული შეკითხვა: ბერძნული „სვინაქსარის“ (დლესასწაულთა მოკლე განმარტებანი) რუსულად მთარგმნელმა შეცდომით უწოდა ამ ხელნაწერს „პროლოგი“ (საეკლესიო წიგნი, რომელიც შეიცავს მოკლე გამონათქვამებს წლიურ დლესასწაულებზე, წმინდანთა ცხოვრებებზე და ამონარიდებს წმინდა მამების სწავლებებიდან). წიგნის რომელი ნაწილის არქონამ გამოიწვია ეს შეცდომა?

აღმოჩნდა, რომ „სვინაქსარს“ აკლდა სატიტულე ფურცელი, რამაც მთარგმნელი შეიყვანა შეცდომაში. ტექსტი, როგორც ჩანს, იწყებოდა სიტყვით „პროლოგი“, რომელიც მთარგმნელმა წიგნის სახელწოდებად მიიჩინა.

ლოგიკურ მსჯელობათა გზით მოაზროვნეები მივიდნენ თითქმის სწორ, მაგრამ მაინც არა უზუსტეს პასუხამდე. წამყვანმა მოგება მაყურებლებს მიაკუთვნა. სცადეს შეკამათება, მაგრამ მსაჯი შეუვალი იყო, და მოაზროვნეთა წაგება გაიზარდა 3:1-მდე.

უნდა გამოვტყდე, რომ ჩემი აზრით, ასეთ სადავო შემთხვევებში საჭიროა გათვალისწინება იმ ექსტრემალური ვითარებისა, რომელშიც მოაზროვნეები იმყოფებიან. ამიტომ საჭიროა გადახრა მათ სასარგებლოდ. თუმცა, მე აქ მხოლოდ გულშემატკივარი ვარ და, როგორც ყველა გულშემატკივარს, მეც მგონია, რომ ყოველთვის „მსაჯზე უკეთესად ვიცი“, ვის ეკუთვნოდა „გოლი“ და ვის - „საჯარიმო სკამისკენ“ გასტუმრება.

ნატალია ლეონიდოვნა ჩერნიავესკაიამ, ომსკის მუნიციპალური ბიბლიოთეკების ცენტრალიზებული სისტემის დირექტორმა, დასვა კითხვა: რა აკავშირებს ცნობილ გულთამაყრობელ კაზანოვას ყირიმის კონფერენციასთან? ამ შეკითხვამ დარბაზში დიდი გამოცოცხლება გამოიწვია.

ჯოვანი ჯაკომო კაზანოვა (1725-1798) იტალიელი მწერალი და მემუარისტი, ყველაზე მეტად ცნობილი იყო, როგორც წარმო-

უდგენელი ავანტურისტი. თავის საქმიანობებს შორის გარკვეულ პერიოდში (საკმაოდ ხანგრძლივი დროით - თავისი ცხოვრების ბოლო 15 წლის განმავლობაში, თუ მეხსიერება არ მღალატობს) ბიბლიოთეკარიც იყო.

მოაზროვნეებიდან, სახელდობრ კი ტატიანა იაკოვლევნა კუზნეცოვა, რომელიც არის კულტურის, ხელოვნებისა და ტურიზმის მუშაკთა გადამზადების აკადემიის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ინფორმატიკის კათედრის გამგე, კარგად გათვითცნობიერებული აღმოჩნდა კაზანოვას ბიოგრაფიაში, მოაზროვნეთა გუნდმა ქულა მოიგო, რითაც შეამცირა სხვაობა 3:2.

ვასილ გერასიმოვიჩ დრიგაილომ, უკრაინის ნაციონალურ-ტექნიკური უნივერსიტეტის - „კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის“ გ. ი. დენისენკოს სახელობის ნტბ-ს, (НТБ - Научно-техническая библиотека) სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის დირექტორმა, დასვა შეკითხვა: რომელმა დიდმა მწერალმა დაიხასიათა თავი ასე? - 1) „... მე რომ ხოხოლი არ ვყოფილიყავი, მე რომ ყოველდღიურად მწერა, თუნდაც ორ-ორი საათი დღეში, დიდი ხნის წინ მექნებოდა საკუთარი მდიდრული აგარაკი. მაგრამ მე არ ვარ ხოხოლი, მე ზარმაცი ვარ. სიზარმაცე სასიამოვნოდ მათრობს, როგორც ეთერი, მე მივეჩვიე მას - და ამიტომაც ვარ ლარიბი“. 2) „ბაბუაჩემი მალოროსი იყო, ყმაგლეხი. გლეხების განთავისუფლებამდე გამოისყიდა მან მთელი თავისი ოჯახი და მათ შორის მამაჩემიც“.

მოაზროვნეებმა ამ შეკითხვას ვერ უპასუხეს (და მეც, მათთან რომ ვყოფილიყავი, შევცდებოდი.)

პასუხი იყო: ა. პ. ჩეხოვი. მაყურებლებმა კვლავ გაიმარჯვეს 4:2.

შემდეგი შეკითხვა იყო ეკატერინა მიხაილოვნა ზაიცევისაგან, რუსეთის გპნტბ-ს, (ГПНТБ - Государственная публичная научно-техническая библиотека) სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის, სამეცნიერო კვლევების, პროექტირებისა და ავტომატიზებული საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სისტემების შემუშავების ცენტრის დირექტორისგან: - 1789

წელს ცნობილმა ამერიკელმა სახელმწიფო მოღვაწემ და წიგნის დიდად მოყვარულმა, მანჰეტენის ბიბლიოთეკიდან გაიტანა „საერთაშორისო სამართალი“, საერთაშორისო ურთიერთობათა ტრაქტატი და დიდი ბრიტანეთის თემთა პალატაში შემდგარი დებატების ანგარიშების კრებული. სარეგისტრაციო ყურნალების შემონმებისას ეს დავალიანება აღმოაჩინეს, მაგრამ მკითხველმა წიგნი მაინც არ დააბრუნა. დღეისათვის ეს დავალიანება ბიბლიოთეკისათვის რეკორდულია - იგი 220-ზე მეტი წლისაა. ვინ არის ბიბლიოთეკის ეს მევალე?

მოაზროვნეებიდან, სახელდობრ კი ი. ნ. დრეშერმა იცოდა, რომ აქ იგულისხმება ამერიკის პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი (1732-1799). მას წიგნი დასჭირდა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის შესაქმნელად.

და შემცირდა ანგარიში სხვაობა - 4:3 მაყურებელთა სასარგებლოდ.

შეჯიბრი მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით, რაც მას სულ უფრო მეტ მუხტს მატებდა.

ალექსანდრ იოსიფოვიჩ ბროდსკიმ, რუსეთის გპნტბ-ს, (ГПНТБ - Государственная публичная научно-техническая библиотека) სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის განყოფილების უფროსმა, შემდეგი კითხვა დასვა: არსებობს სამი ცნობილი პიესა: ა.პ. ჩეხოვის „თოლია“, ლ. ნ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეში“ და მაქსიმ გორკის „ფსკერზე“. მათგან ერთ-ერთ პიესაში სიტყვა „წიგნი“ (ავტორთა შენიშვნების გათვალისწინებით) ფიგურირებს 21-ჯერ, მეორეში - 14-ჯერ და მესამეში - არცერთხელ. ამ პიესებიდან რომელში არ არის სიტყვა „წიგნი“?

მოაზროვნეებმა (პასუხობდა გუნდის კაპიტანი ს. ა. ბასოვი) უპასუხეს სწორად: „ცოცხალი ლეში“. და გაათანაბრეს ანგარიში - 4:4.

დიდი სირთულე შექმნა მომდევნო კითხვამ. იგი დასვა ი.ლ. შრაიბერგმა. მოაზროვნეებს მოეთხოვებოდათ, დაესახელებინათ სინით გამოტანილი და მაგიდაზე დადგმული

ღვინით, შამპანურითა და კონიაკით სავსე სამი ბოთლიდან, რომელი შეიცავდა მას, რაც არაბულ ენაზე ნიშნავდა „თვალის ფხვნილს“.

მოაზროვნეებმა, როგორც აღმოჩნდა, არაბული სუსტად იცინან. აღმოჩნდა, რომ რუსულად ეს გამოთქმა ასე უღერს - „ალკი-ხალ“, ანდა, უფრო დამახინჯებულად, მაგრამ მაინც უფრო ნაცნობ „ალკოჰოლად“. შესაბამისად, დასახელებულ კომპონენტს შეიცავდა სამივე წარმოდგენილი ნიმუში. მოკლედ რომ ვთქვათ, ანგარიში გაიზარდა თამაშის მაყურებელთა სასარგებლოდ (ჩემი აზრით, ეს კითხვა იყო წმინდა ლინგვისტური და ამიტომ თამაშის პროფილს არ შეესაბამებოდა. გარდა ამისა, შეკითხვა მოითხოვდა, რომ სამი წარმოდგენილი ობიექტიდან ერთზე გაკეთებულიყო არჩევანი, მაშინ როცა საგულისხმო პასუხი ე.ი. ალკოჰოლი - სამივე მათგანში იყო. თუმცა არც მოაზროვნეებმა და არც მაყურებლებმა ეს კითხვა არ გააპროტესტეს და თამაშიც გაგრძელდა).

შემდეგ მოაზროვნეებს ისევ მოუწიათ, ეპასუხათ ჩემს შეკითხვაზე. იგი ასეთი იყო: სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს ჰყავთ თავიანთი წმინდა მფარველები. ასეთი მფარველი ჰყავთ ბიბლიოთეკარებსაც (და არქივისტებსაც), რომლებსაც თანაბრად აღიარებენ კათოლიკეებიც და მართლმადიდებლებიც, რადგან იგი წმინდანთა დასს მიეკუთვნა 258 წელს, ე.ი. ქრისტიანული ეკლესიის გაყოფამდე (1054 წ.). რომის პაპმა სიქსტ II-მ იგი დანიშნა არქიდიაკონად - რომელიც პასუხისმგებელი იყო საეკლესიო განძეულზე და, უპირველეს ყოვლისა, წიგნებზე. მაგრამ რომის პრეფექტმა გადაწყვიტა საეკლესიო ქონების კონფისკაცია მუნიციპალური ხაზინის სასარგებლოდ. მაშინ არქიდიაკონმა წიგნები გაუნაწილა ღარიბებს, მიიყვანა ისინი სასამართლოში და თქვა: „აი, ეკლესიის ნამდვილი განძი. ნაიღეთ წიგნები ღატაკებთან ერთად“. სასამართლომ ეს საქციელი მიიჩნია, როგორც ხელისუფლებისადმი თავხედური დაუმორჩილებლობა. არქიდიაკონს მიუსაჯეს საჯარო წამებით სიკვდილი: იგი დაანვინეს რკინის ცხაურზე, რომელსაც შეუნთეს მცირე ცეცხლი. იმ წმინდანის სიმბოლო გახდა

გადაშლილი წიგნი და ცხაური. უნდა დაესახელებინათ ის მოწამე.

უკრაინის საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა, ირინა ალექსანდროვნა შევჩენკომ, სწორი პასუხი შესთავაზა გუნდს, მაგრამ სხვა წევრები ეჭვობდნენ. მათ დახმარება დარბაზს სთხოვეს, მაგრამ დამსწრეთა აზრიც გაიყო. რადგანაც შეკითხვის ავტორი, ე.ი. მე, ასევე ვიმყოფებოდი დარბაზში, მთხოვეს, რომ მოაზროვნეთათვის მიმეცა მინიშნება. მე მათ მივანოდე უფრო დანვრილებითი ინფორმაცია ჩემს პერსონაჟზე და სხვათა შორის ვუთხარი, რომ მისმა სახელმა უკვე გაიჟღერა თამაშის მსვლელობისას. აქ მოაზროვნეებმა სწრაფად გაიაზრეს და სწორად უპასუხეს: წმინდა მოწამე არქიდიაკონი ლავრენტი-ბიბლიოთეკარი.

ჯამში ანგარიში გათანაბრდა და გახდა: 5:5.

ბოლო გადამწყვეტი შეკითხვა დასვა ისევ მიხაილ დმიტრიევიჩ აფანასიევმა. იგი გავიდა ავანსცენაზე და თქვა, რომ, რაკი შუასაუკუნეებში მკითხველებს ეკრძალებოდათ ბიბლიოთეკარებთან ლაპარაკი, დიალოგის მონაწილეები ყესტებით გამოთქვამდნენ აზრს. ერთ-ერთი მათგანი გამოიყურებოდა, როგორც თითების მეორე ხელის გულზე გასმა. ეს ყესტი აფანასიევმა აჩვენა და მოაზროვნეებმა იგი გაშიფრეს. იგი იკითხებოდა როგორც „გვერდების გადაფურცვლა“ და ნიშნავდა წიგნის მიცემის თხოვნას.

ამ შეკითხვაზე სწორი პასუხი წყვეტდა მთელი თამაშის ბედს. გუნდი გადაარჩინა ლევან თაქთაქიშვილმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დეპარტამენტის დირექტორმა, ყირიმის კონფერენციების მუდმივმა და ძალიან აქტიურმა მონაწილემ.

საბოლოოდ მოაზროვნეებმა მოიგეს ანგარიშით 6:5.

ერთი სიტყვით, პირადად მე მუდამ ვგულშემატკივრობ მოაზროვნეთა გუნდს, რადგან შეკითხვის დასმა მაინც უფრო ადვილია, ვიდრე პასუხის გაცემა მკაცრად განსაზღვრულ დროსა და კარგად ნაცნობი აუდიტორიის გამჭოლ მზერაში, რომლის წინაშეც „სახის დაკარგვა“ გაშინებს.

წინა თამაშების საუკეთესო ტრადიცი- ისამებრ, ყველაზე საინტერესო შეკითხვების ავტორებმა და შეკითხვებზე სწორად მოპა- სუხეებმა (სულ 12 ადამიანი) მიიღეს პრიზები (წიგნები და დისკები).

ჟიურის აზრით, საუკეთესო იყო მ. დ. ავა- ნასიევის შეკითხვა შესახებ, რომ- ლითაც მიმართავდნენ ბიბლიოთეკარებს (ჩემი ნება რომ ყოფილიყო, საუკეთესოდ ჩავთვლიდი ვ. გ. დრიგაილოს შეკითხვას ა.პ. ჩეხოვის შესახებ). საუკეთესო მოთამაშედ და- სახელდა გუნდის კაპიტანი ს. ა. ბასოვი, რა- საც ყველა დაეთანხმა.

ეს თამაში, რასაკვირველია, საინტერე- სოა და თავისუფალი დროის საუკეთესოდ გატარების საშუალებასაც იძლევა, თანაც ავითარებს მონაწილეთა განათლებულობას, წარმოაჩენს, რომ ჩვენს პროფესიაში ბევრია უცნობი, მოულოდნელი, შესასწავლი.

ეს მიმოხილვა იმისათვის დაინერა, რომ თა- მაშზე წარმოდგენა ჰქონოდათ ყირიმის ფო- რუმის არა მხოლოდ „შერჩეულ“ მონაწილეებს - აქ ხომ გართობის ფორმითაა დაყენებული შეკითხვები, დამომწმებელი უმდიდრესი გა- მოცდილებისა, დაგროვებულის ჩვენი სფე- როს განვითარების პროცესში. უფრო მეტიც, მათგან ბევრი სასწავლოა. ისინი აღვივებენ სურვილს ღრმად გავეცნოთ ჩვენს ისტორიას, ტერმინოლოგიას, დავიმახსოვროთ სხვა- დასხვა ღირსშესანიშნავი და სახალისო მო- ვლენები საბიბლიოთეკო-საინფორმაციო და წიგნის სამყაროში. საბოლოო ჯამში, ისინი ამაღლებენ ჩვენს პროფესიულ კულტურას, ავითარებენ პროფესიისადმი პატივისცემას, შესაძლოა, მათი ფართო გამოყენება პროფე- სიული მიმართულების შერჩევისა და მის სილ- რმეებში შეღწევის საქმეში.

2009 წლიდან ეს ყოველწლიური თამაში იმართება საერთაშორისო კონფერენციაზე „Либком“ (Информационные технологии, компьютерные системы и издательская продукция для библиотек), რომელიც მიმდი- ნარეობს ნოემბერში „ერშოვოს“ პანსიონატში, მოსკოვის გარეუბანში (ზვენიგოროდის მახლობლად).

ვიმედოვნებ, აქ საფუძვლიანად (დანვრი- ლებით) ჩამოყალიბებული შეკითხვები და

თამაშის მთელი მიმდინარეობა გვარწმუნებს, რომ ი.ლ. შრაიბერგის იდეა შესაძლოა ფარ- თოდ გამოვიყენოთ, როგორც ჩვენს პროფე- სიულ დღესასწაულზე „ბიბლიოთეკების დღე“, ასევე უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში - სტუდენტობის ან გამოსაშვებ დღესთან დაკავშირებულ ზეიმებზე. თუ ასეთ თამაშში მოვიზიდავთ მკითხველებსაც, ეს, რასაკვირ- ველია, გააუმჯობესებს ბიბლიოთეკისა და სა- ბიბლიოთეკო პროფესიების იმიჯს.

რაც შეეხება კონფერენცია „ყირიმს“, სა- სურველია, ამ თამაშის თაობაზე არსებული მღელვარების გათვალისწინებით, მოხდეს მისი ვიდეო ან თუნდაც რადიოგადაცემის ორგანიზება (შესაძლოა, სწორედ იქ - სანაპი- როზე) - კონფერენციის იმ მონაწილეთათვის, რომელნიც, ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ახერხებენ დარბაზში მოხვედრას.

ჟურნალის მკითხველებს (და თქვენ შეგიძ- ლიათ ამაში ჩართოთ თქვენი ბიბლიოთეკების მკითხველები) ვინვევთ, რომ წლის ნებისმიერ დროს გაუგზავნონ ექსპერტებს თავიანთი შე- კითხვები მისამართზე: igra@gpntb.ru.

თუ მათ წინაშე მოაზროვნეები დამარ- ცხდებიან, თქვენი კითხვები აღინიშნება პრი- ზებითა და დიპლომებით. აუცილებელი პი- რობაა: პასუხს უნდა ახლდეს პირველწყაროს ბმული: ჩვენი - ბიბლიოთეკის წარმომადგენ- ლების, პროფესიონალიზმის მანიშნებელია ბიბლიოგრაფიული სიზუსტე.

დასასრულს, გამოვხატავთ მადლიერებას ი. ლ. შრაიბერგის მიმართ ბევრიდან ერთი და მისგანვე ბრწყინვალედ განხორციელებული იდეისათვის. და ერთიც - უკვე ჩემი პირადი მადლიერება - ოლგა ვლადიმეროვნა შლენ- სკოის თავაზიანად მონოდებული მასალე- ბისთვის, რითაც შემაძლებინა უზუსტობების თავიდან აცილება თამაშის ფაქტების წარმო- ჩენისას.

დასასრული.

დასაწყისი იხ.:

2021 N3-4, 2022 N1-4



თამარ გაბიძე
პოეტი, მთარგმნელი

უკრაინის საკურორტო ქალაქ მირგოროდში დავით გურამიშვილის დღემდე ერთადერთი ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის თანამშრომლები უდიდეს საქმიანობას ეწევიან მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის.

დავით გურამიშვილი იქცა უკრაინული ფოლკლორისა და ლიტერატურის პერსონაჟად. მასვე მიეძღვნა უკრაინულ ხელოვანთა არაერთი ნაღვანი: ხეზე კვეთისა და ჭედურობის ნიმუშები, ნაქარგობა, სკულპტურა, დავითის პორტრეტები ფაიფურის ლარნაკებზე, მოზაიკური პანო, ფერწერული ტილოები. ისინი აისახა დავითის მუზეუმის ყველა გზამკვლევაში.

მირგოროდის ბალნეოლოგიური კურორტი წელიწადის ოთხივე სეზონზე ყოველწლიურად ემსახურებოდა 40 ათასამდე დამსვენებელს. რის შედეგადაც დავით გურამიშვილის მუზეუმს არ აკლდა სამახსოვრო ექსპონატთა მოხალისე-შემომწირველები. ყველაზე მეტი და თვალსაჩინო ექსპონატი კი მუზეუმს მიუძღვნა მხატვარმა ვიქტორ ბრიკულეცმა, რომლის შემოქმედებასაც საპატიო ადგილი უკავია უკრაინულ სახელოვნებო საგანძურში.

1924 წლის 23 ნოემბერს ხმელნიცკის ოლქში დაბადებულ ვიქტორ ბრიკულეცს

დავით გურამიშვილი უკრაინელი მხატვრის ვიქტორ ბრიკულეცის შემოქმედებაში

ბედმა არ აკმარა მწარე ბავშვობა - 1932-1933 წლების უკრაინის საყოველთაო შიმშილობის გადატანა და მას სიჭაბუკეში, მეორე მსოფლიო ომის წლებში, ფაშისტურ გერმანიაში მრავალწლიანი ტყვეობაც გამოაცდევინა. 1946-1951 წლებში კი ბრიკულეცი სწავლობდა ხარკოვის სამხატვრო სასწავლებელში. მან გამოფენებში მონაწილეობა დაიწყო 1954 წლიდან და მისმა ნამუშევრებმა იმთავითვე მიიპყრო ყურადღება ცნობილი უკრაინელი ფუნჯის ოსტატებისა: ა. საფარგალინის, ტ. შიგიმაგასი, ვ. მირონენკოსი, ა. ეგოროვისა, და მ. სლიპჩენკოსი.



ვიქტორ ბრიკულეცი

1968 წლიდან ვ. ბრიკულეცი ქ. მირგოროდში დამკვიდრდა. ამ ქალაქის ულამაზესმა ბუნებამ და სიმყუდროვემ გაუფურჩქნა მხატვარს ნიჭი და ფანტაზია, გაუმდიდრა შემოქმედებითი შესაძლებლობები. მას საშუალება მიეცა შეექმნა: გამოჩენილ პიროვნებათა პორტრეტები, მირგოროდის შემოგარენთა პეიზაჟები, ნატურმორტები, დეკორატიულ-მონუმენტური კომპოზიცი-

ები, ხატწერის ნიმუშები. მირგოროდის მშვე-
ნებად იქცა მისი დიზაინერული მიგნებებით
შესრულებული არქიტექტურული ნაგებობ-
ები; ბრიკულეცმა მირგოროდშივე შექმნა
დაზგური ფერწერისა და გრაფიკის შესანიშ-
ნავი ნიმუშები. ყველა ჟანრის ნამუშევართა
რიცხვი რვა ათასამდეა, რომლებსაც ემატება
ტაძართა ინტერიერებისა თუ ქერის მოხატუ-
ლობა და სამოცდახუთი ხატი.

1997 წლიდან უკრაინის მხატვართა კავ-
შირის წევრმა და მირგოროდელთა კერპმა,
ბრიკულეცმა, გურამიშვილს მიუძღვნა ოთხი
უძვირფასესი ქმნილება: 1. დავით გურა-
მიშვილის მუზეუმის მთავარ საგამოფენო
დარბაზს გახსნის დღიდანვე (1969 წ. 12 მაისი)
ამშვენებს ოვალურ ჩარჩოში ჩასმული დიდი
პორტრეტი დავითისა, რომელიც მან უჩა ჯა-
ფარიძის ცნობილი ნამუშევრის მიხედვით შე-
ასრულა; 2. უკრაინული ეროვნული ორნამენ-
ტებით შემკული მოზაიკური პანო კურორტ
მირგოროდის ქალაქიდან განცალკევებულ
სივრცეში, კულტურის სასახლის ეზოში, სა-
მკურნალო ნყლების შენობის მიმდებარე კე-
დელზე. აქ ცენტრალურ ფიგურად წარმო-
დგენილია დავით გურამიშვილი ეროვნული
სამოსით, ჩოხით. პანოს ამშვენებს ასევე ნ.
გოგოლის პერსონაჟთა გალერეაც; კიდევ
ორი ფერწერული ტილოებია, გურამიშვი-
ლის მუზეუმის გამორჩეული ექსპონატებია:
ესაა 3. „გურამიშვილის შეხვედრა ზუბოვკელ
ქალთან“ (1992 წელს, დ. გურამიშვილის გა-
რდაცვალების 200 წლისთავთან დაკავში-

რებით, ამ ნახატის ესკიზი ვიქტორ ბრიკუ-
ლეცმა საჩუქრად გამომატანა ლამისყანის
ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის
დავითის ოთახისათვის, ერთი ასლი კი მე მა-
ჩუქა, პირადად); 4. „დავით გურამიშვილი და
გრიგორი სკოვოროდა“ - ერთ ტილოზე გა-
მოსახული თანამედროვენი, XVIII საუკუნის
ორი დიდი მოაზროვნე.

1980 წელს, დ. გურამიშვილის დაბადები-
დან 275 წლის საიუბილეოდ, მირგოროდის
კულტურის სასახლეში სცენა დაამშვენა
5-მეტრიანმა ნახატმა - „დავითმა“...

ვ. ბრიკულეცის ნამუშევრები, რომელთაც
საერთაშორისო აღიარება მოუპოვეს მხატ-
ვარს, დღეს დაცულია უკრაინის, საქართვე-
ლოს, ფინეთის, გერმანიის, ისრაელის, ავ-
სტრალიის, კანადის, შვეიცარიის, ბულგარე-
თის, ამერიკის მრავალ მუზეუმსა და კერძო
კოლექციებში.

სამშობლოსა და შემოქმედებაზე შეყვა-
რებული ფუნჯის ოსტატი - ვიქტორ ბრიკუ-
ლეცი 98 წლის ასაკში გარდაიცვალა 2022
წლის მარტში (მირგოროდის მეორე დაბო-
ვის შემდეგ)!... ომი რომ არა, მისი ასი წლის
იუბილესაც ღირსეულად იზეიმებდა უკრა-
ინა, მირგოროდი... და, ვინ იცის, სიცოცხლე
კიდევ რამდენ წელს მიათვლიდა მხატვრის
საუკუნოვან ასაკს!...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკ-
ვდავი სული და დაუმკვიდროს ზეციური სა-
სუფეველი მართალთა თანა!



ემახსოვრები საქართველოსად

დავით გურამიშვილის უკვდამყოფელი მირგოროდელი მხატვრის - ვიქტორ ბრიკულეცის ხსოვნას

სიყმაწვილე ხომ დაგენისლა „გოლოდომორით“,
სიჭაბუკეშიც ვერ დაუსხლტი ტყვეობის კლანჭებს -
უკრაინელი, ათასობით, ფაშისტთა მოვლით,
გერმანელებმა უმონყალოდ განამეს, გტანჯეს...!

ხმელნიცკის ოლქში დარწეულა შენი აკვანი
უკვდავყოფს გეტმან ბოგდანს მხარე ბრძოლით ნამხელი...
ბებერ სლავუტიჩს შენი ნიჭის შევნი თაყვანით,
სამშობლოს ზეცის ფირუზისფრად თვალგანახელი!...

თვალეებმა შენმა დაიტია სამშობლოს ზეცა?!
სწყალობდა ფეთქვა მსახურებით გულს უკრაინის...
ფუნჯის დიდოსტატს მთლად სამყარო პალიტრად გექცა
ღვთისმშობლის ლოცვით გადარჩენილს ტალღებს რაინის...“

კეთილშობილი და ღვთისათნო დარჩი ცხოვრებით,
გურამიშვილის „მწყალობელი“ - ჭირისუფალი...
საქართველოსაც დიდი ღვანლით ემახსოვრები -
ლამისყანაში „ზუბოვეკელ ქალს“ ტირის უფალი!

რუდუნებით რომ ქმნიდი სტუმრის პორტრეტს საოცარს
შენი სიცოცხლის დღე რამდენი მოაპარინე...
ვუმზერო, ვით ტაძარს, უანგარო ძმობის სალოცავს -
სინორჩის „შერჩა“ ფუნჯით ჟამი „ქართველ მარინეს...“

...ბრძენ სკოვოროდას დაუნყვილე გურამიშვილი,
მირგოროდს ამკობს „მოზაიკის დავითის“ პანო!..
შენ საქართველოს ნახვის დაგრჩა ნახვა-შიმშილი,
უკრაინის ომს შენირულო ზვარაკად, პანო!

საუკუნემდე წელი ორი დაგაკლდა მხოლოდ...
ორმოცდაათობმეტს ალაღებდი ნატერფალებით
მირგოროდს! ... ელდის ტყვიად უღვთოდ დაგატყდა ბოლო -
ომის ნისლში ცა უკრაინის „ხატე“ თვალეებით!...

გაჩერდა გული - „ნენკას“ ტანჯვას ვერ გაუძელი -
წერტილს დანებდა ზღვა სიცოცხლის ყველა ფურცელი!
შემოგრჩენია, თურმე, თბილი მარჯვენით მაჯა,
მღვიძარესავით სხივგამქრალი თვალეები დაგრჩა!..

და ლურჯ თვალეებზე შეუმშრალი, მომსკდარი ცრემლით
„მშვიდობის ქალაქს“ უხმაუროდ გამოეთხოვე...
გახეთქა გული ხმამ ბომბების გრუხუნით, ცვენით...
ნეტავ სიყრუით მსგავსებოდი ბატკო ბეთჰოვენს!!!

გულამოსკვნილი ლექსით გგლოვობ მდულარე ცრემლით,
ამ სამზეოდან ასე წასვლამ სულიც დანისლა,
შენს აუხდენელ, იმ სურვილსაც მძევლად ვექცევი -
მასპინძლობა ვერ ნახე თბილის-ლამისყანისა!

რა მომასვენებს, არ დავგმო და არ შევაჩვენო
უკრაინისთვის მომწვევლი მძიმე ამ წუთის -
ვინც ვერ მოასწრო სიკვდილის წინ „მამაო ჩვენო“ –
უზიარებელს თავს დაატყდა ჟამი მიმწუხრის.

შენეულ ხატთან სასოებით ვინც ლოცვას იტყვის,
იქ, საუკუნო სამყოფელში, გექცევა ძეგლად ...
უკვდავყოფ ლექსით, თუმცა იგი ძეგლია სიტყვის -
ვერ ჩამოანგრევს ამ ძეგლს ომის ზაფრა და დელგმა!

...კატალოგები, ათი ქვეყნის მუზეუმები,
კოლექციები კერძო, ზოგიც ნასახსოვრები
სულ უანგაროდ - გიტევს ღვანლი სულ ზეიმებით!
საქართველოსაც უკვდავებად ემახსოვრები!

პრინციო პარნასის! გახდი ყანა სეტყვით მომცდარი? –
არ მყოფნის ძალა თქმად სამძიმრის და იძულებით
ვიშრობ ცრემლს, რადგან მსოფლიოში დარჩი ცოცხალი
შენი მოლბერტის - უჭკნობელი - თაიგულებით!!!

თამარ გაბოძე


18-20 თებერვალი, 2023 წ.




საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის 2022 წლის გამოცემები




ჭავჭავაძე, ილია. თხზულებათა სრული კრებული: 20 ტომად. ტომი 20, საძიებლები / ილია ჭავჭავაძე ; მთავარი რედაქტორი ირმა რატიანი ; ტომის რედაქტორი თამარ ციციშვილი ; ტომი გამოსაცემად მოამზადეს: ნანა ფრუიძემ, თამარ აბრამიშვილმა, ნათია ხუცურაულმა ; შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. - თბილისი : საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022. - 604 გვ.




საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: დოკუმენტები, 1917-1953 / ტექსტები შერჩია და გამოსაცემად მოამზადა ირაკლი იაკობაშვილმა; საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022. - XXIV, 398 გვ. ; 24 სმ




საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტომი 19 (ნაწ. 1), ედუარდ შევარდნაძე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1995 წლის ნოემბერი - 2003 წლის ნოემბერი): მიმართვები, ინტერვიუები (1998 წლის იანვარი-ივნისი) / საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება; შემდგენლები: ნათია ხოტენაშვილი, თინათინ სულუხია; რედაქტორ-შემდგენლები: ნატო გაბელაია, ემზარ ჯგერენაია. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022. - 662 გვ.: პორტრ.- (საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, 1987-5576 / იდეის ავტორები: ემზარ ჯგერენაია, დორის ფოგლი)




საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტომი 19 (ნაწ. 2), ედუარდ შევარდნაძე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1995 წლის ნოემბერი - 2003 წლის ნოემბერი): მიმართვები, ინტერვიუები (1998 წლის ივლისი-დეკემბერი) / საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება ; შემდგენლები: ნათია ხოტენაშვილი, თინათინ სულუხია; რედაქტორ-შემდგენლები: ნატო გაბელაია, ემზარ ჯგერენაია. - თბილისი : საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022. - 574 გვ. : პორტრ. - (საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, 1987-5576 / იდეის ავტორები: ემზარ ჯგერენაია, დორის ფოგლი).




საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტომი 20 (ნაწ. 1), ედუარდ შევარდნაძე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1995 წლის ნოემბერი - 2003 წლის ნოემბერი) : მიმართვები, ინტერვიუები (1999 წლის იანვარი-ივნისი) / საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება ; შემდგენლები: ნათია გაბელაია, ნათია ხოტენაშვილი, თინათინ სულუხია ; რედაქტორ-შემდგენლები: ნატო გაბელაია, ემზარ ჯგერენაია. - თბილისი : საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022. - 640 გვ.: პორტრ. - (საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, 1987-5576 / იდეის ავტორები: ემზარ ჯგერენაია, დორის ფოგლი).




საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტომი 20 (ნაწ. 2), ელუარდ შვარცდანიძე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1995 წლის ნოემბერი - 2003 წლის ნოემბერი): მიმართვები, ინტერვიუები (1999 წლის ივლისი-დეკემბერი) / საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება; შემდგენლები: ნატო გაბელაია, ნათია ხოტენაშვილი, თინათინ სულუხია; რედაქტორ-შემდგენლები: ნატო გაბელაია, ემზარ ჯგერენაია. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022. - 716 გვ.: პორტრ. - (საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, 1987-5576 / იდეის ავტორები: ემზარ ჯგერენაია, ღორის ფოგლი).



საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტომი 21 (ნაწ. 1), ელუარდ შვარცდანიძე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1995 წლის ნოემბერი - 2003 წლის ნოემბერი): მიმართვები, ინტერვიუები (2000 წლის იანვარი-ივნისი) / საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება; შემდგენლები: ნათია ხოტენაშვილი, თინათინ სულუხია; რედაქტორ-შემდგენლები: ნატო გაბელაია, ემზარ ჯგერენაია. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022. - 552 გვ.: პორტრ. - (საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, 1987-5576 / იდეის ავტორები: ემზარ ჯგერენაია, ღორის ფოგლი).




საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტომი 21 (ნაწ. 2), ელუარდ შვარცდანიძე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1995 წლის ნოემბერი - 2003 წლის ნოემბერი): მიმართვები, ინტერვიუები (2000 წლის ივლისი-დეკემბერი) / საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება; შემდგენლები: ნათია ხოტენაშვილი, თინათინ სულუხია; რედაქტორ-შემდგენლები: ნატო გაბელაია, ემზარ ჯგერენაია. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022. - 600 გვ.: პორტრ. - (საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, 1987-5576 / იდეის ავტორები: ემზარ ჯგერენაია, ღორის ფოგლი).



მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი / საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; რედაქტორები: როზეტა გუჯეჯიანი, მირიან ხოსიტაშვილი; სარედაქციო კოლეგია: ნინო მინდაძე, დარიკო ჟორჟოლიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, ია თაბაგარი, ქეთევან ხუციშვილი. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022. - 148 გვ.: ფოტ.; 20 სმ. - (ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა; V)



ყიფშიძე, გრიგოლ. ილია ჭავჭავაძე / გრიგოლ ყიფშიძე; მერაბ დადანიძის რედაქციით, განმარტებითა და თანადართული ნარკვევით; ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022. - 216 გვ.; 20 სმ




შარაძე, გურამ. ქველი გურია: [2 ტომად]. ტომი 1 / გურამ შარაძე; წინათქმა: ლევან თაქთაქიშვილი, რუსუდან კობახიძე. - თბილისი : საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022. - 480 გვ.: ფოტ.; 32 სმ - (გურამ შარაძის ბიოგრაფიული ბიბლიოთეკა "ბიოგრაფიკა". სერია II: ქართული მეცნიერების ისტორია)



ჯანელიძე, ოთარ. აზერბაიჯანელები თბილისში, 1801-1921 = Azerbeijanıs in Tbilisi, 1801-1921 = Tbilisidaki Azərbaycanlılar, 1801-1921 / ოთარ ჯანელიძე, მირიან ხოსიტაშვილი, სალომე ჭანტურიძე; თარგმანი ელენე დოლაქიძე (ინგლისური), ლეილა ჩავგალოვა (აზერბაიჯანული); დიზაინი გიგი გელაშვილი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022. - 204 გვ.: ილ. ; 28 სმ




ერქომიშვილი, ანზორ. პირველი ქართული ფონოგრაფიული ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივიდან = The First Georgian Phonorecords from the Archives of the British National Library: კატალოგი / ანზორ ერქომიშვილი; რედაქტორი იოსებ ჭუმბურიძე ; დიზაინი: დათო მოსიაშვილი, რევაზ თხილიშვილი. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022. - 43, 40 გვ. ; 22 სმ




გაბრიჭიძე, ჟორა. ქვეყრი და ქართული ტრადიციული მეღვინეობა/ჯორა გაბრიჭიძე. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022. - 322, [18] გვ. : ნახ. ; 24 სმ



სოსიაშვილი, გიორგი. არბო, პარიზი, ლიმა = Arbo, Paris, Lima: არბოს ისტორიიდან : ჟურნალების და მკვლევარების ოჯახური მემსიერება / გიორგი სოსიაშვილი ; რედაქტორები: ოთარ ჯანელიძე, მირიან ხოსიტაშვილი ; ტექსტის თარგმანი ზურაბ ზურაბაშვილი. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022. - 656 გვ. : ფოტ. ; 26 სმ



ჭანტურიძე, სალომე. აკაკი ჩხენკელი, 1874-1959 = Akaki Tchkhenteli, 1874-1959 : [ალბომი] / ავტორები: სალომე ჭანტურიძე, ანტონ ვაჭარაძე ; რედაქტორები: ლევან ავალიშვილი, გიორგი კლდიაშვილი, ეკა კალანდაძე ; ტექსტის რედაქტორი ესმა მანია ; ინგლისური ტექსტის რედაქტორი ქემერონ ფრეზერი ; მთარგმნელები: ლუკა ჩიტანი, სანდრო როჩიაშვილი ; წინასიტყვაობის ავტორები: დოდო ჭუმბურიძე, გოჩა ჯავახიშვილი, გიორგი კლდიაშვილი ; დიზაინერი ლაშა მაჭარაშვილი. - თბილისი, 2022. - 188 გვ. : ფოტ. ; 27 სმ



ქალები ბიბლიოთეკიდან: [ალბომი] / მირიან ხოსიტაშვილი, სალომე ჭანტურიძე, კატო ჯავახიშვილი, მარინა ჭყონია; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. - 83 გვ.

1923 წლის 21 მაისს „სამხედრო ცენტრის“ წევრები, თხუთმეტი თავდადებული ქართველი ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტეს. „გამზაჩხოს თავისუფალ საქართველოს!“ – საუკუნის წინ ამ შეძახილით ხვედებოდნენ გმირები სიკვდილს... 2023 წლის კალენდარი ქართველ პატიოებს ეძღვნება.

On May 21, 1923 members of the Military Center, fifteen devoted Georgians were shot in the area of Vake Park. "Long live independent Georgia!" – A century ago, the heroes met their death with this shout... The 2023 Calendar is dedicated to the Georgian patriots.

კალენდარი
Calendar 2023

www.nplg.gov.ge

2023 წლის კალენდარი: ეძღვნება ქართველ პატიოებს, „სამხედრო ცენტრის“ 15 წევრს, რომლებიც 1923 წლის 21 მაისს ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტეს.

მხატვარი ვიქტორ ბრიკულეცი



ავტოპორტრეტი



დავით გურამიშვილი და
ზუბოვკელი ქალი



**დავით გურამიშვილისა და უკრაინელი მოაზროვნის გრიგორი
სკოვოროდას შეხვედრა**

მხატვარი ვიქტორ ბრიკულეცი